მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვის გზამკვლევი

სარჩევი:

შესავალი 3

პირველი თავი: სქემაში ჩართვისა და მასში მონაწილეობის პირობები.....4

მეორე თავი: პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.....10

შესავალი.....10

კვლევის პროცესი.....11

კვლევის (მონაცემთა შეგროვების) მეთოდები.....12

კვლევის ანგარიში.....16

სტატია.....20

მესამე თავი: საგანმანათლებლო პროექტები.....26

შესავალი……26

სასწავლო პროექტის სტრუქტურა……27

კვლევითი პროექტები……31

რჩევები კონფერენციის მონაწილე მასწავლებლებს……34

რეფერატი……..36

ესეს წერის პრაქტიკული რჩევები……38

მეოთხე თავი: მოსწავლეთა მიღწევები……40

შესავალი……40

მოსწავლეთა მოტივაცია და საგნობრივი ოლიმპიადები……41

სხვადასხვა სტილის მასწავლებლები და ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობა……43

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი……45

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა……47

მეხუთე თავი: გამოცდილების გაზიარება……54

შესავალი …… 54

ახალი გამოცდილების მიღება ……..... 55

ერთობლივი გამოცდილების შექმნა …… 61

საკუთარი გამოცდილების გაზიარება…… 66

მეექვსე თავი: მასწავლებლის პორტფოლიო…….. 81

გამოყენებული ლიტერატურა..... 94

დანართები:

მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება……..…… 96
მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუში…….....…….. 110
მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა…….....…… 111

შესავალი

სრულფასოვანი განათლების მიღება, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია არა მარტო ცალკეული ადამიანის რეალიზებისა და კეთილდღეობისათვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსათვის, მისი აღმშენებლობისათვის. ამიტომ არის აყვანილი მასწავლებლის პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოებრივი ინტერესის სიმაღლეზე.

სახელმწიფო ხელს უწყობს მასწავლებელს პროფესიული კომპეტენტურობის ზრდაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის, გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სხვათა მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, მათ მიერ ორგანიზებული ტრეინინგები, სამუშაო შეხვედრები დაფუძნებული მასწავლებლის პროფესიულ თუ საგნობრივ სტანდარტზე და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსზე ყველა პედაგოგს აძლევს საშუალებას აიმაღლოს პროფესიული კომპეტენცია

როგორ არის შესაძლებელი მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის ამაღლება და მისი კარიერული ზრდა?
პროფესიული კომპეტენციის ამაღლება პირდაპირპროპორციულ კავშირშია მის კარიერულ ზრდასთან. პროფესიული კომპეტენციის მუდმივი განვითარების სურვილს შეიძლება განაპირობებდეს როგორც მასწავლებლის შინაგანი ინტერესები, მოთხოვნილებები, ასევე გარეგანი, უმეტეს შემთხვევაში, ორივე ერთად. რაც უფრო მაღალკვალიფიციურია მასწავლებელი, მით უფრო წარმატებულია მისი პედაგოგიური პრაქტიკა და მით უფრო დიდია მოთხოვნა მასზე.

სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მაღალკვალიფიციური კადრების მიზიდვის მიზნით, 2010 წლიდან სახელმწიფომ მასწავლებლის პროფესიის რეგულირების მექანიზმი შეიმუშავა, რაც გულისხმობს მასწავლებლობის მსურველი პიროვნების ან მაძიებლის მიერ სასერტიფიკაციო გამოცდის (როგორც ზოგად-პროფერსიული, ასევე საგნობრივი) ჩაბარებით მასწავლებლობის უფლების მოპოვებას. სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მასწავლებლობის მსურველ პირს ენიჭება სერთიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი. ეს მასწავლებლის კარიერიერული ზრდის პირველი ნაბიჯია.

2011 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა და დაამტკიცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.
სქემის მიზანია: ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ ზრდას.
წინამდებარე გზამკვლევში ნაჩვენებია სერთიფიცირებული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის გზა.

პირველი თავი: სქემაში ჩართვისა და მასში მონაწილეობის პირობები

მოცემულ თავში განმარტებული და დაზუსტებულია, რატომ არის სასურველი სერთიფიცირებულ მასწავლებელთა ჩართვა პროფესიული განვითარების სქემაში? ვის აქვს ამის შესაძლებლობა? რატომ და როგორ უწყობს ხელს სქემაში ჩართვა მასწავლებელთა კომეტენციის ამაღლებას? რა აქტივობებში მონაწილეობაა საჭირო პედაგოგთა პროფესიული და კარიერული ზრდისთვის?

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, 2010 წლიდან დაიწყო მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესი. 2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ნებაყოფლობითია და მხოლოდ 2015 წლიდან მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად - აუცილებელი. პედაგოგს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი ენიჭება სასერთიფიკაციო გამოცდის ორივე ნაწილის, საგნობრივი და პროფესიული უნარების, წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. ამით იგი დააგროვებს 21 კრედიტს, აქედან 10,5 კრედიტი მოდის გამოცდის თითო ნაწილზე. ეს არის მასწავლებელთა კარიერული ზრდის მხოლოდ პირველი საფეხური. მასწავლებლის სერტიფიკატის ვადა 8 წლით განისაზღვრა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მასწავლებელი მასწავლებლობის უფლებას ან გამოცდის ხელახლა ჩაბარებით დაადასტურებს, ან ჩაებმება მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში, რაც ხელს უწყობს როგორც მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის, ასევე მის კარიერულ ზრდას.

გამოცდის მხოლოდ ერთი ნაწილის ჩაბარების შემთხვევაში გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა მასწავლებელს 4 წლის მანძილზე შეუნარჩუნდება.

სერთიფიცირებული მასწავლებელი თუ გადაწყვეტს რომ სერტიფიკატი 8 წლის შემდეგ მხოლოდ გამოცდის ჩაბარების მეშვეობით განაახლოს, ის კვლავ სერთიფიცირებულ მასწავლებლად დარჩება. ხოლო მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვით მას ჯერ შეუძლია პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსი მოიპოვოს, შემდეგ კი უმაღლესი კატეგორისა.

მაშასადამე, მასწავლებლის კარიერა სერთიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის მოპოვებით იწყება და მწვერვალს აღწევს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსის მოპოვებით. ეს არის გზა, რომლის გავლას 16 წელი სჭირდება და რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხვეწს და ავითარებს მის პროფესიულ კომპეტენციას.

თუ სერთიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საჭიროა 21 კრედიტის მოპოვება, პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად 32 კრედიტის დაგროვებაა აუცილებელი (გამონაკლისს წარმოადგენს 2010 წლის სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგად სერთიფიცირებული მასწავლებლები. თუ ისინი 2011 წლიდან ჩაერთვებიან სქემაში, პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად 32 კრედიტის ნაცვლად მათთვის სავალდებულოა 28 კრედიტის დაგროვება), ხოლო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლისთვის - 42 კრედიტის. თითოეული კატეგორიისთვის აუცილებელი კრედიტები მასწავლებელმა რვა წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს. გასათვალისწინებელია, რომ ყოველი მომდენვო კატეგორიის მოპოვებისთვის კრედიტების ათვლა იწყება ნულიდან. თუკი მასწავლებელი თავისი კატეგორიის შესაბამის კრედიტებს ვერ დააგროვებს, ის ერთი საფეხურით ჩამოქვეითდება, ხოლო თუკი ვერც მინიმალური რაოდენობის კრედიტებს (21 კრედიტს) დააგროვებს ის კარგავს მასწავლებლობის უფლებას. მაგ. თუ უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლობის მაძიებელი რვა წლის განმავლობაში ვერ დააგროვებს მინიმალურ 32 კრედიტს, კარგავს პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსსაც,

ხოლო თუ 21 კრედიტამდეც ვერ ავიდა, საერთოდ მასწავლებლობის უფლება ჩამოერთმევა.

თუ სერტიფიცირებული მასწავლებელი გადაწყვეტს, ჩაებას "მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში" მან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემიდან უნდა ამოირჩიოს მისთვის სასურველი და დაძლევადი აქტივობები. თითოეული აქტივობის კრედიტების ჯამი უნდა შეადგენდეს ამა თუ იმ კატეგორიისთვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობას. საგულისხმოა, რომ კატეგორიის მოსაპოვებლად სქემაში შემოთავაზებული აქტივობებიდან მასწავლებელმა სულ მცირე შვიდი აქტივობა მაინც უნდა ამოირჩიოს და განახორციელოს 7 წლის განმავლობაში.

მასწავლებლის სქემაში ჩართულობას აკონტროლებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით აწარმოებს სქემაში ჩართული მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგს. მონიტორინგის მობილური ჯგუფის ხელმძღვანელი სამ თვეში ერთხელ ცენტრს წარუდგენს გეგმის შესრულების ანგარიშსა და სქემაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესის ანალიზს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან არსებული საიდენტიფიკაციო კომისია, რომელიც კრედიტების აღიარებას და მასწავლებლის კატეგორიის მინიჭებას ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოებულ პორტფოლიოზე დაყრდნობით, სასერთიფიკაციო დროის ამოწურვამდე, სულ მცირე 7 თვით ადრე, აცნობებს სტატუსის მაძიებელს დაგროვილი კრედიტების რაოდენობას. თუ მას სტატუსის მოსაპოვებლად აკლდება 10,5 კრედიტამდე, შეუძლია დარეგისტრირდეს გამოცდების ეროვნულ ცენტრში და ჩააბაროს მხოლოდ ერთი, საგნობრივი გამოცდა, ამით შეივსოს კრედიტები და მოიპოვოს სასურველი კატეგორია.

რა მოტივი შეიძლება ამოძრავებდეს მასწავლებელს ჩაებას ამ სქემაში?

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა მუდმივად გაზრდის მათ პროფესიონალიზმსა და კომპეტენციას;
- მათზე მოთხოვნა იქნება ყოველთვის დიდი, რადგან პირველი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლების არსებობას სკოლაში მისი ბრენდირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს;
- მათ ექნებათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან კონსულტანტებად, ექსპერტებად, ტრენერებად და ა.შ.

ახლა განვიხილოთ აქტივობები, რომლებიც სქემაში ჩართულმა მასწავლებელმა უნდა განახორციელოს საკუთარი პროფესიული და კარიერული ზრდისთვის:

ა) სამინისტროსა და ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ტრენინგი – 25 საათი/1 კრედიტი;

ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამები – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითად და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;

გ) ტრენინგ-პროგრამები აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების ან აკრედიტებული სხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ – მასწავლებლის

პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;

გაითვალისწინეთ: *ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულია არა 25 საათიანი, არამედ უფრო მოკლევადიანი ტრენინგები (მაგ. ორდღიანო, თითო დღე 5 საათი). ასეთ შემთხვევაში სტატუსის მაძიებელმა რამდენიმე ისეთ ტრენინგში უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომელიც ჯამში მინიმუმ 25 საათს შეადგენს, რაც მას მოუპოვებს შესაბამის კრედიტს.*

დ) სასკოლო ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობა/თანაავტორობა – სახელმწიფოს მიერ გრიფირებული ან აკადემიური გამომცემლობის მიერ გამოცემული. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორობა – 7 კრედიტი, სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 3 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ავტორობა – 4 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 2 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *სახელმძღვანელოს ავტორად ჩაითვლება სტატუსის მაძიებელი მაშინ, თუ ავტორთა რიცხვი არ აღემატება სამს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნება მხოლოდ თანაავტორი;*
- *შესაბამისი კრედიტის მოპოვებისთვის აუცილებელია სახელმძღვანელოს გრიფი ჰქონდეს მინიჭებული სტატუსის მაძიებლის სქემაში ჩართვის შემდეგ;*
- *მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობასთან/თანაავტორობასთან გათანაბრებულია აკრედიტირებული ტრენინგ-მოდულისა და შესაბამისი ტრენინგ-მასალის ავტორობა/თანაავტორობა.*
- *არაგრიფირებული სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება საიდენტიფიკაციო კომისიის მიერ.*

ე) საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა – სწავლა-სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე (7 წლის მანძილზე სულ მცირე 1 პროექტი) – 1 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *საგანმანათლებლო პროექტის ქვეშ იგულისხმება როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი პროექტები.*

ვ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მომხსენებლად მონაწილეობის მიღება – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

გაითვალისწინეთ:

- *სტატუსის მაძიებელ მასწავლებელს კონფერენციაში მომხსენებლად მონაწილეობად ჩაეთვლება არა მარტო ზეპირი, არამედ სტენდური პრეზენტაციაც. (სტენდზე ვიზუალურად წარმოდგენილი საპრეზენტაციო თემის საკვანძო საკითხები).*

ზ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მონაწილეობის მიღება – 0,5 კრედიტი (უნდა წარმოადგენოს დამადასტურებელი საბუთი);

თ) პროფესიული სტაჟირების გავლა – საგნობრივი კომპეტენციის, გამოცდილების შეძენა/გაზიარების მიზნით (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ) – სულ მცირე 25 საათი – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

გაითვალისწინეთ:

- *პროფესიული სტაჟირების ხანგრძლივობა ხშირად ბევრად აღემატება 25 საათს; ასეთ შემთხვევაში მოგენიჭებათ კრედიტები მოგენიჭებათ იმის მიხედვით, თუ რამდენი საათია მითითებული დამადასტურებელ საბუთში.*

ი) საგანმანათლებლო, პროფესიული, პედაგოგიური თემატიკის მქონე საგანმანათლებლო-პედაგოგიურ ჟურნალ – გაზეთში გამოქვეყნებული აკადემიური სახის სტატია – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 სტატია) – 2 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *სასურველია, რომ სტატუსის მაძიებელს სტატია გამოქვეყნებული ჰქონდეს ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც გამოქვეყნებამდე სტატიები შესაბამისი სპეციალისტების რეცენზირებას გადის, ეს მოთხოვნა ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.*
- *იმისათვის, რომ ამ კომპონენტში მასწავლებელს მიენიჭოს კრედიტი, აუცილებელია მინიმუმ სამი სტატიის გამოქვეყნება. ერთი ან ორი სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში სტატუსის მაძიებელს ამ აქტივობაში კრედიტი არ მიენიჭება.*

კ) საგანმანათლებლო თემატიკასთან დაკავშირებული კვლევის ავტორობა – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 კვლევა) – 3 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *კვლევა უნდა ეხებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო თემატიკას;*
- ამ აქტივობაშიც აუცილებელია მინიმუმ სამი კვლევის ჩატარება კრედიტის მოსაპოვებლად. ნაკლები კვლევის ჩატარების შემთხვევაში კრედიტის მინიჭება არ ხდება.

ლ) მენტორ-მასწავლებლად მუშაობა – 1 კრედიტი წელიწადში;

მ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში - (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური) – 2 კრედიტი;

ნ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადებში – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური,) – 1 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *აუცილებელია, ოლიმპიადა ჩატარებული იყოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით ან მის მიერ იყოს აღიარებული;*
- *ოლიმპიადაში გამარჯვებულად ითვლება პირველი სამი ადგილი;*
- *აღნიშნულ აქტივობაში კრედიტი მიენიჭება იმ პედაგოგს, რომელიც მოსწავლეს ოლიმპიადაში გამარჯვების მომენტისათვის ასწავლის;*

- კრედიტის მოსაპოვებლად აღნიშნულ აქტივობაში აუცილებელია სულ მცირე მისმა სამმა მოსწავლემ გაიმარჯვოს ოლიმპიადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელს კრედიტი არ მიენიჭება.

ო) საგნობრივ კათედრაზე აქტივობები – სხვა საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება (სულ მცირე 3 გაკვეთილი) – 1 კრედიტი, დამუშავებული თემის წარდგენა კათედრაზე, სემინარი/კონფერენცია – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეოჩანაწერი);

პ) პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით პრეზენტაციის მოწყობა (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 პრეზენტაცია) – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეოჩანაწერი);

ჟ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში – სასწავლო ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება:
ჟ.ა) მასწავლებელი ქმნის სასწავლო ციფრულ ობიექტებს (პრეზენტაცია, ცხრილი/შეფასების რუბრიკა, ბლოგი, მარტივი კონსტრუქტორით აწყობილი ობიექტები...) და იყენებს სასწავლო პროცესში.
ჟ.ბ) მასწავლებელი ქმნის ელექტრონულ-პორტფოლიოს და ათავსებს ინტერნეტში.
ჟ.გ) მასწავლებელი იყენებს ისტ-ს მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციისათვის – 2 კრედიტი;

რ) სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადეკვატური სასწავლო გეგმის, ჯგუფური და ინდივიდუალური საკლასო/სასკოლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება – 2 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *თუ მასწავლებელს კლასში ჰყავს რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და ქმნის მათთვის განსხვავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, იმდენჯერ მიენიჭება 2 კრედიტი, რამდენი განსხვავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც შეიმუშავა და განახორციელა.*

ს) სამინისტროსა და ცენტრის ეგიდით განხორციელებულ ტრენინგებში ტრენერად მუშაობა – 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) -2 კრედიტი;
ტ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამებში ტრენერად მუშაობა - 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) – 1 კრედიტი.

მართალია გათვალისწინებულია, რომ შეიქმნას სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ე.წ. ”ქსელი”, რომლის საშუალებითაც მათ მუდმივად ექნებათ საშუალება ვირტუალურად (ინტერნეტით) თუ უშუალოდ (სამუშაო შეხვედრები, სემინარები, კონფერენციები...) ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთსწავლებისა, ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც თავად მასწავლებელს ეკისრება, იქნება ეს აქტუალური და დაძლევადი აქტივობების შერჩევა, თუ მათი დროში ადექვატური გადანაწილება და შესრულება.

მასწავლებლის მიერ შერჩეულ აქტივობებზე ჩატარებული მუშაობა დოკუმენტირებულად უნდა იყოს აღწერილი და პორტფოლიოს სახით წარმოდგენილი.

მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა შეადგინოს სქემაში ჩართვის შემდგომ განსახორციელებელი აქტივობების გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი და მათი გადანაწილება შვიდი წლის მანძილზე.

აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში მასწავლებელს შეუძლია გეგმაში ცვლილებების შეტანა.

თუ როგორ უნდა განხორციელდეს თითოეული აქტივობა, როგორ უნდა შედგეს დოკუმენტაცია და თავი მოიყაროს პორტფოლიოში, ამის თაობაზე საუბარი მომდევნო თავებში გვექნება.

მეორე თავი: პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

შესავალი

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი – შედეგზე ორიენტირება და მასწავლებლისთვის საშუალების მიცემა თავად ეძიოს და აირჩიოს შედეგის მისაღწევად უკეთესი გზა, მასწავლებელს მკვლევარად აყალიბებს.

მკვლევარია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მასწავლებელს დაეხმარება, შეძლოს:

- *პედაგოგიური პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენა (გასცეს პასუხი კითხვას რა?);*
- *მიაგნოს მიზეზს, თუ რამ წამოჭრა ეს პრობლემა (გასცეს პასუხი კითხვას რატომ?)*
- *ეძიოს და მიაგნოს პრობლემის დაძლევის ალტერნატიულ გზებსა და ინოვაციებს (გასცეს პასუხი კითხვას როგორ?)*

წინამდებარე თავში საუბარი გვექნება პედაგოგიური საქმიანობის კვლევაზე. კერძოდ:

- *როგორ უნდა წარმართოს მასწავლებელმა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა;*
- *კვლევის რა მეთოდები გამოიყენოს;*
- *კვალიფიციურად როგორ გააფორმოს იგი კვლევის ანგარიშისა თუ სტატიის ფორმით, რომ ხელმისაწვდომი და გასაგები გახდეს კოლეგებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის.*

ამ თავში განხილული საკითხების გაცნობა სქემაში ჩართულ მასწავლებლებს ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემდეგი აქტივობების განხორციელებასა და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაში:

- *საგანმანათლებლო თემატიკასთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება (თავი V, მუხლი 11 კ) - კვლევის სწორი დაგეგმვა და წარმართვა,*

საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების დაძლევა, ახალი სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა.

- *საგანმანათლებლო პროექტის შექმნა და განხორციელება (თავი V, მუხლი 11 ე) - პროექტი წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვლევარ-მასწავლებელმა იცის პედაგოგიური კვლევის სწორად დაგეგმვა და განხორციელება;.*
- *აკადემიური სტატიის დაწერა და/ან საგანმანათლებლო კონფერენციებსა და სემინარებში მომხსენებლად მონაწილეობა (თავი V, მუხლი 11 ვ, ი) – პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესი და შედეგები შეიძლება გაფორმდეს როგორც აკადემიური სტატია ან წარდგენილი იყოს კონფერენციასა თუ სემინარზე მოხსენების სახით მისი პოპულარიზაციის მიზნით.*

კვლევის პროცესი

რა არის კვლევა?

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გამოქვეყნება (კვლევის ანგარიში, სტატია, პროექტი და ა.შ.).

კვლევის პროცესის ცალკეული ნაბიჯები, ისევე როგორც თანმიმდევრობა, შეიძლება განსხვავებული იყოს, რაც დამოკიდებულია კვლევის სფეროსა და ტიპზე. ნებისმიერი კვლევის განხორციელებისას შემდეგი კომპონენტებია გასათვალისწინებელი:

მიზნის დასახვა – კვლევის პროცესის პირველი ეტაპზე უნდა განისაზღვროს რამ განაპირობა საკვლევი თემის არჩევა და რა სავარაუდო შედეგს მოელის მკვლევარი მისგან. ამ ეტაპზე შემდეგ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი;

- ✓ რატომ იქნა შერჩეული ეს თემა/სფერო საკვლევად?
- ✓ რამდენად აქტუალურია იგი?
- ✓ რა პასუხს და ახალ ინფორმაციას ველით ამ კვლევიდან?

რამდენად სწორად არის ამორჩეული საკვლევი თემა/საკითხი, მკვლევარ-მასწავლებელს შეუძლია შემდეგი კრიტერიუმებით გადაამოწმოს. (მესამე პირი არ მოუხდა, ბევრად უფრო ლამაზია და გასაგები პირველ პირში)

- *მოქმედების არეალი:*
  - ☐ ჩემს მიერ არჩეული საკვლევი საკითხი ჩემი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან მომდინარეობს?
  - ☐ მაქვს მე ამის განსახორციელებლად მოქმედების არეალი და შესაძლებლობები?
  - ☐ თუ ძალიან ვარ დამოკიდებული სხვა პიროვნებებზე და ინსტანციებზე?
  - ☐ კოლეგები მზად არიან ჩემთან ითანამშრომლონ?
  - ☐ უკვე დროა, დავიწყო კვლევა, თუ ჯერ საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება?
- *მნიშვნელოვნება:*
  - ☐ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის კვლევა ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი სკოლისა და მოსწავლეებისათვის?
  - ☐ აქვს მას საჭირო აღმზრდელობითი ღირებულება?
  - ☐ მზად ვარ გარკვეული ენერგია და დრო დავახარჯო ამ სიტუაციას?
  - ☐ მაქვს ამ სიტუაციასთან მიმართებაში შეცვლის, გაუმჯობესების, განვითარების გარკვეული სურვილი?
- *დაძლევადობა:*
  - ☐ ნუ აირჩევთ დასაწყისში თქვენთვის დიდ და რთულ საკვლევ საკითხებს. ყოყმანის შემთხვევაში შეჩერდით უფრო კონკრეტულ, შემოსაზღვრულ გეგმებზე.
- *შესაბამისობა:*
  - ☐ რამდენად შეესაბამება ჩემს მიერ კვლევითი სამუშაოსთვის შერჩეული საკითხები ჩემს დანარჩენ პროფესიულ საქმიანობას?
  - ☐ შესაბამისობაში არის თუ არა იგი ჩემი სკოლის განვითარების პრიორიტეტებისათვის?
  - ☐ რამდენად მიესადაგება ჩემი კვლევა ჩემი გაკვეთილის მიზნებს?
  - ☐ შესაძლებელია კვლევითი აქტივობები პირდაპირ საგაკვეთილო პროცესში ჩავრთო (მაგ. ინტერვიუები, ჯგუფური საუბრები, ანკეტირება და ა.შ.)?

ამოირჩიეთ ამოსავალი პუნქტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს.

კვლევის დაგეგმვა – მეორე ეტაპზე მნიშვნელოვანია ამოცანების თანმიმდევრობითი განსაზღვრა და წერილობითი აღწერა, რომლის განხორციელებასაც აპირებს მკვლევარი. (კვლევის დაგეგმვისას მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჩატარებული სამუშაოს მონიტორინგი). ამ ეტაპზე შემდეგ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი:

- ✓ რამდენად ლოგიკურად არის აგებული კვლევის გეგმა?
- ✓ რამდენად არსებობს საჭირო ინტელექტუალური და მატერიალური რესურსები კვლევის საწარმოებლად?

მოპოვებული ცოდნის **შესწავლა და ანალიზი.**

- ✓ რა არის ამ თემის/სფეროს შესახებ უკვე ცნობილი და როგორ ვაფასებთ მას?
- ✓ თემის/სფეროს შესწავლის შემდგომ რამდენად აქტუალურია დასახული მიზანი?

დაგეგმილი კვლევის განხორციელება - **მონაცემების შეგროვება, ანალიზი.**

- ✓ კვლევის პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს?
- ✓ სწორად არის შერჩეული კვლევის მეთოდები?
- ✓ განმეორებითმა კვლევებმა მსგავსი შედეგები აჩვენა თუ განსხვავებული?

დოკუმენტირება და ინტერპრეტაცია – კვლევის მთელი პროცესი: შეგროვილი მონაცემები, მათი ანალიზი, ინტერპრეტაცია და მიღებული შედეგები ასახული უნდა იყოს კვლევის ანგარიშში.

- ✓ მოვიპოვეთ ყველა მონაცემი, მოვახდინეთ მისი ინტერპრეტაცია და დოკუმენტირება?
- ✓ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები ერთმანეთთან შესაბამისობაშია?
- ✓ მკვლევარის მიერ დასახული მიზანი მიღწეულია?

კვლევის (მონაცემთა შეგროვების) მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებულ გზებს, რომელსაც ობიექტური დასკვნებისაკენ მივყავართ, კვლევის მეთოდები ეწოდება.
კვლევის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ:
თვისობრივ (დაკვირვება, ინტერვიურება, ფოკუს-ჯგუფები და ა.შ.) **და რაოდენობრივ** (მაგ. მასობრივი ზეპირი თუ წერილობითი გამოკითხვა – ანკეტირება) მეთოდებად. კვლევის თვისობრივი მეთოდები მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სიღრმისეულ შესწავლას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდები ადგენს შესასწავლი საგნის რაოდენობრივი გავრცელების სურათს.

კვლევის პროცესში რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს კვლევის სანდოობას და მაღალ ხარისხს.

განვიხილოთ კვლევის ზოგიერთი მეთოდი, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ პედაგოგები საკუთარი პრაქტიკის კვლევისას.

დაკვირვება ინფორმაციის შეგროვების მეთოდია, რომლის დროსაც მკვლევარი აკვირდება აქტორების *(პიროვნება, რომლის ქცევა მკვლევარის დაკვირვებისა და შესწავლის საგანია)* მოქმედებას. იგი ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებულია პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ეფექტურობის ასამაღლებლად დაკვირვება უნდა იყოს ხანგრძლივი, ობიექტური, სისტემატური, მრავალმხრივი, მასობრივი.

რამდენიმე რჩევა მკვლევარ-მასწავლებელს, როგორ მოემზადოს დაკვირვებისთვის და როგორ ჩაატაროს იგი:

- თავდაპირველად ჩაინიშნეთ თემები, რომელთა დაკვირვებაც გსურთ (მაგ. მოსწავლეთა თანამშრომლობა);
- ზუსტად ჩამოყალიბდით ამ თემის ჩარჩოში რის დანახვას ისურვებდით (რა იქნებოდა თქვენთვის მაგ. თანამშრომლობის დამაკმაყოფილებელი ნიშნები – კრიტერიუმები);
- ჩამოწერეთ რას, როდის, რა ხანგრძლივობით და ინტენსივობით დააკვირდებით და ზუსტად ჩამოაყალიბეთ თქვენი მოლოდინები;
- შექმენით დაკვირვების სქემები, შედეგები დააფიქსირეთ, შემდეგ დაამუშავეთ;

- ეს მეთოდი გამოიყენეთ კვლევების საწყის ეტაპებზე სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში.

ინტერვიურება - ინტერვიუს მიზანია, ინტერვიუერმა რესპოდენტისგან გაიგოს ის, რაც მისთვის მნიშვნელოვანია.

როგორ უნდა მოემზადოს მკვლევარი-მასწავლებელი ინტერვიუსთვის?
ინტერვიუსთვის საკვანძო კითხვების მოსამზადებლად მკვლევარმა-მასწავლებელმა ორიენტაცია შემდეგ ასპექტებზე უნდა აიღოს;

1. კითხვების ჩამოყალიბება:
    - ჩაინიშნეთ ყველა საკითხი, რომლის შესახებაც გსურთ მიიღოთ ინფორმაცია;
    - გაეცანით საკითხის ირგვლივ უკვე არსებულ დოკუმენტაციას, ლიტერატურასა და ინფორმაციას;
    - ზუსტად, გარკვევით და გასაგებად ჩამოაყალიბეთ კითხვები, რომელსაც დაუსვამთ რესპოდენტს;
2. კითხვების დაჯგუფება და თანმიმდევრობა:
    - დააჯგუფეთ კითხვები მნიშვნელოვნების მიხედვით (ძირითადი და მეორეხარისხოვანი);
    - ყურადღება მიაქციეთ კითხვების თანმიმდევრობას - ინტერვიუ დაიწყეთ ისეთი ღია კითხვებით, რომელიც გახსნის რესპოდენტს, "გაალღობს ყინულს";
    - არ არის სასურველი მნიშვნელოვანის ინტერვიუს ბოლოში გადაწევა;
    - კრიტიკული შეკითხვები უმჯობესია მოიტოვოთ ინტერვიუს დასასრულს.

3. მასალის მომზადება;
    - არ დაგავიწყდეთ ინტერვიუსთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობის (მაგ. ხმის ჩამწერის) გამართვა.

როგორ უნდა წაიყვანოს მკვლევარმა-მასწავლებელმა ინტერვიუ?

1. თავდაპირველად რესპოდენტს თანამშრომლობა სთხოვეთ და ინტერვიუს მიზანი გააცანით. ამით რესპოდენტი კვლევის თანამონაწილედ იგრძნობს თავს და უფრო მზად იქნება, საკუთარი ნაფიქრალი გაგანდოთ.
2. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ინტერვიუ განასხვავონ მასწავლებელთან უშუალო კომუნიკაციის სხვა სიტუაციებისგან. თუ ისინი ინტერვიუს ისე აღიქვამენ, როგორც მაგალითად, გამოცდის ერთ-ერთ სახეს, ისეთ პასუხებს გასცემენ, რომელიც მათი რწმენით, მასწავლებელს სურს მოისმინოს.
3. გირჩევთ, ინტერვიუ ჩაიწეროთ, ამით მიიღებთ აუთენტურ (*პირველწყაროდან მოპოვებულ*) მასალას და უკეთ მოახდენთ კონცენტრირებას რესპოდენტის პასუხებზე.
4. გამოიჩინეთ რესპოდენტის მიმართ ყურადღება, მოთმინება, ემპათია (*თანაგანცდა),* დაიცავით გარკვეული დისტანცია, იყავით სამართლიანები, რათა მოიპოვოთ მისი სიმპათია და მას გაუჩნდეს სურვილი, გასცეს თქვენთვის საჭირო ინფორმაცია.
5. იყავით აქტიური მსმენელები:

- აზრის მსვლელობა რესპოდენტს არ შეაწყვეტინოთ;
- მიეცით რესპოდენტს პაუზების საშუალება, რადგან იგი ფიქრის ბუნებრივი ფაზაა;
- მშვიდად მოისმენეთ რესპოდენტის ყველა აზრი, ისეთიც, რომელსაც არ ეთანხმებით;
- თავი აარიდეთ ზედმეტად დადებითი ემოციის გამოხატვასაც, რადგან ამ შემთხვევაში რესპოდენტი (მოსწავლე) იტყვის მხოლოდ იმას, რაც ინტერვიუერის მხრიდან (მასწავლებლის მხრიდან) პოზიტიურად შეფასდება.
  - არ დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია, ეს იწვევს მოპასუხის მანიპულირებას;

6. რესპოდენტის პასუხების მნიშვნელოვანი დეტალები რომ არ გამოგრჩეთ, საჭიროა:
   - მათი გამონათქვამები გაიმეოროთ, გადაამოწმოთ, სწორად გაიგეთ თუ არა იგი;
   - სთხოვეთ რესპოდენტს, საჭიროების შემთხვევაში დააკონკრეტოს ნათქვამი და ილუსტრირებისთვის მაგალითი მოიყვანოს.

ფოკუს-ჯგუფი ჯგუფური ინტერვიუს სახეობაა. ამ მეთოდს "ჯგუფურ დისკუსიასაც" უწოდებენ. ფოკუს ჯგუფის დროს წარმოქმნილი დისკუსიის შედეგად უკეთ ვლინდება რესპოდენტების დამოკიდებულება გარკვეული პრობლემისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები, რაც ხშირად არც არის გათვითცნობიერებული რესპოდენტების მიერ.
ფოკუს-ჯგუფის დროს ყველა მონაწილეს უნდა მიეცეს აზრის თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალება. ფოკუს-ჯგუფის წარმატებას დიდად განსაზღვრავს ჯგუფის წამყვანის, ანუ მოდერატორის ხელოვნება. Mმისი მთავარი დანიშნულებაა გაუძღვეს დისკუსიას იმ სადისკუსიო გეგმის საფუძველზე, რომელიც წინასწარ აქვს შემუშავებული. მოდერატორმა ხელი უნდა შეუწყოს მონაწილეთა გულახდილობას, ჯგუფის ყველა წევრის მაღალ ჩართულობას დისკუსიაში;
ფოკუს-ჯგუფის მეთოდის უპირატესობები:

ეს მეთოდი მკვლევარ-მასწავლებელს საშუალებას აძლევს

- თვალი ადევნოს მოსწავლეთა აზრების ჩამოყალიბების პროცესს;
- დაფიქრდეს, რატომ ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხზე მოსწავლეები ასე და არა სხვაგვარად;
- დაინახოს ესა თუ ის საკითხი ახალი თვალით;
- გამოყოს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეიძლება არ გამოაშკარავებულიყო ინტერვიუს დროს;
- აღმოაჩინოს ახალი თემები და წამოჭრას ახალი ჰიპოთეზები.

კვლევის რა ეტაპზე უნდა გამოიყენოთ ფოკუს-ჯგუფის მეთოდი?

- კვლევის დაზვერვით ეტაპზე, როგორც ნაკლებად ცნობილი პრობლემის შესწავლის პირველი ნაბიჯი, რაც დაგეხმარებათ საერთო ჰიპოთეზების ფორმულირებაში;
- ფოკუს-ჯგუფები კარგად უთავსდება კვლევის სხვა მეთოდებს, ამიტომ გამოიყენება სხვა მეთოდებთან, კერძოდ კი მასობრივ გამოკითხვასთან ერთად. ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებული თვისობრივი ინფორმაცია,

როგორც წესი, ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს და სასარგებლო მასალას იძლევა მასობრივი გამოკითხვის კითხვარის შესადგენად.

როგორ მუშავდება ფოკუს-ჯგუფის შედეგად მიღებული შედეგები?

ფოკუს-ჯგუფის ჩატარების შემდეგ ხდება მის მსვლელობაში ჩაწერილი საუბრის ქაღალდზე ან კომპიუტერში სრულად გადატანა, რის შედეგადაც იქმნება საუბრის ტრანსკრიპტი *(ინტერვიუს ან ფოკუს ჯგუფის აუდიო ჩანაწერის ქაღალდზე გადატანის/გაშიფრვის შედეგად მიღებული ტექსტი),* ამ ტრანსკრიპტის საფუძველზე მკვლევარი ამზადებს კვლევის ანგარიშს, რომელიც შეიცავს პასუხებს კვლევის პროგრამაში დასმულ კითხვებზე. ეს არის ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ციტატებს რესპოდენტთა პასუხებიდან, ასევე მკვლევარის დასკვნებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.
ფოკუს-ჯგუფის ჩატარების შედეგად მიღებული შედეგების განზოგადოება მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ ერთი და იგივე პრობლემაზე ჩატარებული იქნება რამდენიმე ფოკუს-ჯგუფი მაინც.

ანკეტირება არის ინტერვიუს სტრუქტურირებული სახე, რომელიც კითხვარის გამოყენებით წარიმართება. ანკეტირების დროს რესპოდენტი თავად კითხულობს კითხვარის კითხვებს და თავადვე აღნიშნავს პასუხებს, რომლებსაც ეთანხმება. ანკეტირება იმით განსხვავდება ინტერვიუსაგან, რომ აქ ინტერვიუერს რესპოდენტის პასუხებზე უშუალო რეაგირება არ შეუძლია, ასევე შეუძლებელია გზადაგზა დამაზუსტებელი კითხვების დასმა.

როგორ უნდა მოემზადოს მკვლევარი-მასწავლებელი ანკეტირებისთვის?

- შეძლებისდაგვარად დეტალურად გაიაზრეთ, რისთვის გჭირდებათ მოსწავლეთა პასუხები. რაც უფრო ზუსტად გექნებათ ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, მით უფრო სტრუქტურირებული იქნება ანკეტა;
- კითხვების ფორმულირებისას კიდევ ერთხელ გააანალიზეთ, რამდენად გაგიყვანთ ეს კითხვები შედეგზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გექნებათ ბევრი უსარგებლო მონაცემი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაკლებობა;
- უარი თქვით კომპლექსურ, მოსწავლეთათვის რთულად გასაგებ, ორაზროვან კითხვებზე.

პედაგოგიურ კვლევებში იხმარება სხვადასხვა ტიპის ანკეტები. როგორიცაა **დახურული, ღია, სახელობითი, ანონიმური**.
ანკეტა დახურულია, როდესაც კითხვას თან ახლავს პასუხის შესაძლო ვარიანტების სია.
ღიაა კითხვა, რომელიც არ სთავაზობს რესპოდენტებს პასუხის შესაძლო ვარიანტებს. ამ ტიპის კითხვები მიზანშეწონილია, რადგან რესპონდენტი შეზღუდული არ არის პასუხში, მაგრამ მათი სტატისტიკური დამუშავება ძალიან შრომატევადია, ამიტომ ღია კითხვები უფრო ფართოდაა გავრცელებული და დამახასიათებელი თვისობრივი კვლევისთვის.
ანონიმური ანკეტის უპირატესობა სახელობით ანკეტასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ანონიუმურობის დაცვის შემთხვევაში რესპოდენტი უფრო გულწრფელია და ამდენად, მისი პასუხი უფრო ზუსტია.

კვლევის ანგარიში

კვლევის მთელი პროცესი თავს იყრის კვლევის ანგარიშში.
განვიხილოთ ის ძირითადი პრინციპები, რაც კვლევის ანგარიშის შექმნას უდევს საფუძვლად:

- **გაითვალისწინეთ მკითხველი** – სანამ კვლევის ანგარიშის წერას დაიწყებთ, გაითვალისწინეთ მკითხველის გათვითცნობიერებულობა ამ საკითხში და მისი მოლოდინები და ამის მიხედვით ააგეთ ანგარიში. თუ კვლევის ანგარიშს პროფესიონალებისთვის ამზადებთ, ყურადღება გაამახვილეთ მეთოდების დეტალურ აღწერასა და მონაცემების ინტერპრეტაციაზე. ფართო აუდიტორიისთვის კი გამოიყენეთ მარტივი ენა, მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები და კვლევის პრაქტიკულ შედეგებზე გაამახვილეთ ყურადღება.
- **ჩამოაყალიბეთ მიზანი** – მკითხველი და მიზანი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. თუ მკითხველი ნაკლებ ინფორმირებულია, ანგარიშის მიზანი უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდება.
- **დაიწყეთ შესავალით** - შესავალშივე წარმოადგინეთ თეზისები (ძირითადი პუნქტები) და ჩამოაყალიბეთ საკუთარი პოზიცია. ეს ხელს უწყობს ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობის შენარჩუნებას და როდესაც მკითხველისთვის თავიდანვე ცნობილია ავტორის პოზიცია, მას გაუადვილდება ავტორის მოსაზრებების სწორი შეფასება.
- **სტრუქტურა** – კვლევის ანგარიშის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: შესავალი, მეთოდები, შედეგები და დასკვნა. ეს სტრუქტურა მკაცრად უნდა იყოს დაცული, რადგან ყოველი მომდევნო საფეხური გამომდინარეობს წინა საფეხურიდან.
- **სტილი** – კვლევის ანგარიში დაწერილი უნდა იყოს აკადემიური, ოფიციალური ენით. ნაშრომი მომზადებული უნდა იყოს მესამე პირში და არ უნდა გამოხატავდეს მკვლევარის პირად პოზიციას.
- **ლოგიკური თანმიმდევრულობა** – ავტორის ყველა არგუმენტი უნდა ამყარებდეს მის ძირითად პოზიციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა იდეა ლოგიკურ კავშირში უნდა იმყოფებოდეს და ავტორი არ უნდა მერყეობდეს სხვადასხვა მოსაზრებას შორის.

კვლევის ანგარიშის სტრუქტურა:

შესავალი

შესავალის მიზანია საკვლევი სივრცის შექმნა და მკითხველის მოპოვება. ის სამი ძირითადი საფეხურისაგან შედგება:

1. საკვლევი სივრცის შექმნა
    - დასმული უნდა იყოს პრობლემა და ჰიპოთეზები წამოყენებული;
    - ნაჩვენები უნდა იყოს პრობლემის აქტუალობა;
    - მიმოხილული უნდა იყოს ამ საკითხებზე უკვე არსებული გამოკვლევები;
2. კონტექსტის შექმნა
    - გამოკვეთილი უნდა იყოს ის საკითხები, რომელიც კვლევის საგნად ამ სფეროში არ ქცეულა და იმსახურებს კვლევას;

3. კონტექსტის ათვისება
    - კვლევის მიზანი უნდა იყოს განსაზღვრული;

- სასურველია, დასაწყისშივე იყოს მოცემული ძირითადი დასკვნები და ნაშრომის სტრუქტურა.

მეთოდები

კვლევის ანგარიშის ამ სექციის მიზანია ახსნას, თუ როგორ ჩატარდა კვლევა – რა მონაცემები იქნა მოპოვებული და როგორ, რა გზით და როგორ განხორციელდა მათი ანალიზი.

მეთოდების სექციაში მოცემულია:

- სამიზნე ჯგუფი (კვლევაში მონაწილე ადამიანები), როგორ განხორციელდა მათი შერჩევა და კვლევაში ჩართვა;
- მონაცემების შეგროვების აღწერა (დაკვირვება, ინტერვიუ, ანკეტირება და ა.შ.), რომლის მიზანია შეფასდეს, თუ რამდენად სანდოა მოპოვებული მონაცემები; ასევე ის საშუალებას აძლევს მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, გაიმეოროს კვლევა, რაც კიდევ ერთხელ იძლევა მონაცემების შემოწმების საშუალებას.
- კვლევის პროცესში არსებული პრობლემებისა და მათი გადალახვის გზების აღწერა.
- საკვლევი გარემოს აღწერა – კვლევის მონაცემების სანდოობა ხშირად დამოკიდებულია კვლევისთვის შერჩეული გარემოს ადექვატურობაზე.
- მონაცემთა ანალიზის ტექნიკის განხილვა ამ სექციის საკვანძო ელემენტია, რადგან ანალიზის ტექნიკაზე დიდადაა დამოკიდებული მონაცემების სწორად დამუშავება და მიღებული შედეგების სანდოობა.

შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ანგარიშის შედეგების სექცია ძირითადად ცხრილებისა და გრაფიკებისაგან შედგება, თვისობრივი კვლევის ანგარიში კი მოიცავს დაკვირვების და ინტერვიუს ჩანაწერებს, ფოტოებს, ნახატებს და ა.შ.

კვლევის ანგარიშის შედეგების სექცია უნდა მოიცავდეს:

- მეთოდოლოგიის დასაბუთებას;
- შედეგების ინტერპრეტაციას;
- არსებულ გამოკვლევებთან თანხმობის დადგენას;
- მიღებულ მონაცემებთან დაკავშირებით კომენტარებს;
- ინტერპრეტაციის პროცესში გაჩენილი სირთულეების ჩვენებას.

დასკვნა

დასკვნაში მკვლევარი გაიმეორებს და შეაჯამებს ძირითად დასკვნებს, ამასთან მიღებულ შედეგებს უკვე არსებული კვლევების ფონზე გააშუქებს.

მაშასადამე, კვლევის ანგარიშის დასკვნაში ხდება საკვლევი სივრცის გამთლიანება და მომავალი კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა.

ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესები

ლიტერატურის დამოწმების წესები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული იყო, ამჟამად საერთაშორისო სივრცეში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის APA-ს მიერ შემოთავაზებული ბიბლიოგრაფიის მითითების ტექნიკა.

ნაშრომის გაფორმებისას გამოყენებული ლიტერატურის დამოწმება უნდა მოხდეს როგორც ტექსტში, ასევე ტექსტის ბოლოს.

დამოწმება ტექსტში:

- ავტორის (ან რედაქტორის - კოლექტიური მონოგრაფიის შემთხვევაში) გვარი, ნაშრომის პუბლიკაციის თარიღი, გვერდი ან გვერდები. (მაგ.: უზნაძე 1960 : 352).

- თუ იმ წელს არის გამოცემული მრავალტომიანი ნაშრომის რამდენიმე ტომი, ავტორის გვარის შემდეგ მითითებული იქნება წელი, შემდეგ ტომის ნომერი (მაგ.: უზნაძე 1960. I : 300)

- თუ ავტორს იმ წელს რამდენიმე ნაშრომი აქვს დაბეჭდილი, ნაშრომის გვარის შემდეგ მითითებული იქნება წელი, წლის ბოლო ციფრის ზედა კუთხეში ნაშრომის შესაბამისი ლათინური ასო. (მაგ.: ლორთქიფანიძე 1995 ა : 305).

- თუ გარკვეული იდეა რამდენიმე წყაროშია მოხსენებული, მისი მითითება შემდეგი სახით ხდება:
  - ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომის მითითება მათი გამოცემის თარიღის მიხედვით ხდება: (უზნაძე 1956, 1960).
  - თუ ავტორს ორი ნაშრომი ერთ წელსაა გამოცემული, ისინი შემდეგი სახით უნდა განვასხვავოთ: (უზნაძე 1960, 1960°).
  - სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით: (ადამი 2005; გრუნდერი 2010; ფიშერი 2008)

დამოწმება ტექსტის ბოლოს (გამოყენებული ლიტერატურის სია):

- ავტორის გვარები ანბანურ რიგზე ლაგდება.
- ავტორის გვარის ქვემოთ იწერება გამოცემის წელი, შემდეგ ნაშრომის სრული დასახელება, თუ წიგნია დამოწმებული - გამოცემის ადგილი, და გამომცემლობა. თუ გამომცემლობას აქვს საკუთარი სახელი, მაშინ იწერება ბრჭყალებში. მაგ.:

  ჭაბაშვილი მ. (1989). უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი: "განათლება"

- წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს, იწერება პირველი ავტორის გვარი, ინიციალი, მეორე ავტორის გვარი, ინიციალი და დანარჩენი ჩვეულებრივად.

- თუ ვიმოწმებთ სტატიას სამეცნიერო კრებულიდან ნაშრომის სრული დასახელების შემდეგ ფრჩხილებში იწერება კრებულის სახელწოდება მთავრულით უბრჭყალებოდ, შემდეგ გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდები). მაგ.:

  ქურდიანი მ. (2002). ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. (ქართველი ხალხის ეთნოგენეზისი. თბილისი : "მემატიანე" : 57-92.)

- ანალოგიურადვე მიეთითება წიგნში (კოლექტიურ მონოგრაფიაში) დაბეჭდილი სტატია (თავი). მაგ.:
-

  მენაბდე ე. (1988). ძველი ჩინეთი (წიგნში: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია", თბილისი: „მეცნიერება": 453-482

- ჟურნალის დამოწმების შემთხვევაში ნაშრომის სრული სახელწოდების შემდეგ ფრჩხილებში იწერება ჟურნალის დასახელება მთავრულად ბრჭყალებში, ნომერი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, და გვერდები. მაგ.:

  ქურდიანი მ. (2000). საერთო-ქართველური საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი ენობრივი მონაცემების მიხედვით. V. („ქართველური მემკვიდრეობა“. IV, ქუთაისი : „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“: 338-349)

- კოლექტიური მონოგრაფიის შემთხვევაში დამოწმება ხდება ა) ავტორებით, თუ მათი რაოდენობას სამს არ აღემატება, ბ) თუ ავტორთა რაოდენობა სამს აღემატება, ანუ თუ კრებულთან გვაქვს საქმე, მაშინ მხოლოდ რედაქტორის გვარი მიეთითება ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნით - (რედ.).

- გაზეთიდან სტატიის დამოწმების შემთხვევაში, იწერება ავტორის გვარი, ინიციალი, გამოცემის თარიღი, სტატიის სათაური, გაზეთის სათაური, გვერდები. მაგ.:

  ქავთარია გ. (1997). ძველი ბერძნული სკოლა (გაზ. “ბურჯი ეროვნებისა”: წერილი პირველი N5 (22): 6-11, წერილი მეორე N6 (23): 8-13, წერილი მესამე N7 (24): 6-11)

- არანაბეჭდი წყაროების დამოწმებისას იწერება გვარი, ინიციალი, პოზიცია, თარიღი, სათაური (ფილმი, ტელეგადაცემა), გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.
- ინტერნეტიდან მასალის დამოწმების შემთხვევაში, იწერება ავტორის გვარი, ინიციალი, ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი, დოკუმენტის სათაური, ნაშრომის სათაური სრულად, ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი და საიტის მისამართი.

კვლევის პროცესი და შედეგები შეიძლება ასევე გაფორმებული და გამოქვეყნებული იყოს სტატიის სახითაც.

სტატია

რა თქმა უნდა, არაა ადვილი უნივერსალური რჩევების მიცემა მისთვის, ვინც სტატიის დაწერას გადაწყვეტს, თუმცა არსებობს არაერთი კომპონენტი, რომელსაც კარგი სტატია უნდა მოიცავდეს. აქ ჩვენ შევეცდებით მასწავლებელს მივცეთ საშუალება უფრო გაცნობიერებულად მიუდგეს საკითხს, უფრო გაიაზროს სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები.

იმისათვის რომ დაწერო სტატია, რომელიც დააინტერესებს მკითხველს, უნდა შეძლო სწორედ მისი თვალით შეხედო საკითხს/პრობლემას და მისი თვალთახედვით შეაფასო. დაფიქრდე, შენ რომ მკითხველი იყო, რის წაკითხვას ისურვებდი მოცემულ საკითხზე. არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სტატია უნდა იყოს კარგად დაწერილი, უშეცდომო და ადვილად, საინტერესოდ წაკითხვადი.

სტატიების წერისას თავი უნდა ავარიდოთ პლაგიატს, რაც გულისხმობს ავტორის/წყაროს დასახელების გარეშე სხვისი ნააზრევის საკუთარად გასაღებას, ან გამოყენებას. ამდენად თუკი მოტანილ ნაწყვეტში სიტყვების თანმიმდევრობა დაცულია, ის უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და დასახელდეს ავტორი, პუბლიკაცია, ვებ-გვერდი, საიდანაც აღებულია იგი; ხოლო თუკი ნააზრევის პერეფრაზირება, ანუ თქვენი

სიტყვებით გამოიხატება ძირითადი იდეა, ასეთ დროს გამოყენებულ ლიტერატურაში უნდა მიეთითოს წყარო.

არ არსებობს ერთიანი მიდგომა სტატიების კლასიფიკაციაზე, სხვადასხვა დარგში, თუ ჟურნალისტიკაში ტიპობრივი მრავალფეროვნება გვხვდება. შესაბამისად შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი ტიპები ნაწილობრივ ერთმანეთს ფარავდეს, არ იყოს მათ შორის მკაფიო საზღვრები, ან იცნობდეთ სხვა სახის კლასიფიკაციასაც, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ სტატიების ტიპები, რომელთა სათანადო პერიოდულ კრებულებში გამოქვეყნება საშუალებას მოგცემთ მიიმატოთ სასურველი კრედიტები. ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ სტატიაში მთავარი მისი შინაარსი, ღირებულება, გამოყენებთი დანიშნულებაა. უნდა შეძლოთ თავი მოუყაროთ თქვენს ნაკვლევს, თქვენს ნააზრევს და მიიტანოთ ყოველივე აღნიშნული მკითხველამდე.

სტატია რეფერატი – რომელიმე პუბლიკაციის შინაარსის (წიგნი, სტატია) მოკლედ გადმოცემა, რაც მიზნად ისახავს მის პოპულარიზაციას, დაინტერესებული უფრო ფართო წრისთვის მის გაცნობას. უადვილებს მკითხველს შთაბეჭდილება შეიქმნას ამა თუ იმ პუბლიკაციაზე და ამის მიხედვით გადაწყვიტოს თუ რამდენად ღირებულია მისთვის შემდგომში მისი წაკითხვა.

შესავალი სტატია – ამა თუ იმ ავტორის თხზულებათა კრებულის ან ცალკეული ნაწარმოებისათვის წამძღვანებული სტატია, დაწერილი სხვათა მიერ. ძირითადად, ასეთი შინაარსის ნაწერი წიგნს წინასიტყვაობად ერთვის, თუმცა შესაძლოა მისი დამოუკიდებელ სტატიად გამოქვეყნებაც.

მიმოხილვითი სტატია – ეს არის კომპილაციური ნაშრომი სადაც ერთიდაიგივე საკითხის, მეთოდოლოგიის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებების მიმოხილვა ხდება. ასეთი სტატია თავისუფალია ავტორისეული შეხედულებებისაგან და მხოლოდ ფაქტების, სხვათა მოსაზრებების მიმოხილვით შემოიფარგლება. ამ ტიპის სტატია კარგი რესურსია ამ კონკრეტული საკითხით დაკავებული მკვლევარისთვის, რადგან მას საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრებებს თავმოყრილად აწვდის.

სამეცნიერო-პოპულარული სტატია – სტატია, რომელიც მეცნიერების, კულტურის, გამოყენებითი საქმიანობის სფეროს ეხება და ისეთი ფორმითაა გადმოცემული, რომ გასაგებია არასპეციალისტი მკითხველისათვისაც. მსგავსი ტიპის სტატიები ხელს უწყობს მკითხველის თვალსაწიერის გაფართოვებას.

ემპირიული (ემპირიაზე დამყარებული, ცდისეული) კვლევითი სტატია – იწყება ლიტერატურის სიღრმისეული მიმოხილვითა და თეორიაზე დაფუძნებული ჰიპოთეზის განვითარებით. სტატია უნდა მოიცავდეს ვრცელ კვლევით ნაწილს, ინფორმაციის შეგროვების მეთოდოლოგიას, ეფექტურობის შესამოწმებელ აღწერილობას, მოპოვებული მასალის ანალიზს, მიგნებებზე დისკუსიას, შეთავაზებებსა და რჩევებს მათთვის, ვინც გადაწყვეტს იგივეს დანერგვას. სტატია შეიძლება მომზადდეს ჩატარებულ საგანმანათლებლო კვლევაზე, რათა მისი შედეგები ფართო აუდიტორიას გაეზიაროს.

სტატია შემთხვევის კვლევაზე – ამ ტიპის სტატია უნდა ეფუძნებოდეს მაღალი ხარისხის ინოვაციურ კვლევას განათლებაში. ის უნდა მოიცავდეს ერთი საგანმანათლებლო ინოვაციის დანერგვას კონკრეტული მაგალითის, კლასის ან კლასების სიღრმისეულ შესწავლას, დოკუმენტაციებსა და ჩანაწერებზე დაყრდნობით. ანალიზისას მსგავსება-განსხვავებებზე უნდა იყოს მინიშნებები, რითი განსხვავდება ადრე არსებულისგან და ეს ყოველივე დოკუმენტურად დადასტურებული. ავტორი თავისი დაკვირვების საფუძველზე აკეთებს კომენტარებს და ხსნის შემთხვევის

დეტალებს. წერის დროს უნდა იყოს ჩამოყალიბებული მკაფიო მიზანი და სტატია მიზნის შესაბამისად გაშლილი.

კონცეპტუალური/თეორიული სტატიები – ამ ტიპის სტატია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურული წყაროებიდან მკაცრად უნდა იყოს დასაბუთებული. ფოკუსი შეიძლება გაკეთდეს ერთ მიდგომაზე/საკითხზე/თეორიაზე ან ორის შედარებაზე. ამგვარი სტატიები მნიშვნელოვანი არის თეორიული საკითხების შესწავლისთვის.

კრიტიკული სტატია - ხშირ შემთხვევაში კრიტიკა გაიგივებულია უარყოფითთან, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობით "განცალკევებას", ან "გამიჯვნას" ნიშნავს. მისი დაწერა კრიტიკული ანალიზის გარეშე შეუძლებელია. ზოგადად ნიშნავს, რომ ეჭვი შეგაქვთ რაღაც მოსაზრებაში და თქვენს აზრსა და ნაფიქრს გადმოსცემთ სტატიის ფორმით. კრიტიკის დაწერა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი შეგიძლიათ სხვის ლოგიკას გაჰყვეთ, საკითხში კარგად ხართ ჩახედული და შეგიძლიათ ავტორისეული პოზიციის ორაზროვნება და საკუთარის მართებულობის წარმოჩენა.

კრიტიკულია სტატია თუკი თქვენ შეგიძლიათ ავტორისეული ნაწერის განხილვა და წერისას თქვენი პოზიციის დაცვა. კრიტიკულად მასალის გააზრებისას უმჯობესია წყაროს მთლიანობაში წაკითხვა და ერთიანი შთაბეჭდილების შექმნა, მხოლოდ ამის შემდეგ მისი დანაწევრება და თითოეულ ნაწილზე რეაგირება.

კრიტიკა შეიძლება ოთხ ნაწილად დაიყოს, ესენია: შესავალი, შეჯამება, თქვენი პასუხი და დასკვნა.

შესავალში მოკლედ უნდა მოხდეს ავტორისა და ასევე ნაშრომის მიმოხილვა, თუ სად დაიბეჭდა, და თუ რატომ მოხდა მისით დაინტერესება; მითითება უნდა იყოს იმაზე, თუ რა საკითხებს განიხილავთ. შეჯამებაში მიმოხილულია ნაშრომის მიზანი, დეტალურად ავტორის თვალსაზრისი, მისი ძირითადი არგუმენტების განხილვა; პასუხში კი აღნიშნული უნდა იყოს ის საკითხები რომელსაც ეთანხმებით და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილოთ ისინი, რომლებსაც არ ეთანხმებით; აქ თქვენი პოზიცია არგუმენტებით უნდა გაამყაროთ. აქვე შეიძლება გაეცეს პასუხი ნაშრომი არის თუ არა სიახლე, ღირებული, საინტერესო, შეაქვს თუ არა მას წვლილი მკითხველის პროფესიულ ზრდაში; დასკვნა გადმოსცემს კრიტიკული სტატიის მთავარ იდეებს და თქვენეული შეფასებების შეჯამებას.

როგორი უნდა იყოს ნებისმიერ სტატიაზე მუშაობის სქემა? სქემის უფრო წვრილ ეტაპებად ჩაშლა თავისუფლად შეიძლება, თუმცა ამ აქ გთავაზობთ ზოგად ეტაპებს, რომლის გარეშეც სტატია ვერ დაიწერება. ესენია:

- ინფორმაციის სწორი სელექცია
- ინფორმაციის დამუშავება და გადამოწმება
- რედაქტირება

შეუძლებელია ვისაუბროთ სტატიის დაწერაზე ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ეტაპის გარეშე. რა თქმა უნდა, სტატია ვერ დაიწერება საკითხის/პრობლემის გარშემო სათანადო ინფორმაციის შეგროვებია გარეშე. სტატიას სრულფასოვანსა ხდის, როცა საფუძვლად აღებული ინფორმაცია სხვადასხვა სანდო წყაროს ეყრდნობა. რეალურად სტატიის ზომა ყოველთვის ბევრად უფრო ნაკლებია შავ, მოპოვებულ მასალაზე. ხდება ისეც რომ მეორე ეტაპზე (ინფორმაციის დამუშავება და გადამოწმება) ნათელი ხდება, რომ საწყისი ინფორმაცია არასაკმარისია, ან არასანდოა. ასეთ დროს მისი შემდგომ ეტაპზე გადასვლა აზრს მოკლებული ხდება. არასრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

მომზადებული სტატია ყოველთვის ხარვეზებს შეიცავს და მთლიანობაში უხარისხოა. თუკი ასსეტ შემთხვევასთან გაქვთ საქმე, მაშინ ავტორი საჭიროა ისევ პირველ, შეგროვების ეტაპს მიუბრუნდეს, ან გადადოს მასალა მომავლისთვის, დააარქივოს იგი და დაელოდოს მოვლენების განვითარებას. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხშირად ხდება, რომ ნაკლული ინფორმაცია ავტორისთვის ხელმისაწვდომი ხდება და უკვე სტატიის დასრულებაც წინააღმდეგობებთან აღარ არის დაკავშირებული.

არსებობს რამოდენიმე მარტივი, უნივერსალური რჩევა, თუ როგორ იწერება სტატია:

1. გახსოვდეთ მკითხველი

სანამ წერას დაიწყებთ, დაფიქრდით აღნიშნულ საკითხზე. როგორც მკითხველმა, წარმოიდგინეთ თუ რის წაკითხვას ისურვებდით. თუკი ამ კითხვაზე აზრის ჩამოყალიბება არ გაგიჭირდებათ, ეს ნიშნავს რომ სტატიის მონახაზი უკვე გაქვთ და მას კარგად გაართმევთ თავს. ჩვენ ყველანი, როგორც მკითხველები სტატიისგან მოველით, რომ ის იქნება ინფორმატიული, ინოვაციური და საინტერესო. სწორედ მკითხველზე ფიქრი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს თქვენს მიერ მომზადებული სტატია. პოტენციური მკითხველთა წრის გათვალისწინება აადვილებს სტატიის დეტალების განსაზღვრას, როგორი უნდა იყოს სტატიის ენა, ვესაუბროთ თუ არა მათ აკადემიურად, თუ შევინარჩუნოთ პოპულარული, ყველასათვის მისაღები და გასაგები ლექსიკა. რა ტიპის მაგალითის მოყვანა იქნება უპრიანი და ადვილი…აღსაქმელად.

2. აარჩიეთ თემა/საკითხი/პრობლემა

მხოლოდ სტატიის დაწერის სურვილი არაა საკმარისი მის დასასრულებლად. პირველ რიგში უნდა განსაზღვროთ საკითხი, რომელზეც წერა თქვენთვის კომფორტულია (ერკვევით, შესწავლილი გაქვთ, გაქვთ კომპეტენციები და გამოცდილება, პრობლემას წააწყდით და შესძელით/ვერ შესძელით მისი გადაჭრა), მასზე შემდგომი კვლევისთვის მასალის მოპოვება შესაძლებელია. ასევე თემა თქვენთვისაც უნდა იყოს აქტუალური, გაინტერესებდეთ ამ მიმართულებით უფრო სიღრმისეულად საკითხის ჩაწვდომა და სურვილი გაქვთ უფრო ფართო წრეს გაუზიაროთ მოსაზრებები. საკითხისადმი ინტერესი დაგეხმარებათ, შუა პროცესში არ დაყაროთ ფარ-ხმალი და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ. სტატიის იდეა შეიძლება მოგცეთ საკუთარმა სასკოლო პრაქტიკამ (წარმატებამ თუ წარუმატებლობამ), ასევე საგანმანათლებლო სივრცეში აქტუალურმა საკითხებმა, რომელიც საინტერესო დისკუსიას იწვევს, ბევრ პასუხგაუცემელ შეკითხვას ბადებს. მათი იდენტიფიცირება კი შეიძლება საგნობრივ კათედრაზე, საგანმანათლებლო კონფერენციებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე.

3. შეარჩიეთ სათაური

კარგად შერჩეული სტატიის სათაური, მკითხველის დაინტერესებას უნდა იწვევდეს. უნდა გაითვალისწინოთ, რომ თანამედროვე ეპოქაში მკითხველი დაკავებულია, მას ცოტა დრო აქვს და სწორედ სტატიის სათაურმა უნდა მიიპყროს მისი ყურადღება, უბიძგოს მას წაკითხვისკენ. სათაური უნდა იყოს მოკლე, სხარტად შერჩეული, სტატიის ძირითად იდეას ასახავდეს. შესაძლოა, სტატიის სათაური შეკითხვის ფორმატში იყოს ჩამოყალიბებული, რაც მკითხველს წინასწარ ეუბნება, თუ მისი წაკითხვის შემდეგ რა კითხვაზე გაიგებს პასუხს, რა საკითხზე გაიღრმავებს ცოდნას.

4. შეაგროვეთ სტატიისთვის რესურსები

კარგი სტატიის დასაწერად რესურსების/ინფორმაციის შეგროვება ერთგვარი ქვაკუთხედია. ამ საკითხზე სტატიის მუშაობის სქემაზე საუბრისას უკვე ზოგიერთი მინიშნება მოგეცით. მოიძიეთ რაც შეიძლება მრავალმხრივი წყაროები, როგორც პირველადი (თქვენს მიერ დაკვირვების საფუძველზე, ან გამოკითხვის შედეგად მოპოვებული), ასევე მეორადი (სხვის მიერ მოპოვებული, იქნება ეს სტატისტიკა, თუ სხვა პუბლიკაციები). მოპოვებისას უკვე უნდა გქონდეთ წარმოდგენა თუ როგორ გამოიყენებთ მას. არ დაგავიწყდეთ თითოეული გამოყენებული პუბლიკაციის ჩანიშვნა. ამის გაკეთება საჭიროა არაერთი მიზეზის გამო, მთავარი ისაა, რომ მომავალში თუკი საკითხთან მიბრუნება დაგჭირდათ, შეიძლება დავიწყებული გქონდეთ პირველწყარო, ამავდროულად, ზოგიერთი პერიოდული გამოცემა, განსაკუთრებით სამეცნიერო ხასიათის, ითხოვს გამოყენებული ლიტერატურეს მითითებას; ასევე გამოყენებული ლიტერატურე დაინტერესებულ მკითხველსაც უადვილებს საკითხის ირგვლივ შემდგომ ნავიგაციას.

5. არ გასცდეთ საკითხს

აუცილებელია ზუსტი მიზნის განსაზღვრა და მთელი სტატიის ფარგლებში ფოკუსის შენარჩუნება. საკითხი პასუხგაუცემელი დარჩება, თუკი მომიჯნავე საკითხებზე მსჯელობაზე დავხარჯავთ სტატიისათვის გამიზნულ გვერდებს. თუკი ეს საკითხებიც საინტერესოდ, მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, გილოცავთ, უკვე მომდევნო სტატიის იდეაც ჩამოგიყალიბდათ.

6. სტატიის სტრუქტურა

სტატიის სტრუქტურა მისი ტიპიდან გამომდინარე შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, ამდენად ის არ არის მკაცრად დასაცავი. ზოგადად, *სათაურის* შემდეგ უნდა მოდიოდეს *შესავალი*, რომელიც მიმოხილვითი ხასიათისაა და მკითხველს უნდა გადასცეს ძირითადი გზავნილები სტატიის შინაარსის შესახებ. შესავალში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს პრობლემაზე, საკითხის აქტუალობაზე, რათა მკითხველმა ინტერესი არ დაკარგოს და სრულად მოინდომოს მისი წაკითხვა. სტატიის *ძირითადი ნაწილი* კი უნდა შედგებოდეს ქვედა კომპონენტებისგან და ამავდროულად მოიცავდეს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ტექნიკის მეთოდოლოგიურ ნაწილს, ინსტრუქციებს, რჩევებსა და რაც მთავარია ანალიტიკურ ნაწილს, სადაც თქვენი მოსაზრებები მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული. ეს ნაწილი არის სტატიის ძირითადი "სხეული", რომელიც ლოგიკური და თანმიმდევრული უნდა იყოს. მკიხველისთვის უნდა იყოს სიახლის შემცველი, ან მისთვის უკვე კარგად ნაცნობი საკითხი ახალი კუთხით დანახული. სტატიის ბოლო ნაწილი *დასკვნაა.* ეს ნაწილი უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული, რაც დაეხმარება მკითხველს კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს ნაშრომის ძირითად მიგნებებსა და შედეგებს, უფრო მეტად დაამახსოვრდეთ იგი. რა თქმა უნდა აქ არ არის ადგილი ახალი იდეების გასაშლელად. დასკვნითი ნაწილი ფაქტობრივად თქვენი სტატიის დაჯამებაა. თუკი აღნიშნულ სტრუქტურას მისდევთ, უნდა გახსოვდეთ, რომ დასკვნითი ნაწილის მოცულობა სტატიის მეხუთედს არ უნდა აღემატებოდეს.

7. გამოიყენეთ ქვესათაურები

კარგია თუკი წინასწარ განსაზღვრავთ ქვესათაურებს, ეს კიდევ უფრო დაგეხმარებათ არ გასცდეთ წინასწარ დასახულ ჩარჩოს. ამავდროულად კარგად სტრუქტურირებული სტატია მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი ხდება. ქვესათაურები სტატიის მონახაზის გაკეთების დროს შეიძლება დაიწეროს, ხოლო მუშაობის პროცესში – შეიცვალოს.

8. გამოიყენეთ მოკლე აბზაცები

ყოველთვის ადვილია მიჰყვე სტატიის მთავარ აზრს, თუკი იგი მოკლე, კარგად ჩამოყალიბებული, გამართული ენით ნაწერი აბზაცებისგან შედგება. ქვესათაურებთან ერთად, მოკლე კონკრეტული აბზაცები სტატიას უფრო მეტად აღქმადს ხდის.

9. მკაფიო და ლაკონური კომუნიკაცია

აზრი, რომლის გადაცემაც გინდათ უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, არ მოიცავდეს აზრობრივად რთულ და ტერმინოლოგიურად დატვირთულ წინადადებებს. ენა უნდა იყოს მკითხველთა ფართო წრისთვის გასაგები. ყოველთვის რთულია ოქროს შუალედის დაჭერა, რათა არ მოხდეს ნაწერის სრული გამარტივება.

10. გაუზიარეთ საკუთარი გამოცდილება

ეს პუნქტი არ არის სტატიის აუცილებელი კომპონენტი, თუმცა კარგია თუკი თემის გარშემო თქვენი გამოცდილებიდან მაგალითის მოყვანა შეგიძლიათ. ეს მკითხველებისთვის მასალას უფრო რეალურ ცხოვრებასთან მიაახლოვებს, დაანახვებს მის აქტუალობას და საჭიროების შემთხვევაში, მსგავს სიტუაციაში მოხვედრისას, ადვილად შეძლებს ანალოგიურ ხერხს მიმართოს. რა თქმა უნდა საკუთარი მაგალითი არავითარ შემთხვევაში მეტად დამაბნეველს არ უნდა ხდიდეს ტექსტს.

11. მოერიდეთ პლაგიატს

პლაგიატი ინტელექტუალური ქურდობაა და სხვათა მოსაზრებების მითვისებას გულისხმობს. ტერმინი ლათინური პლაგიატრუს-დან მომდინარეობს და ადამიანთა მოტაცებას ნიშნავს.

ყველა ადამიანს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წერის მანერა, ლექსიკა, რომელსაც ყველაზე ხშირად გამოიყენებს, აზრების გამოხატვისას უნიკალური სტილი. სწორედ ამ მახასიათებლებით ადამიანის ნაწერი ადვილად ამოსაცნობია. ჯობია, რომ წერის ერთიანი მანერა სტატიის პირველი წინადადებიდან ბოლომდე იყოს შენარჩუნებული და არსად მოიცავდეს სხვათა ნაწერებიდან ამოკრეფილ ნაწყვეტებს, რა თქმა უნდა, ციტირების გარეშე.

თუკი ადამიანი უცვლელად იყენებს სხვა ნაშრომს, რომელშიც სიტყვათა წყობა/თანმიმდევრობა შეცვლილი არაა, აუცილებელია მოყვანილი მონაკვეთის ბრჭყალებში ჩასმა და სათანადო წესების დაცვით წყაროს მითითება. მოსაზრების ამგვარ მოშველიებას ციტირება ქვია.

ასევე შესაძლებელია სხვისი ნააზრევი სხვა სიტყვებით გადმოიცეს, ამ მეთოდს პერეფრაზი ქვია. მას ხშირად მიმართავენ, თუმცა ასეთ დროსაც საჭიროა ტექსტის ავტორის ხსენება, ან იქვე წყარის მითითება.

12. წერეთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენით

სტატიისთვის თემას ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი ინტერესის და საბაზისო ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით ირჩევს. ეს კი გულისხმობს, რომ დამწერი საკითხს სათანადოდ ფლობს და მუშაობის პროცესში უნდა მასზე მეტი შეიტყოს, უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს, მიაჩნია, რომ საკითხის ირგვლივ საკმაო გამოცდილება/ცოდნა დაუგროვდა და უკვე მზად არის მასზე ნააზრევი სხვებსაც გაუზიაროს. გასათვალისწინებელია, რომ ნაწერი ვერ იტანს გაურკვევლობებსა და მერყეობებს, რაც მას არადამაჯერებლობას მატებს და მკითხველსაც თქვენდამი ნდობას აკარგვინებს. არავინ მოახდენს თქვენი სტატიის ციტირებას, თუკი მასში საკუთარი შესაძლებლობებისადმი ორჭოფობა იგრძნობა.

თუკი სტატია სამეცნიერო ჟურნალისთვის მზადდება თქვენ აუცილებლად უნდა გაეცნოთ გამოცემის მოთხოვნებს. მათ ყოველთვის წინასწარ აქვთ განსაზღვრული ტექსტის მოცულობა, სხვა ტექნიკური პარამეტრები, ასევე უმეტეს შემთხვევაში ისინი რეზიუმესა (სტატიის მოკლე ანოტაცია, სადაც წინასწარ განსაზღვრულ სიტყვების

რაოდენობაში უნდა ჩაატიოთ სტატიის ძირითადი იდეები, მიგნებები და რეკომენდაციები) და საკვანძო სიტყვებსა და ტერმინებს (გამომდინარეობს შერჩეული საკითხი/თემა/პრობლემიდან. ჩამოწერისას გაითვალისწინეთ თქვენ მსგავსი თემატიკის სტატიის წაკითხვა რომ გინდოდეთ რა ტერმინებს აკრეფდით ინტერნეტის საძიებო ველში), გამოყენებული ლიტერატურის (ლიტერატურის დამოწმების საერთაშორისო სტილის შესახებ მითითებები იხილეთ "კვლევის ანგარიშში") სიას ითხოვენ.

ეს ზოგადი რჩევები დაგეხმარებათ სტატიის წერისას საკუთარ თავს გარკვეული მოქმედების ჩარჩო განუსაზღვროთ.

ჩვენ ვეცადეთ მოკლედ მიმოგვეხილა სხვადასხვა ტიპის სტატიები, ასევე მოგვეცვა სტატიის სხვა პარამეტრები, როგორიცაა მისი სტრუქტურა და ჩამოვაყალიბეთ გარკვეული რჩევები, რათა თქვენს მიერ დაწერილი სტატია უფრო საინტერესოდ წაკითხვადი იყოს.

მესამე თავი

საგანმანათლებლო პროექტები

შესავალი

ამ თავში თქვენ გაეცნობით:

- სასწავლო და კვლევით პროექტებს, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს თავად მოამზადოს ან მოსწავლეებს მოამზადებინოს პროექტები;
- კონფერენციას, როგორ მივიღოთ საგნობრივ/თემატურ კონფერენციებში მონაწილეობა;
- რეფერატს, მისი დაწერის დეტალურ ინსტრუქციებს;
- ესეს, მის ძირითად მონახაზს

პროექტი რაიმეს მოწყობის, აგების დამუშავებული გეგმაა (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი); ხოლო სასწავლო პროექტი შეიძლება გაგებული იყოს როგორც კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომლის წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. გარდა ამისა სასწავლო პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლეოდა და იძლევა. არსებობს კვლევითი პროექტებიც რაც ერთი ან რამდენიმე მკვლევარის, ინსტიტუტის ერთი აქტუალური საკვლევი თემის ირგვლივ გაერთიანებას გულისხმობს, დროში გაწერილად, მიზნის შესაბამისად.

რაიმე საკვლევ თემას შეიძლება მიეცეს პროექტის ფორმატი, რაც აადვილებს მისით დააინტერესო დონორი და მოიძიო გარკვეული თანხა მის განსახორციელებლად, ამავდროულად ამარტივებს მისი ეტაპების დროში შესრულებას და საშუალებას იძლევა მის შესრულებას დააკვირდე. პროექტების დაწერის უნარი მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანისთვის, ამდენად მასწავლებელს არა მხოლოდ თავად უნდა შეეძლოს მისი მომზადება და განხორციელება, არამედ მოსწავლეებსაც თავიანთი შესაძლებობების პროექტში მოსინჯვის შესაძლებლობა უნდა მისცეს.

ამავდროულად მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს ესეებსა და რეფერატებზე ამუშავოს. ასეთი მოთხოვნა უმეტეს საგანშია და ამ ტექნიკას მასწავლებელი ხშირად უნდა მიმართავდეს, თუმცა რასაც პრაქტიკა გვიჩვენებს არც ისე სახარბიელოა. მოსწავლეები მათი წერისას არცთუ დიდ დროს ხარჯავენ, მოვოვებულ ინფორმაციას, სხვის მოსაზრებას, ნაწერს გადმოიტანენ ფურცელზე და მასწავლებლებიც დაუფიქრებლად უფასებენ, ისე რომ არც კი უფიქრდებიან, რომ ამით ცუდ სამსახურს უწევენ და აჩვევენ პლაგიატს. ამდენად, ჩვენი მიზანია, ამ თავში აღვწეროთ ნაბიჯ-ნაბიჯ თუ როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს რეფერატებსა და ესეებზე მუშაობა. მოსწავლეების მიერ, ან მოსწავლეებთან ერთად განხორციელებული პროექტის მომზადებასა და განხორციელებას, ხარისხიანად შესრულებულ ესესა თუ რეფერატს მასწავლებელი თუკი პროექტად გააფორმებს და შეაგროვებს მიმდინარეობის დადასტურებებს, აღნიშნული მოსწავლეებს დაეხმარება მოტივაციის ამაღლებასა და მათი ნასწავლის ყოველდღიურობასთან კავშირების დანახვაში, არამედ მთლიანობაში გაზრდის მათი მიღწევის დონეს და აამაღლებს განათლების ხარისხს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მოსწავლე ასევე უფრო მომზადებული აღმოჩნდება მომავლისავის, უმაღლესში სწავლების სპეციფიკისათვის.

საგანმანათლებლო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღება მასწავლებელს ეხმარება პროფესიულ ზრდაში, რადგან მას საშუალება ეძლევა

მოუსმინოს და გაიგოს სხვათა გამოცდილების, მიღწევების, იდეებისა და კვლევების შესახებ. ამ ტიპის ღონისძიებებზე ძირითადად გამოაქვთ სიახლეები, სწორედ ეს იძლევა საშუალებას მასწავლებელმა მისდიოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროგრამებსა და კვლევებს; ამავდროულად, მას ეძლევა საშუალება საკუთარი მიგნებები, ინოვაციური იდეები, თუ კვლევა გააცნოს კოლეგებს და მოისმინოს მათი მოსაზრებები თუ შეფასებები, რაც განხორციელებული სამუშაოს კარგი ინდიკატორია.

საგანმანათლებლო კონფერენციები ტარდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, უმაღლეს სასწავლებლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით. ასეთი ღონისძიებები პროფესიონალების დიალოგსა და დაახლოვებას უწყობს ხელს.

მასწავლებლის მიერ განხორციელებული კვლევითი, სასწავლო პროექტი "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას" უკავშირდება შემდეგნაირად: მათ 7 წლის მანძილზე თითოეულ საგანმანათლებლო პროექტზე 1 კრედიტი შეიძლება მიიღონ, რაც მე-11 მუხლის ე) პუნქტში არის აღწერილი. ამავდროულად კონფერენციის ორგანიზებაც შეიძლება გაფორმდეს როგორც პროექტი და ჩატარების შემთხვევაში იგი მიიღებს პროექტისათვის განსაზღვრულ 1 კრედიტს, თუკი ამავე ან სხვა კონფერენციაზე მომხსენებლად გამოვა, ასევე 1 კრედიტი დაემატება, ხოლო თუკი მიწვეული სტუმრის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას - 0,5 კრედიტი (იხ. ვ) და ზ) პუნქტები).

სასწავლო პროექტი

პროექტის მნიშვნელობა

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში მასწავლებელს სასწავლო პროექტებში მოსწავლეების ჩართვა დაეხმარება. პროექტზე მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. ამავდროულად ისინი აკავშირებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას რეალურ ცხოვრებისეულ გარემოსთან/საკითხებთან. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

პროექტების მიმდინარეობისას მასწავლებელი კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მოსწავლეებს მიმართულებას აძლევს. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს სჭირდება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები.

როგორ დავიწყოთ პროექტის წერა?

თავდაპირველად ვსაზღვრავთ ჩვენს პრიორიტეტებს პროექტის დაგეგმვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- რამდენად მნიშვნელოვანი/აქტუალურია პრობლემა, რომელიც კვლევას ითხოვს;
- საკმარისია თუ არა გუნდის წევრების კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნების და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- პრობლემა, ან მისი გადაჭრის გზები წარმოადგენს თუ არა სიახლეს და ითხოვს თუ არა შემოქმედებითობას;

- დაგეგმილი აქტივობები ემსახურება თუ არა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას;
- არსებობს თუ არა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსები პროექტის განსახორციელებლად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩნდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

აღვწერთ პროექტს

პროექტის აღწერა არის მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომელშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) **პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიკაცია)** - გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლსაც ეძღვნება პროექტი.

ბ) **მიზანი** - ფართო, ზოგადი დებულება იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ.

გ)**ამოცანები** - გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ, რა ეტაპებია გასავლელი, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

დ) **განხორციელების გზები** - გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1)“როგორ?” - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2)“ვინ” - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

ვსაზღვრავთ მოსალოდნელ შედეგებს

ამ ნაწილში უნდა აღწეროთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას. შედეგები რეალისტური უნდა იყოს და პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით იქნება წარმოდგენილი (მაგ: წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.).

შევუსაბამებთ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო დროს მოთხოვნილ ვადებს

პროექტის ამ ნაწილში უნდა აისახოს პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, რომელიც განაწილებულია დღეების, კვირების, თვეების მიხედვით, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვადები უნდა იყოს რეალისტური.

შეიძლება დროის ტაბულის შედგენა. რაც ძალზე მოხერხებულია ვადების საჩვენებლად. მაშინ როდესაც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა რამ არის დაგეგმილი, ტაბულაზე ეს შეიძლება თვალსაჩინოდ აისახოს.

ვსაზღვრავთ პროექტის ბიუჯეტს

ბიუჯეტი პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ის ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებს.

თქვენი პროექტის ბიუჯეტის შედგენისას უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

- ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე;
- თუ დაფინანსების წყარო რამდენიმეა, ცხრილს შესაბამისად უნდა დაემატოს სვეტი, სადაც იდენტიფიცირებული იქნება წყაროები და ის მომსახურებები, რაზეც თანხები ნაწილდება;
- ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურების სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს. არ შეიტანოთ ბიუჯეტში ის პუნქტები, რომლებიც არ არის არსებითი, ან ნაკლებად მიესადაგება თქვენს პროექტს.

N	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	სულ
1.	**აღჭურვილობა**					
1.1	კომპიუტერი					
1.2	პრინტერი					
1.3	ტელევიზორი					
1.4	ა. შ.					
	სულ					
2.	**მომსახურება**					
2.1	სატრანსპორტო საშუალებების არენდა					
2.2	ბროშურის/ცნობარის გამცემა					
2.3	საეთერო დროის დაქირავება					
2.4	ა. შ.					
	სულ					
3.	**საკანცელარიო ხარჯები**					
3.1	ქაღალდი					
3.2	ფანქარი					
3.3	საშლელი					
3.4	ა. შ.					
	სულ					
4.	**საკომუნიკაციო ხარჯები**					
4.1	ტელეფონის ხაზის გაყვანა					
4.2	ტელეფონის სააბონენტო გადასახადი					
4.3	ელ-ფოსტის გადასახადი					
4.4	ა. შ.					
	სულ					
5.	**საოპერაციო ხარჯები**					
5.1	ოფისის არენდა					

5.2	სიგნალიზაციის დამონტაჟება					
5.3	საწვავი					
5.4	ა. შ.					
	სულ					
6.*	**საბანკო მომსახურება**					
	სულ					

* საბანკო მომსახურებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ჯამური ბიუჯეტის 1%

** ბიუჯეტის ცხრილი ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ვებ-გვერდიდან არის ნიმუშად აღებული, რა თქმა უნდა მისი პუნქტები პროექტის შინაარსიდან, ან კონკრეტული ფონდის მოთხოვნიდან (სადაც პროექტს წარადგენთ) გამომდინარე უნდა შეიცვალოს

პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა აღიწეროს მონიტორინგის მექანიზმი და პერიოდულობა. მიეთითოს, ვინ აწარმოებს მონიტორინგს. სასურველია, რომ მონიტორინგს პროექტში მონაწილე არ ახორციელებდეს, რათა არ მოხდეს საკითხების თანმიმდევრობის, პროექტის მიმდინარეობის სუბიექტურად განხილვა. უმჯობესია, პროექტის დაგეგმვისას მონიტორის/მონიტორების შერჩევის კრიტერიუმები წინასწარ იყოს განსაზღვრული, ან პირი იდენტიფიცირებული. თუკი პროექტს რომელიმე ფონდის დაფინანსებით ახორციელებთ, ისინი თავად განახორციელებენ გარე მონიტორინგს, ხოლო შიდას, პროექტის მიმდინარეობის შესახებ, თქვენ თავად უნდა აწარმოებდეთ.

საპროექტო წინადადების მომზადება

რაოდენ კარგიც არ უნდა იყოს პროექტის იდეა, მან შეიძლება დაკარგოს თავისი დატვირთვა, თუ პროექტი მოთხოვნილი ნორმებისა და ფორმის შესაბამისად არ იქნება წარმოდგენილი. ამდენად, თუკი თქვენ აპირებთ განსახორციელებელი პროექტისთვის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, ან ფონდებიდან თანხების მოზიდვას, გაეცანით მათ მოთხოვნებს. ძირითადად ასეთი ორგანიზაციები საპროექტო წინადადებების მიღებამდე მათთან შეხვედრებს აწყობენ, სადაც თქვენ შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოთ, რაც ფონდების მოზიდვაში დაგეხმარებათ.

პროექტის მიმდინარეობა

ეს ეტაპი ყველაზე საპასუხისმგებლოა, რადგან ამ ეტაპზე სრულდება ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა. აუცილებელია წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვა.

ვაძლევთ პროექტს წარმოსადგენ იერსახეს

პროექტის დასრულების შემდეგ, იგი ფორმდება. მასში აისახება მიზნები, ამოცანები, აქტივობები, მიღწეული შედეგები, რეკომენდაციები. პროექტს უნდა დაერთოს გუნდის წევრების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები: ნახაზები, სქემები, ცხრილები, რუკები, ფოტოები, აუდიო თუ ვიდეო მასალა და სხვა.

ვაფასებთ პროექტს

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას. აღინიშნება, რა პრობლემები შეექმნა შესრულებისას. როგორი იყო მოსწავლეების ჩართულობა და რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს მას.

პროექტის შეფასების სავარაუდო კრიტერიუმები:

პროექტების მიზანი და პრობლემის დასახვა პროექტის მიზნისა და პრობლემის აქტუალობა
პროექტის სასწავლო დისციპლინებთან კავშირი და მასში სხვადასხვა დისციპლინების ინტეგრირება
თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის საჭიროება
სამუშაოს ორგანიზებულობა და გუნდში შრომის განაწილება
გამომსახველობითი გამართულობა
კვლევის ეფექტურობა, დასკვნების სიახლე და კვლევის ადეკვატურობა
პროექტის შედეგების სარგებლიანობა სხვათათვის (სკოლა, თემი, თანატოლები, სხვა სკოლები)
შექმნილი თვალსაჩინოებები
პროექტის ორიგინალობა და შემოქმედებითობა

პროექტის შედეგების მდგრადობა

სასურველია, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები არ დარჩეს ქაღალდზე და მისი შედეგები წარმატების შემთხვევაში გაიზიაროს საზოგადოების უფრო ფართო წრემ. ამ მიზნის შესრულებას დაეხმარება პროექტის შედეგების გასაცნობად სკოლაში და მის გარეთ მოწყობილი პრეზენტაციები, შეხვედრები. თუკი თქვენ გადაწყვეტთ პროექტის შედეგები ბუკლეტის ან სხვა ნაბეჭდი ფორმით გაავრცელოთ, სასურველია, მიუთითოთ საკონტაქტო ინფორმაცია, რომ შეძლოთ გამოხმაურებების და კომენტარების მიღება/გაანალიზება. შესაძლებელია პროექტი სკოლის ვებ-გვერდზე აიტვირთოს.

კვლევითი პროექტი

კვლევითი პროექტი არის ერთი ან რამდენიმე მკვლევარის, შესაბამისად, ინსტიტუტის ან საზოგადოების დროში გაწერილი გეგმა, რომლის მიზანია მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების კვლევა.

კვლევითი პროექტების წარმატებული განხორციელება ხშირად მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს, რაც უმეტესად ინსტიტუტის, სკოლის, დაწესებულების მიმდინარე ბიუჯეტიდან კი არ ფინანსდება, არამედ „მესამე საშუალებით“ (მაგ. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ).

ამ ქვეთავის მიზანია მკვლევარ-მასწავლებელს მივცეთ რეკომენდაციები, როგორ გააფორმოს პროექტის სახით კვლევა, კონფერენციის ორგანიზება რომლის თაობაზე დაწვრილებით იყო ლაპარაკი წინა ქვეთავებში. სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფონდებს აქვთ კვლევითი პროექტების ტექნიკური გაფორმების სხვადასხვა მოთხოვნები, თუმცა მათი ძირითადი კომპონენტები და შეფასების

კრიტერიუმები მსგავსია. ჩვენ შემოგთავაზებთ იმ ძირითად კომპონენტებს, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მკვლევარმა პროექტის წერისას.

1. ***პროექტის დასახელება*** – პროექტის სათაურში კომპაქტურად ასახეთ პროექტის ძირითადი არსი.
2. ***პრობლემის აქტუალობა და კვლევის სიახლე***
   - ✓ მიმოიხილეთ განსახილველი პრობლემა, მისი მნიშვნელობა, ჩამოაყალიბეთ რა წვლილს შეიტანს თქვენი თემა ზოგადად დარგში არსებული პრობლემის გადაწყვეტაში;
   - ✓ ლიტერატურის მიმოხილვა - მიმოიხილეთ დარგში არსებული უახლესი მიღწევები ძირითად პუბლიკაციებზე დაყრდნობით;
   - ✓ ნათლად გამოყავით თქვენს მიერ საკვლევი პრობლემის აქტუალობა და სიახლე.

3. ***კვლევის მიზანი და ამოცანები***
   - ✓ ჩამოაყალიბეთ პროექტის მიზანი, რომელიც უნდა იყოს ნათლად და კომპაქტურად ფორმულირებული, იგი უნდა აღწერდეს პროექტის მოსალოდნელ შედეგებს.

მაგალითად, მიზანი შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს შემდეგნაირად:
მიზანი: დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებში;

- ✓ აღწერეთ ამოცანები – ამოცანები ის ეტაპებია, რომელთა თანმიმდევრული და ზუსტი განხორციელებით რეალიზდება მიზანი; მაშასადამე, ამოცანები არის საშუალება მიზნის მისაღწევად.
- ✓ პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილი თითოეული ამოცანისათვის წარმოადგინეთ:
  - მოკლედ და მკაფიოდ ფორმულირებული ამოცანების აღწერა;
  - ამოცანის განსახორციელებლად საჭირო დრო და რესურსები;
  - ამოცანის მოსალოდნელი შედეგი;
  - მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა.
  - ამოცანის შესრულებაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირი/ორგანიზაცია;

მაგალითად:
ამოცანის დასახელება: თვისობრივი სოციოლოგიური კვლევა.
მოსალოდნელი შედეგი: სამიზნე ჯგუფებში სამოქალაქო ცნობიერების შესახებ არსებული ცოდნის, დამოკიდებულებების და ქცევითი ასპექტების დადგენა.
მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა: თვისობრივი სოციოლოგიური კვლევის ანალიტიკური ანგარიში.
ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი: პროექტში მონაწილე სოციოლოგი.

4. ***კვლევის მეთოდები და მათი შესაბამისობა პროექტის მიზანსა და ამოცანებთან*** – აღწერილი უნდა იყოს ყველა ის მეთოდი, რომელიც გამოიყენება პროექტის მიზნების მისაღწევად.

მაგალითად:

ჩატარდება სოციოლოგიური კველევა, რომლის პროცესშიც გამოყენებული იქნება კვლევის ანალიზური მეთოდები: როგორც თვისებრივი (ფოკუს-ჯგუფების მეთოდი), ასევე რაოდენობრივი (ანკეტირება).

ფოკუს-ჯგუფების მეთოდი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა ძირითადი ღირებულებები, დამოკიდებულებები და ცოდნა არსებობს სამიზნე ჯგუფებში სამოქალაქო ცნობიერების მიმართ. რამდენად არიან რესპონდენტები სამოქალაქო ცნობიერების მატარებლები და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელისშემშლელი რა ღირებულებები არსებობს სამიზნე ჯგუფებში.
რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა (ანკეტირება) ფოკუს-ჯგუფებში გამოვლენილი ფაქტორების, ღირებულებების რაოდენობრივი გაზომვის საშუალებას მოგვცემს, რაც შესაძლებელს გახდის განვაზოგადოთ მიღებული შედეგები.

5. ***კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა საკვლევი სფეროსთვის.***
   - ✓ შედეგი ეს არის რეალიზებული მიზანი, იგი ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შეიძლებოდეს მასზე დაკვირვება და მისი გაზომვა.
   - ✓ აღწერეთ თითოეული ამოცანის მოსალოდნელი შედეგის წვლილი პროექტის საერთო მიზნის მიღწევაში, აგრეთვე მოსალოდნელი შედეგების ურთიერთკავშირი.
   - ✓ აღწერეთ, რაში მდგომარეობს პროექტის შედეგების უნიკალურობა;
   - ✓ მიუთითეთ ვინ მიგაჩნიათ თქვენი პროექტის შედეგების პოტენციურ მომხმარებელად.
6. ***პროექტის შეფასება და თვითშეფასება*** – პროექტში აღწერილი უნდა იყოს, თუ როგორ წარმოუდგენიათ მკვლევარებს პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგის ჩატარება. შიდა მონიტორინგის დროს პროექტში ჩართული მკვლევარები აფასებენ, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება მკვლევარს დაეხმარება დაინახოს კვლევის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწოროს იგი, შეძლოს დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველ შედეგზე გასვლას. Cგარე მონიტორების მხრიდან პროექტის შუალედური შეფასებისთვის პროექტში ჩართულმა მკვლევარებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს აგრეთვე პროექტის წარმატებულ განხორციელებას.
7. ***პროექტის სუსტი მხარეები და რისკები*** – განხილული უნდა იყოს, რა მიაჩნიათ მკვლევარებს პროექტის სუსტ მხარედ და რა შიდა თუ გარე ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი პროექტის წარმატებით განხორციელებას, როგორ შეიძლება ავიცდინოთ ეს რისკები თავიდან.
8. ***ინფორმაცია პროექტის შემსრულებლებზე*** - პროექტის ძირითად შემსრულებელთა პროფესიული ავტობიოგრაფია. სასურველია ჩანდეს პროექტში მონაწილეთა კვალიფიკაცია იმ სფეროში, რომლის კვლევაც დაისახეს მიზნად.
9. ***პროექტის ბიუჯეტი*** _ მკვლევარისთვის პროექტის ბიუჯეტის შედგენა ერთ-ერთი ყველაზე რთული და შრომატევადი პუნქტია. მნიშვნელოვანია, რომ

ბიუჯეტის შედგენისას თანხები ყველა საჭირო აქტივობებზე და რესურსებზე რაციონალურად და ადექვატურად იყოს განაწილებული.

პროექტმა რომ მოწონება დაიმსახუროს და ამა თუ იმ ფონდიდან საჭირო დაფინანსება მოიპოვოს, სწორად არჩეულ თემასა და მკვლევართა კომპეტენციასთან ერთად, აუცილებელია პროექტის კვალიფიციურად გაფორმება ყველა საჭირო კომპონენტისა და კრიტერიუმის გათვალისწინებით. ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია, მაგრამ აუცილებელი პირობაა წარმატებისთვის.

რჩევები კონფერენციის მონაწილე მასწავლებლებს

შესავალი

ვიდრე განსაზღვრავთ რა ტიპის სასკოლო ღონისძიებაში იღებთ მონაწილეობას, საჭიროა ერთმანეთისგან ასხვავებდეთ კონფერენციასა და სემინარს. მივყვეთ დეფინიციებს: კონფერენცია ეს არის ორგანიზებული შეხვედრა კონსულტაციის, დისკუსიისა თუ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, როდესაც საკითხი/თემა წინასწარაა შეთანხმებული, ძირითადად მოხსენებების ფორმატში მიმდინარეობს; სემინარი კი მცირე ჯგუფში (ერთი პროფესიის, ინტერესის, ასაკის, პრობლემის წინაშე მდგარი ხალხის) ნებისმიერი წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა შეიძლება იყოს იდეების გასაზიარებლად; ხშირად მოიცავს პრობლემის დასმასა და გადაჭრას.

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ კონფერენციაში მონაწილეობაზე, რა ეტაპებია ამისთვის გასავლელი. რეკომენდაციები შესაძლებელია თავისუფლად სემინარისთვისაც გამოიყენოთ.

კონფერენციებში მონაწილეობა მასწავლებლისათვის პროფესიული განვითარების წინაპირობაა, რადგან ისინი ეცნობიან საგანმანათლებლო სიახლეებს, უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, რის შედეგადაც პროფესიულად ვითარდებიან.

ჩვენ ვეცდებით გარკვეული რჩევები მოგცეთ, თუ როგორ გახდეთ კონფერენციის მონაწილე მომხსენებელი, რა ეტაპებია განსახორციელებელი ამისათვის.

კონფერენციისთვის მზადება მრავალსაფეხურიანი პროცესია.

რატომ ეწყობა კონფერენციები

კონფერენცია იძლევა შესაძლებლობას:

- შეხვდე ინტერესის მიხედვით ერთი და იგივე საკითხზე/თემაზე მომუშავე მასწავლებლებს/სკოლის ადმინისტრაციას/მოსწავლეებს/მშობლებს და სხვა თემატურ ჯგუფს;
- გაეცნო სხვადასხვა მოსაზრებებსა და შეხედულებებს და გაიზიარო ისინი;
- გააცნო შენი კვლევა, პროექტი საზოგადოებას და მიიღო გამოხმაურებები;
- ხელი შეუწყო შენი სკოლის პოპულარიზაციას;
- გამოიყენო ახალი, შეძენილი ცოდნა პრაქტიკაში;
- დაამყარო თემატური და პროფესიული კავშირები, შექმნა ერთგვარი ქსელი.

მიზნების და საჭიროებების განსაზღვრა, თემის შერჩევა

სანამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტთ, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: *ვინ? რატომ? რას? როდის? სად?*

- ვინ აწყობს კონფერენციას (*მაგალითად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია, სკოლა, კათედრა, პროფესიული კავშირი*);
- რა მასშტაბის არის კონფერენცია (მაგალითად, საერთაშორისო, ეროვნული, სასკოლო, ქალაქის, რაიონის მასშტაბის);
- რა მიზნით ეწყობა კონფერენცია (*კონფერენციის ჩატარების მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად, მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რაიმე პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რაიმე მოვლენის ან სიტუაციის შეფასება, კვლევის შედეგების გაცნობა და სხვა*);
- რა არის კონფერენციის თემა *(კონფერენციის თემა უნდა პასუხობდეს თქენს სპეციფიკას და ინტერესს, ამავდროულად თქვენს მიერ შერჩეული მოხსენების თემა უნდა იყოს კონკრეტული, აქტუალური, საინტერესო, როგორც მომხსენებლისათვის, ისე მსმენელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფერენცია უინტერესოდ ჩაივლის. უნდა ჩანდეს, რომ მომხსენებელი საუბრობს იმ საკითხებზე, რომლებიც იცის და არა მხოლოდ იმეორებს სხვადასხვა წიგნიდან ამოკრებილ ფრაზებს);*

საორგანიზაციო საკითხები

საორგანიზაციო ჯგუფი რამოდენიმე კვირით/თვით ადრე აცხადებს კონფერენციის თემას, ავრცელებს ინფორმაციას ვადებისა და მოთხოვნების შესახებ, ასევე დღის წესრიგს. რამდენი ხნით ადრე უნდა გამოცხადდეს კონფერენციის შესახებ, სად მოეწყობა კონფერენცია, არის თუ არა სხვადასხვა პარალელური ღონისძიებები დაგეგმილი (გამოფენა, სემინარები, მრგვალი მაგიდა...). ძირითადად, მომხსენებლების შერჩევა ხდება შემოსული თეზისების საფუძველზე, რომლებსაც განიხილავს პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისია.

თეზისი ეს არის მოკლედ წარმოდგენილი თქვენი მოხსენების მთავარი იდეები, აქ უნდა იყოს ჩამოყალიბებული საკითხის მნიშვნელობა, სიახლე, მთავარი იდეა, აქტუალობა, ეს ყველაფერი ლოგიკურად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა კომისია დაინტერესდეს და აარჩიოს ის სხვა მრავალთაგან. მათ უნდა მოუნდეთ თქვენი მოხსენების სრულად გაცნობა კონფერენციაზე და უნდა მიიჩნიონ სხვათათვის, აუდიტორიისთვის საინტერესოდ.

საორგანიზაციო ჯგუფი, ან მოწვეული ექსპერტები არჩევენ საუკეთესოებს. წინასწარ არის ხოლმე განსაზღვრული, რა მოცულობის უნდა იყოს თეზისი და მოხსენება, რა ფორმატში უნდა გამოიგზავნოს, რა კრიტერიუმებით შეფასდება და როდის შეგატყობინებენ პასუხს.

თეზისის შერჩევის შემდეგ თქვენ გეცნობებათ დეტალები თუ როდის და რა ფორმატში უნდა წარადგინოთ თემა საორგანიზაციო ჯგუფთან, რამდენი მოგეცემათ მოხსენებისათვის დრო. ასევე მოგთხოვენ მოხსენებას საპრეზენტაციო ფორმატში (Power Point), მის წინასწარ გადაგზავნას (ზოგჯერ ეს აუცილებელი არ არის), რათა უშუალოდ კონფერენციის დღეს ტექნიკური ხარვეზებსა და შეფერხებებს არ ქონდეს ადგილი.

კონფერენცია, განმარტების მიხედვით, გულისხმობს შეხვედრას, სადაც განიხილება საკითხები, გამოითქმება მოსაზრებები, შეფასდება პოზიციები.

შესაბამისად, კონფერენცია არ გულისხმობს კონკურსს. აქედან გამომდინარე, არ ჰყავს გამარჯვებული. მასში მონაწილეობა ყოველთვის ახალი იდეების მომცემია.

კონფერენციის მოხსენებები, მასალები შეინახეთ, ეს მასალა დახმარებას გაგიწევთ მომავალში, ამავდროულად თქვენ შეძლებთ თქვენი მონაწილეობის დადასტურებას.

ინფორმაცია კონფერენციების შესახებ ვრცელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე პროფესიული კავშირების მიერ. თქვენ მათ მიერ გამოქვეყნებულ სიახლეებს უნდა ადევნოთ თვალი.

ასევე იმისათვის რომ მოხსენებამ წარმატებულად ჩაიაროს, უმჯობესია გაეცნოთ თუ როგორ უნდა მომზადდეს კვლევა, სტატია და წარმართოთ პრეზენტაცია (იხ. მეორე თავი - კვლევის პროცესი, სტატია, მეხუთე თავი - პრეზენტაცია).

რეფერატი

მრავალი საგნის შესწავლისას, მასწავლებლები შემაჯამებელი შეფასებისთვის ხშირად მიმართავენ რეფერატს. რეფერატში შეიძლება აღიწერებოდეს რაიმე საკითხი, მიეძღვნას პრობლემას, რომელიც სხვადასხვა (ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ) დონეზე გამოვლინდება. გარკვეული ვადების შემდეგ, როდესაც ინფორმაცია იქნება მოძიებული, დამუშავებული და შესაბამისად გაფორმებული, მოსწავლეები თავიანთ ნაშრომებს აბარებენ მასწავლებელს, შესაძლებელია შედეგები თანაკლასელებს გააცნონ.

წერის პროცესის თანმიმდევრობა და სტრუქტურა
ძირითადი ნაბიჯები

თავდაპირველად, ალბათ, უნდა გვესმოდეს რას ნიშნავს იგი.

რეფერატი (ლათ. refero - გაცნობებ) - ეს არის მოკლე, წერილობით, ან საჯარო მოხსენების ფორმატში ჩამოყალიბებული სამეცნიერო, ან თემატური ნაშრომი.

რეფერატის მოცულობა კლასების მიხედვით განსხვავებული უნდა იყოს. საბაზო სკოლის მოსწავლეებს მოეთხოვებათ საშუალოდ 4-5 გვერდი ნაშრომის დაწერა, საშუალო საფეხურზე 4-5 გვერდზე მეტიც შეიძლება იყოს.

აუცილებელია, მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ ეს არ არის კონსპექტი და ამდენად, არ შეიძლება პირველწყაროდან ნაწილების კოპირება, თუკი მითითებული არ არის ავტორი, ან წყარო. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საშიშროება საკუთარ ნააზრევად დაწერილი მონაკვეთები იცნოს მასწავლებელმა და მთელი ნაშრომი წყალში ჩაიყაროს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსწავლემ რთული, სპეციფიკური სამეცნიერო ენით შეძლოს სინამდვილეში აზრების გადმოცემა. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ პლაგიატი ინტელექტუალური ქურდობაა, ავტორის მითითების გარეშე ნაწყვეტის გამოყენებას კი სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს. პლაგიატის გამო შესრულებული სამუშაო შეიძლება არ ჩაითვალოს. ამდენად მოსწავლეები გაფრთხილებულები უნდა იყვნენ დასაწყისშივე, რათა საკუთარ მოსაზრებებად არ გაასაღონ სხვათა წინადადებები.

შესაბამისად, მოსწავლეებს უნდა ასწავლოთ თუ რას გულისხმობს რეფერატი და როგორ უნდა გაართვან მას თავი.

1. რეფერატის წერისას დაამუშავეთ წყაროები და არავითარ შემთხვევაში არ გადმოიწეროთ; შეგიძლიათ ამ ნაწყვეტის პერეფრაზირება, ამ დროს ავტორი და წყარო აუცილებლად გამოყენებული ლიტერატურის სიაში უნდა მიეთითოს;

2. თუკი მაინცდამაინც მოგწონთ რაიმე მონაკვეთი, მაშინ არ დაგავიწყდეთ ავტორის ციტირება, წესების დაცვით

რითი დავიწყოთ?
რეფერატზე მუშაობის პროცესის დაგეგმვა

1. თემის/ქვეყნის/პრობლემის არჩევა. დამწერისათვის თემა უნდა იყოს საინტერესო და აქტუალური;
2. საკუთარ თავს ვუსვამთ კითხვას: რა პრობლემებს შეეხება ეს რეფერატი, ვსახავთ გზებს როგორ გადავჭრით ამ პრობლემებს;
3. მოვიძიებთ ლიტერატურას თემის გარშემო (კარგია, თუ პერიოდიკასაც გამოვიყენებთ), ვაკეთებთ ამონაწერებს წყაროებიდან და ვიყენებთ თანამედროვე მონაცემებსაც, თუკი ხელი მიგვიწვდება ინტერნეტზე;
4. მოვხაზავთ რეფერატის ძირითადი ნაწილის გეგმას. თითოეულ პრობლემას საჭიროა მიეძღვნას ცალკე თავი, უკეთესია თუკი თავები დაიყოფა უფრო მცირე ერთეულებად, პარაგრაფებად;
5. ვწერთ სამუშაოს შავ ვარიანტს, ხოლო შესავალს ვწერთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძირითადი ნაწილი უკვე დაწერილია. რადგან მუშაობისას რეფერატის მიზნები შეიძლება მცირედ შეიცვალოს და ხელახლა დასაწერი გახდეს;
6. მოვიძიებთ, ან ვამზადებთ შესაბამის თვალსაჩინოებებს/ილუსტრაციებს (რუკა, ფოტო, გრაფიკი, დიაგრამა, სქემა და სხვა), რომელშიც კარგად წარმოჩინდება თემის ძირითადი იდეები; თვალსაჩინოებებს არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ დეკორატიული დატვირთვა და არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ თემის მოცულობის გაზრდას;
7. მასწავლებელი ეცნობა სამუშაო ვერსიას და აძლევს მოსწავლეს რეკომენდაციებს;
8. ვბეჭდავთ, ან ვათეთრებთ შესწორებულ ვარიანტს და ვამზადებთ მოკლე (5-7 წუთიან მოხსენებას, თუკი პრეზენტაციის მოთხოვნაა), დავურთავთ ილუსტრაციებს.

რეფერატის სტრუქტურა:
ა) შესავალი _ სადაც ვხსნით თემის არჩევანს, მის აქტუალობას. მოვხაზავთ მიზნებს და ამოცანებს, ვაძლევთ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას
ბ) ძირითადი ნაწილი _ ნაბიჯ-ნაბიჯ ვხსნით თემას, ვადასტურებთ ნათქვამს ციფრებით, ფაქტებით, ან ციტატებით. ყოველი სტრუქტურული ერთეული (თავი, პარაგრაფი) სრულდება მოკლე დასკვნებით
გ) დასკვნა _ თემასთან დაკავშირებით ვაყალიბებთ ზოგად დასკვნებს, ვუარყოფთ ან ვეთანხმებით წყაროთა ავტორების პოზიციებს და გამოვთქვამთ საკუთარ მოსაზრებას პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.
როდესაც რეფერატი დასრულებულია, საბოლოო შტრიხია - მისი გაფორმება.

რეფერატის გაფორმება:
სატიტულო ფურცელი, მოიცავს ინფორმაციას სასწავლო დაწესებულების შესახებ, ეწერება საგანი/საგანთა ჯგუფი, რეფერატის სათაური, შემსრულებლის და მასწავლებლის ვინაობა. სატიტულო ფურცელზე ნუმერაცია არ დააქვთ
შინაარსი _ სტრუქტურული ერთეულების შინაარსი გვერდების მითითებით
სამუშაოს ტექსტი _ ა) შესავალი, ბ) ძირითადი ნაწილი და გ) დასკვნა, აქედან იწყება გვერდების გადანომვრა და მასზე დაისმის შესაბამისი ციფრი 3.

ლიტერატურის სია _ წყაროების სრული ბიბლიოგრაფიული მონაცემების მითითებით.
ახლა, როდესაც ცნობილია ყველა ეტაპი, თემის სირთულიდან გამომდინარე უნდა დაეთმოს ვადები, რომელშიც ამის გაკეთება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოხერხდება. მაგ. თუკი მოსწავლე ირჩევს სარეფერატოდ თემას კონკრეტული ქვეყნის კომპლექსურ დახასიათებას, მას შეიძლება მიეცეს ერთი კვირა, მაგრამ თუკი უწევს პარალელების გავლება რომელიმე ორ ქვეყანას შორის, მაშინ რეფერატისთვის გამოყოფილი დრო უნდა გაიზარდოს. სასურველია, მოეწყოს შუალედური განხილვა, რათა ნაშრომი უკეთესი გამოვიდეს.

კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ფასდება რეფერატი:

1.მიზანი/თეზისი – კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა
2.რეფერატის ორგანიზება
3.შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა
4.ენობრივი გამართულობა
5.კვლევა
6.ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები
7.შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება
8.დასკვნები

ესეს წერის პრაქტიკული რჩევები

ესე _ ეს არის ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანებული ნაშრომი, რომლის სტრუქტურა და თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია მკაცრად არის განსაზღვრული. მისი მოცულობა დამოკიდებულია თემის/განსახილველი საკითხის სირთულეზე, ის შეიძლება რამოდენიმე, ან ათეულისგან აბზაცისგან შედგებოდეს. იმისთვის, რომ მოსწავლემ ესე დაწეროს, საჭიროა ისეთი აუცილებელი ეტაპების გავლა, როგორებიცაა:

- საკითხის ნათლად დასმა;
- თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, განხილულ თვალსაზრისთა კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
- სიახლე, რომელიც ამ კონკრეტულ კვლევას მოაქვს _ აუცილებელი ფაქტებისა და არგუმენტების თანხლებით;
- დასკვნები;
- ლიტერატურა.

როგორც რეფერატი, ასევე ესე და საერთოდ ნებისმიერი ნაშრომი იწყება ლიტერატურის მოძიებით, მათი დამუშავებით. *თუმცა სასკოლო სივრცეში მოლოდინი იმისა, რომ* მეცნიერული სიახლე შეიქმნება, არასწორია, მასში უფრო მეტად საკუთარი პოზიციის დაფიქსირება უნდა მოხდეს.

ესეს შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებია:

1. შესავალი
2. განმავითარებელი აბზაცი
3. დასკვნა

ესე ერთ წამყვან იდეას უნდა ავითარებდეს. ზოგადადშესავალ აბზაცში მოცემული დებულება უნდა აიხსნას განმავითარებელ აბზაცში. შესავალ აბზაცს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის წარადგენს თემას, სწორედ მისი საშუალებით მკითხველი ეცნობა განსახილველ თემას, ამდენად შესავალი ნაწილი უნდა იყოს იმგვარად გაშლილი, რომ ჩანდეს რა იქნება განხილული თემაში: ეს იქნება პროცესის აღწერა, ანალიზი, მიზეზების დადგენა, თუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წამოწევა.

ისევე როგორც ყველა ნაწერი პირველივე წინადადებებიდან იქცევდეს ყურადღებას, ესეს შესავლის წაკითხვისასაც მკითხველს უნდა გაუჩნდეს კითხვის გაგრძელების სურვილი. თუკი თავდაპირველადვე გადმოსცემთ თქვენსმოსაზრებებს, მკითხველისთვის უშუალოდ ესეს წაკითხვა აზრს დაკარგავს.

განმავითარებელი აბზაცის მთავარი ფუნქციაა ახსნას და დაასაბუთოს ის ძირითადი საკვანძო დებულება, რომელიც შესავალშივე წარმოჩინდა. რამდენი აბზაცითაც არ უნდა შედგებოდეს ეს ნაწილი, აუცილებელია თითოეული მთავარ იდეას ეხმიანებოდეს, მის ერთ-ერთ ასპექტს ასახავდეს.

ეს ნაწილი უნდა იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და მასში კარგად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს არა მხოლოდ აბზაცები, არამედ წინადადებებიც კი. არგუმენტირებული ესეს შემთხვევაში უნდა არსებობდეს საწინააღმდეგო დებულებაც და მკითხველები არგუმენტებით უნდა დაარწმუნოთ თქვენს მიერ განვითარებული მოსაზრების სისწორეში.

რაც შეეხება დასკვნას, მისი ფუნქციაა წარდგენილი და შემდგომ გაშლილი თემის, იდეის ირგვლივ დისკუსიის ლოგიკური დამთავრება. აქ დებულების მოკლედ გაცხადება, მიმოხილვა და დასაბუთება უნდა მოხდეს, ვიდრე ეს განმავითარებელ აბზაცში გაკეთდა. არ შეიძლება ახალი თემის, იდეის ან მოსაზრების წამოწევა, დასკვნითი ნაწილი მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს წინმსწრებ სტრუქტურულ ერთეულებში წამოწეულ მოსაზრებებს.

მეოთხე თავი

მოსწავლეთა მიღწევები

შესავალი

ამ თავში თქვენ წაიკითხავთ:

- *მოსწავლეთა მოტივაციაზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორზე;*
- *სხვადასხვა სტილის მსწავლებლებზე, რისი სასწავლო პროცესში გათვალისწინებაც მასწავლებელს უკეთ დაგეგმვის საშუალებას აძლევს;*
- *სასწავლო-შემეცნებით ვიზიტებზე, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს ისწავლოს და შეიმეცნოს სამყარო განსხვავებულ გარემოში, დააკავშიროს სკოლაში ნასწავლი რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებთან;*
- *სასწავლო ოლიმპიადებზე, სადაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სკოლაში შეძენილი ცოდნით გაეჯიბრონ თავიანთ თანატოლებს;*
- *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებთან მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ინდივიდუალური თუ მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის დახმარებით, კლასში თითოეული განსხვავებული მოსწავლის მიღწევებზე იზრუნოს, რაც მთლიანობაში კლასის და სკოლის მიღწევებს ამაღლებს.*

მოსწავლეთა მიღწევას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. სწორედ მათი ერთობლიობა საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ უკეთეს შედეგს მიაღწიოს. ჩვენ ამ თავში შევაჩერებთ ისეთ ფაქტორებზე ყურადღებას, რომლებზეც მასწავლებელს შეუძლია დადებითად იმოქმედოს. ყურადღების მიღმა კი დავტოვებთ ყურადსაღებ, მაგრამ მასწავლებელზე ნაკლებად დამოკიდებულ ფაქტორს, ისეთს, როგორიცაა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ოჯახი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები და სხვა.

პირველ რიგში ყველაფრის ამოსავალია მოსწავლეთა მოტივაცია. ის რაც განაპირობებს თუ რამდენად დაინტერესებული და ჩართულია სწავლის პროცესში მოსწავლე. მასწავლებელი უშუალოდ არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა ხდება საკლასო ოთახში, თუმცა მას ასევე შეუძლია კლასგარეშე მუშაობაც შემოქმედებითად დააგეგმინოს მოსწავლეებს და მათთან ერთად არაერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელოს. ეს კი მოსწავლეს ინტერესის გაღრმავებაში ეხმარება. ინტერესიანი მოსწავლე კი მათი მიღწევების დონეს ზრდის და მასწავლებლის წარმატებებს ეხმარება.

სასწავლო პროცესი მხოლოდ საკლასო ოთახში არ ხორციელდება. კარგი მასწავლებელი მას საკლასო ოთახს გარეთაც აგრძელებს. კლასგარეშე აქტივობების სათანადოდ მომზადება და ჩატარება მოსწავლეთა მიღწევებზე პირდაპირ აისახება. აქ დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარება. რაც მთავარია, ამ დროს მოსწავლეს საშუალება ეძლევა გარკვეულ საკითხებს კიდევ უფრო ჩაუღრმავდეს და სხვა თვალთახედვით შეისწავლოს, დააკავშიროს ნასწავლი რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს მოსწავლე სხვადასხვა ინფორმაციის მოძიების პროცესში ურთიერთობს თანატოლებთან თუ უფროსებთან, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთან, რაც მის

კომუნიკაციის უნარზე ასევე დადებითად აისახება. შეიძლება ითქვას, რომ კლასგარეშე აქტივობებს მოსწავლეები ხშირად უფრო მეტი ინტერესით კიდებენ ხელს, რადგან ის არ არის მათ მიერ გაიგივებული ყოველდღიურ სწავლების პროცესთან. ამდენად მასზე დახარჯული ძალისხმევა მასწავლებელს ორმაგად უბრუნდება უკან.

რა თქმა უნდა, მასწავლებელს საშუალება ეძლევა მოსწავლეების მიღწევებისკენ მიმართული აქტივობები "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას" დაუკავშირონ. მე-11 მუხლის მ) და ნ) პუნქტები განსაზღვრავს, რომ ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მოსწავლეთა 3-ჯერადი გამარჯვების შემთხვევაში მასწავლებელი იღებს კრედიტს. ეროვნული ოლიმპიადის შემთხვევაში - 1-ს, ხოლო საერთაშორისოს შემთხვევაში - 2-ს. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებთან მუშაობისათვის ადეკვატური სასწავლო გეგმის, ჯგუფური და ინდივიდუალური საკლასო/ სასკოლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისათვის მან შეიძლება მოიპოვოს 2 კრედიტი. სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის შესაბამისად გაფორმების შემთხვევაში მან შეიძლება საგანმანათლებლო პროექტის სახე მიიღოს, რაც ამავე მუხლის ე) პუნქტშია ასახული და მასწავლებლისთვის 1 კრედიტი მოაქვს.

მოსწავლეთა მოტივაცია და საგნობრივი ოლიმპიადები

სიტყვა "მოტივაცია" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან და ნიშნავს "მოძრაობას". ქართულში ამ ტერმინით აღნიშნავენ მოტივების, სურვილების, მიზნების და სხვ. ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებს ადამიანის ქცევას.

ზოგიერთ ადამიანს მეტი მოტივაცია გააჩნია, ზოგს - ნაკლები. თუმცა მასზე ზემოქმედება ყოველთვის შეიძლება. მოსწავლეთა მხრიდან მეტი მოტივაციის არსებობის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი რამ, მაგალითად, მასწავლებელი, ან მშობელი, რომელიც ხშირად წაახალისებს შვილის მიღწევებს, სკოლის შიგნით ან გარეთ გამართული ღონისძიებები (კონფერენციები, ოლიმპიადები, ბანაკები), რაც ზრდის მატ შორის თანამშრომლობას და თვითშეფასებას. ეს კი დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე.

რა თქმა უნდა, განსხვავებულ ასაკში მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი მოტივაცია ამოძრავებთ. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა უმეტესობა სიამოვნებით მიდის სკოლაში, რადგან სკოლაში სიარული მისთვის არის "უფროსობასთან" გაიგივებული. მათ მოსწონთ მოსწავლისთვის განკუთვნილი სასკოლო ნივთები. ეს სოციალური როლი თავდაპირველად მისგან მოითხოვს აკურატულობას, დავალებების გულისხმიერ შესრულებას. ამას ისინი დიდი მონდომებით აკეთებენ, რადგან მიცემული დავალებები მათ ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. შემდეგ საფეხურზე მოსწავლის მოტივაცია ხდება საგნობრივი, რადგან ამ დროს უკვე მატულობს ინტერესი რომელიმე საგნისადმი. რაც უფრო მეტად უღრმავდება საგანს, მით უფრო მეტს აღწევს მასში და ესმის საგნის შიდა ლოგიკა. ის ნაკლებად არის ყველა საგანზე ერთნაირად ორიენტირებული. შესაბამისად, კლებულობს ინტერესი სხვა საგნებისადმი. სწავლა ხდება ფორმალური აუცილებლობა. ისინი სკოლასა და რეალურ ცხოვრებას შორის დიდ სხვაობას ხედავენ და ნაკლებად პოულობენ მიღებული ცოდნის მოხმარების/გამოყენების აუცილებლობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბოლო, საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მოტივაციას, ძირითადად, მათი უმაღლესი განათლების მიღების სურვილი განაპირობებს. ამ დროს, მოსწავლეებს აქვთ სურვილი ჩაერთონ სხვადასხვა ერთობლივ ღონისძიებებში როგორც სკოლის შიგნით, ისევე სკოლის გარეთაც, რადგან სოციალური ურთიერთობები მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება. სკოლა უნდა იძლეოდეს საშუალებას

მოსწავლეთა თავისუფალი დრო ინტერესისდა მიხედვით გაატარონ, იქნება ეს საწრეო მუშაობა, მათთვის ოლიმპიადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუ სხვა.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვისაც. არის რამდენიმე მთავარი ფაქტორი, რაც სასწავლო პროცესში იწვევს პოზიტიური მოტივაციის ფორმირებას. ესენია:

- სასწავლო მასალის შინაარსი;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება;
- სწავლების კოლექტიური ფორმები;
- სასწავლო პროცესის შეფასება;
- მასწავლებლის სწავლების სტილი.

სასწავლო შინაარსი, რომელსაც მოსწავლეები ღებულობენ ძირითადად, მასწავლებლის, სახელმძღვანელოს და სხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. თუკი მოსწავლე ინფორმაციის მოხმარების საჭიროებას ვერ ხედავს, ეს არ უბიძგებს მას სასწავლო მოქმედებისკენ. ამიტომ ინფორმაცია დატვირთული უნდა იყოს მრავალფეროვანი ფუნქციით, რომელიც მიმართულია მეხსიერების, აზროვნების, წარმოსახვის, თვითშეფასების განვითარებისკენ. უშინაარსო და მწირად გაფორმებული მასალა არ შეიცავს მოტივაციის საკმარის ბიძგს, ნაკლებად აღძრავს ინტერესს საგნისადმი. ინტერესმოკლებულია აგრეთვე, ზედმეტად მარტივი მასალაც, რაც იმ მომენტში კარგ შეფასებას განაპირობებს, მაგრამ საბოლოო ჯამში კლავს ყოველგვარ მოტივაციას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებაში შეიძლება გავიგოთ სასწავლო-პრობლემური სიტუაციების ჩამოყალიბება, ისე, რომ შემზადდეს სწავლების ფონი: ისეთი დავალებების მიცემა, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია თემის ფარგლებში; ასევე ამოცანის, ან თემის თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობის ახსნა.

სწავლების კოლექტიური ფორმები მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეებს მეტად ეხალისებათ წყვილებში და ჯგუფებში მეცადინეობა. და ასეთი სწავლებისგან მეტ სიამოვნებას და შესაბამისად ეფექტს ვღებულობთ. ამ დროს, ფუნქციების, როლების სწორი განაწილებით შესაძლებელია აქტიურ პროცესში ჩავრთოთ პასიური, ან ნაკლებად მოტივირებული მოსწავლეებიც. ამავდროულად, ჯგუფური მუშაობა განაწყობს თანაკლასელებთან ერთგვარი გაჯიბრებისკენ, სურვილია არ გამოჩნდნენ მეგობრებზე უარესად.

სასწავლო პროცესის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოტივაციის გასაზრდელად. თუმცა ხშირმა და მკაცრმა შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ნიშანი გახდება სწავლების მთავარი მიზანი და არა _ თვითონ სწავლა, კვლევა. მნიშვნელოვანია მასწავლებელი შეფასების დროს მიმართავდეს პოზიტიურ კრიტიკასა და პოზიტიურ კომენტარებს, აღნიშნავდეს მოსწავლეთა პროგრესს. ეხმარებოდეს მათ სასწავლო პრობლემების დასახვაში, აგეგმინებდეს პროცესს უკეთესი შედეგის მისაღწევად.

მასწავლებლის სწავლების სტილი ერთ-ერთი განმსაზღვრელია მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად. ავტორიტარი მასწავლებლის ხელში მოსწავლე ცდილობს თავი აარიდოს წარუმატებლობებს, რაც არ ეხმარება მოტივაციის გაზრდას. მასწავლებლის მიერ სხვადასხვა ხერხების და სტრატეგიების გამოყენება, სიახლეების ძიება და საკლასო ოთახში პოზიტიური გარემოს შექმნა უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა 2009 წლიდან ყოველწლიურად ტარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული), ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას ხელს უწყობს მათი ჩართულობა სხვადასხვა ტიპის კლასგარეშე პაექრობაში თავიანთ თანატოლებთან.

მასწავლებელი ხარისხიანი სწავლებით ხელს უწყობს მოსწავლეთა ოლიმპიადისთვის მომზადებას. პერიოდულად მასწავლებელმა საგნობრივი ვიქტორინები შეიძლება მოაწყოს, რაც თუკი ოლიმპიადის ფორმატში განხორციელდება, მოსწავლეებს გაუადვილებს ტურებში არა მხოლოდ მონაწილეობის მიღებას, არამედ გამარჯვებასაც.

მოსწავლე-მასწავლებლის თანამშრომლობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, რომ კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე გაამახვილოს ყურადღება. განსაკუთრებული ინტერესის მქონე მოსწავლეები მეტ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვენ მასწავლებლისგან, რადგან ხშირ შემთხვევაში მათთვის რიგითი ყოველდღიური დავალებები ადვილად დასაძლევია. ამ შემთხვევაში, დგება საშიშროება, რომ მოსწავლე დაკარგავს ინტერესს სასწავლო პროცესისადმი. იმისთვის, რომ გამორჩეული მოსწავლეების მოტივაცია შეინარჩუნოთ, სასურველია, მათთვის ინდივიდუალური დავალებების მომზადება, რაც მათ საგნისადმი და სასწავლო პროცესისადმი ინტერესის განელების საშუალებას არ მისცემს.

ინფორმაცია ეროვნული ოლიმპიადების შესახებ ვრცელდება რესურსცენტრების დახმარებით, ასევე ქვეყნდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე (www.mes.gov.ge ; www.naec.ge).

აღნიშნული ეროვნული ოლიმპიადის გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობაც ზრდის მოსწავლეთა მიღწევებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი მოსწავლე მოახერხებს მათში გამარჯვებას, მასწავლებელს ეს უფასდება სხვადასხვა სახით. 3-ჯერადი გამარჯვების შემთხვევაში კი კრედიტი მიენიჭება.

სხვადასხვა სტილის მსწავლებლები და ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობა

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ადამიანი შეიცნობს სამყაროს სხვადასხვაგვარად. სწავლის სტილი პირობითი ცნებაა და მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვის როგორ ურჩევნია ან უადვილდება სწავლა;

ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ინფორმაციის აღქმის, აღბეჭდვისა და შენახვის გარკვეულ მეთოდებს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს აღნიშნულის შესახებ, შეაფასოს მოსწავლეთა სწავლის სტილი და მის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები მაქსიმალურად მოარგოს მათ ინდივიდუალურ სტილს. სწორედ მოსწავლეების სწავლის სტილის მრავალფეროვნება აუცილებელს ხდის სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას. სწორედ სტრატეგიების მრავალფეროვნება მოსწავლეთა მეტ ჩართულობას განაპირობებს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე შესაძლოა რომელიმე ერთ ტიპს განეკუთვნებიან, ან რამდენიმეს სტილს ერთად ანიჭებენ უპირატესობას. სწავლის სტილი შეიძლება შეიცვალოს დროისა და კონტექსტის მიხედვით.

არსებობს სწავლის სტილის სხვადასხვა კლასიფიკაცია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულის მიხედვით, შესაძლებლია სწავლის ოთხი ძირითადი სტილის გამოყოფა. სწავლის ეს ტიპებია: შეხებითი, კინესთეტიკური (მოძრაობითი), მხედველობითი და სმენითი. სმენითი სწავლის ტიპის მქონე ადამიანები უკეთ სწავლობენ მოსმენით; კინესთეტიკური ტიპები - ურთიერთქმედებით და კეთებით; მხედველობითი სწავლის ტიპები - ვიზუალური ხატებით, სადემონსტრაციო თვალსაჩინოებებით და სხეულის ენით, ხოლო შეხებითი ტიპები - ჩანაწერების გაკეთებით და დიაგრამების/გრაფიკების დახატვით.

მოსწავლის მრავალმხრივად გასავითარებლად, მასწავლებელმა სწავლების სხვადასხვა ტექნიკას უნდა მიმართოს, სწავლებაში გამოიყენოს მრავალგვარი რესურსები, მუდმივად მიმართოს ისეთ აქტივობებს, რომლებშიც მოსწავლე მიუხედავად თავისი გამოხატული შესაძლებლობებისა მაინც ჩართულია.

მასწავლებელმა მასალის ახსნისას, მასზე მსჯელობისას ხან დაფაზე წერით, ხან სქემების და თვალსაჩინოებების მოშველიებით, ხანაც თხრობით უნდა მიაწოდოს ახალი გაკვეთილი, ხოლო დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებისგან სხვადასხვა ფორმატში დავალების შესრულებას უნდა ითვალისწინებდეს, იქნება ეს ძირითადი იდეების, მიზეზების და შედეგების ჩამოწერა, სქემატურად გამოსახვა, თუ გრაფიკულად წარმოდგენა, როლების გათამაშება, დავალებები მონაცვლეობით ინდივიდუალურად, წყვილებში, ან ჯგუფებში უნდა სრულდებოდეს, რადგან ყველა მათგანმა შეძლოს თავის წარმოჩენა და ამავდროულად, სხვა როლშიც თავის მოსინჯვა, რაც მრავალმხრივი განვითარების საშუალებას იძლევა.

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ მოსწავლეთა მიღწევებზე, გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლის სტილის მრავალფეროვნება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი აცნობიერებდეს მოსწავლეების სხვადასხვა ხარისხით მიდრეკილებას ამა თუ იმ სტილისადმი, რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების მრავალმხრივად გამოხატვის და განვითარების შესაძლებლობა მისცეს.

კარგია, როდესაც მასწავლებელი თავის კოლეგებთან ერთად *ინტეგრირებულ გაკვეთილებს* გეგმავს. რა თქმა უნდა, საგანი, რომელთანაც ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდება უნდა შეირჩეს შესასწავლი თემიდან გამომდინარე, მისი მჭიდრო კავშირები ამ დისციპლინასთან უნდა იკვეთებოდეს. ინტეგრირებულ გაკვეთილებს ხშირი ხასიათი ვერ ექნება, რადგან მას ზედმიწევნით დაგეგმვისა და კოლეგასთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობის გარდა სხვა სირთულეებიც ახლავს. მაგალითად, იმისათვის რომ ინტეგრირებული გაკვეთილი სრულფასოვანი გამოვიდეს ხშირად 1 გაკვეთილი საკმარისი არაა და საჭიროა ცხრილში ცვლილებების შეტანა, რათა შეწყვილებული გაკვეთილის ჩატარება მოხერხდეს. ამით გაკვეთილზე დაგეგმილ აქტივობებს, იქნება ეს დისკუსიები, მსჯელობები, თუ სხვა შესაძლებელი იქნება საკმარისი დრო დაეთმოს. სწორედ ინტეგრირებული გაკვეთილები აძლევს სხვადასხვა სტილის მსწავლელებს მეტი ინტერესით ჩაერთნონ სწავლის პროცესში.

ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება სერტიფიცირებულ მასწავლებელს საშუალებას აძლევს დააგროვოს საჭირო კრედიტები. სხვა საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან ერთად დაგეგმილი და ჩატარებული 3 ინტეგრირებული გაკვეთილი მას 1 კრედიტს მატებს.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი არის რისამე კოლექტიური დათვალიერება; გამგზავრება, გასეირნება სასწავლო, სამეცნიერო, სპორტული მიზნით. ხშირ შემთხვევაში კლასგარეშე ვიზიტები გაიგივებული იყო გართობასთან და მას მასწავლებელი ძირითადად წლის ბოლოს აწყობდა, ექსკურსიას უკავშირებდნენ რაიმე ისტორიული, კულტურული თუ ბუნებრივი ობიექტის მონახულებას. სინამდვილეში ამ ვიზიტებს მეტი დატვირთვა შეიძლება მიეცეს, რადგან ამ დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რეალურ გარემოში დააკვირდნენ სიტუაციას და გაეცნონ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ თავისებურებებს. რა თქმა უნდა, სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები მასწავლებელმა უნდა დააკავშიროს სასწავლო გეგმასთან და მისცეს მას საგანმანათლებლო დატვირთვა.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის მნიშვნელობა

სასკოლო სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი მნიშვნელოვანია კლასგარეშე განათლებისთვის. როგორც ჩვენ ვიცით მოსწავლე სწავლობს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. ამგვარ ღონისძიებებზე მოსწავლეებს სოციალური და საკუთარი თავის მართვის უნარ-ჩვევებიც უვითარდებათ. მოსწავლეები ვიზიტების დროს არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ ისვენებენ კიდეც, თან ამას ორგანიზებული, კოლექტიური ფორმა აქვს. აუცილებელია, სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის წინასწარი დაგეგმვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის მაქსიმალურად საინტერესო და საგანმანათლებლო ღირებულების მატარებელი.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დროს აქტივობები ხშირად რამდენიმე საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირებას ახდენს (მაგ. ქართულის, ისტორიის, -გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ფიზკულტურის, ხელოვნების...). ამდენად, ამ აქტივობების დაგეგმვისას, სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა შესაძლოა, უფრო მეტად ეფექტიანი იყოს.

სასწავლო-შემეცნებით ვიზიტს საილუსტრაციო ფუნქცია აქვს. აქ ნანახი და მოსმენილი მოსწავლეებს უკეთ ამახსოვრდებათ, ვიდრე მხოლოდ მოყოლილი, ან ფორმალურ გარემოში შესწავლილი მასალა.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის, როგორც სასწავლო ღონისძიების, გამოყენების თაობაზე სამი მოსაზრება არსებობს:

1. სასწავლო-შემეცნებით ვიზიტს ადგილი აქვს სასწავლო წლის დაწყებისში; ამ შემთხვევაში მას უფრო ექსკურსიის მნიშვნელობა ენიჭება და ხელს უწყობს მოსწავლეთა და პედაგოგთა დაახლოებას, აღვივებს ინტერესს სხვადასხვა საკითხების მიმართ და ზრდის სწავლის მოტივაციას;
2. სასწავლო-შემეცნებით ვიზიტს ადგილი აქვს სასწავლო წლის დასრულებისას, როდესაც ისინი უკვე სათანადო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ფლობენ და შეუძლიათ რეალურ გარემოში დააკვირდნენ ბუნების თუ ისტორიულ ძეგლებს თუ გარკვეულ სამუშაო გარემოს;
3. სასწავლო-შემეცნებით ვიზიტს გეგმავს საგნის პედაგოგი წლის განმავლობაში საგნის საჭიროებისა და სპეციფიკიდან გამომდინარე.

სკოლის გარეთ სწავლებას შეიძლება გარკვეული პრობლემები ახლდეს თან, ამიტომ აუცილებელია სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დეტალური დაგეგმვა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს და დაგეგმოს შემდეგი საკითხები: სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის მიზანი, სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის ზუსტი დრო, მოსწავლეების რაოდენობა;

მოსწავლეები აქტიურად შეიძლება ჩაებან ვიზიტის დაგეგმვაში, როგორც ადგილის შერჩევის მხრივ, ისევე სატრანსპორტო საშუალების, გასვლის და ჩამოსვლის დროის, საკვების განსაზღვრით, ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის გაცნობით სავარაუდო და შემდგომ ზუსტი თარიღის დაგეგმვით.

დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა კიდევ უფრო ზრდის მათ მოტივაციასა და თვითრწმენას.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დროს ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა დამოკიდებულია კლასის სიდიდეზე. სასურველია, რომ 5-6 ბავშვს ერთი უფროსი ახლდეს (იქნება ეს პედაგოგი, სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელი თუ აქტიური მშობელი). თუმცა მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს საკითხი, რადგან არსებობს გარკვეული შეზღუდვები მუზეუმში ვიზიტისას, შესაძლოა ერთად შეზღუდული რაოდენობით მოსწავლეები შეუშვან. ამან შეფერხებები ადგილზე რომ არ გამოიწვიოს, საჭიროა ინფორმაციის წინასწარ მოძიება.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის გეგმის შესახებ – რა უნდა ნახონ, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ. სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დროს უნდა წაახალისოს მოსწავლეები დასვან კითხვები. შესაძლებელია, საჭირო იყოს გარკვეული ჩანიშვნების გაკეთებაც.

თუკი სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი სასწავლო მიზანს ემსახურება, მაშინ:

სასწავლო-შემეცნებით ვიზიტამდე

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მიმართულებას, მიზანს, რა სასწავლო თემატიკას ეხმიანება.

საჭიროა მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს ვიზიტის დროს ჩასატარებელი აქტივობები, თუკი ის ჩანახატების, ჩანაწერების წერას ითვალისწინებს, მაშინ წინასწარ აფრთხილებს მოსწავლეებს წამოსაღები ნივთების შესახებ. შესაძლოა ეს იყოს დაკვირვების ანკეტა, რომელიც წინასწარ დგება და მათ გადაეცემა.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დროს

მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ აქტივობები მრავალფეროვანი და სახალისო იყოს, რათა ადვილად შეძლოს კლასის მართვა.

უმჯობესია აქტივობები ჯგუფურ ხასიათს ატარებდეს და გაჯიბრების ელემენტიც იყოს გათვალისწინებული, სხვადასხვა ჯილდოები, ვინც მალე გაართმევს თავს.

გასათვალისწინებელია ის დროც, რომელსაც მოსწავლეები გზაში ატარებენ, არ უნდა ჩაიაროს ფუჭად. კარგია თუკი მოკლე დავალებები მათ გზაშიც ექნებათ, როგორიცაა მაგალითად, დროის აღრიცხვა, დაკვირვება მიმდებარე მიდამოებზე (ბუნება, დასახლების ტიპი, მანქანების ინტენსივობა გზაზე.....). ასევე კარგია თუკი ამავე დროს გამოიყენებთ ჩასატარებელი აქტივობებისთვის ინსტრუქციების მისაცემად, კლასის ჯგუფებად დასაყოფად.

მოსწავლეები ჯგუფებში აკვირდებიან გარემოს და ცდილობენ, შეისწავლონ იგი. მოსწავლეებს თან უნდა ჰქონდეთ რვეულები/ ბლოკნოტები, სადაც საკუთარ

დაკვირვებებს აღწერენ. დაკვირვების შემდეგ, მასწავლებელი კრებს მოსწავლეებს წრეში, სადაც მსჯელობენ მოსწალეთა მიერ გამოვლენილი საკითხების შესახებ, რის შემდეგაც მოსწავლეები რვეულში ჩანიშნულ თეზისებს ახალ ინფორმაციას ამატებენ.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის შემდეგ

ვიზიტის შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ პროექტის დასრულება, რაც საუკეთესო საშუალებაა დამოუკიდებელი კვლევისთვის. პროექტს მოსწავლეები გარკვეული დროის განმავლობაში (ერთი კვირა) ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ აუდიტორიას.

<u>სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დადებითი მხარეები:</u>

- სწავლების თვალსაჩინო მეთოდი – მოსწავლე რეალურ ვითარებაში აკვირდება და სწავლობს გარემოს;
- ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას;
- ხელს უწყობს კლასის შეკვრას.

<u>სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის უარყოფითი მხარეები:</u>

- ვიზიტი ერთჯერადი ღონისძიებაა, შესაბამისად, არასწორად დაგეგმვის შემთხვევაში ან გაუთვალისიწნებელი ხელისშემშლელი გარემოებების გამო (მაგ., ცუდი ამინდის), ის შეიძლება არაეფექტური იყოს.

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს მის შედეგებს – რა ნახეს ან მოისმინეს, რამდენად გასაგები და საინტერესო იყო ინფორმაცია; შესაძლებელია, მათთან ერთად დაიგეგმოს შემდგომი ვიზიტებიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის კლასიფიკაციით, ***შეზღუდული შესაძლებლობა*** (**შშ**) არის დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული სეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. იმავდროულად, სამედიცინო დიაგნოზის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) სტატუსს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული დიაგნოზის მქონე ბავშვები (მაგალითად, ეპილეფსია და სხვა) საკმაოდ კარგად არიან ადაპტირებულნი როგორც სასწავლო გარემოში, ისე საზოგადოებაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (**სსს**) გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. ამ ტერმინის დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სასწავლო პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. მართალია, ბევრ მოსწავლეს არ აღენიშნება თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა, ისინი მაინც წარუმატებელნი არიან სკოლაში.

შესაბამისად, იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმამათლებლო საჭიროება, დამოკიდებულია სწავლის პროცესში სირთულეების დადგენაზე და არა მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსზე. ასეთ მოსწავლეს შეიძლება ექმნებოდეს სწავლის სირთულე, მაგალითად, შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში
- ინფორმაციის გადამუშავება
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება
- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება
- ქცევა
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგოგებთან
- მოწესრიგებულობა
- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე
- გრძელვადიანი მკურნალობის გამო გამოთიშვა საერთო სასწავლო პროცესიდან
- ბუნებრივი თუ კულტურული რაიმე ნიშნით უმცირესობის წარმომადგენლის უმრავლესობასთან ურთიერთობასოციალური დაუცველობა
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საშიშროება

ასეთ მოსწავლეების სასწავლო სირთულეების გადალახვა და სწავლის მიღწევებად გარდაქმნა ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმითა და ძალისხმევით. იმავდროულად, ნებისმიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოღვაწე ყოველ პედაგოგს სხვადასხვა სიხშირით უწევს განსხვავებული რაოდენობის ასეთ მოსწავლეებთან ურთიერთობა. ნებისმიერი მასწავლებლის პრაქტიკაში გარდაუვალია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლესთან (სსსმ) მუშაობა. საზოგადოდ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრა-დაზუსტება ეფუძნება მასწავლებლის კვლევით უნარებსა და მის ცოდნას ბავშვთა ასაკობრივი თუ სხვა თავისებურებების შესახებ. სწორედ, ასეთ დროს ახერხებს მასწავლებელი ადეკვატური სასწავლო გეგმის შექმნასა და რეალიზაციას, სასწავლო პროცესის წარმართვას. მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების ზუსტად და სრულად დადგენა სწავლების ადეკვატური და ეფექტური სტრატეგიების შერჩევა-განხორციელების საწინდარია.
მთავარია, მასწავლებელს გააზრებული ჰქონდეს, რომ ნებისმიერი ადამიანი ვითარდება, სწავლობს და შესაბამისად აქვს წარმატებები. უბრალოდ შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების განსხვავებულობა ნებისმიერ ადამიანისთვის წარმატებების სხვადასხვა საზომებს ადგენს. მაგალითად:

- მოსწავლე შესაძლებელია თანატოლებზე ბევრად სწრაფად სწავლობდეს და ასრულებდეს მრავალსაფეხურიან არითმეტიკულ ოპერაციებს მრავალნიშნა რიცხვებით, მაგრამ მისთვის რთული იყოს ფეხსაცმლის თასმის შეკვრის სწავლა;
- ან, მოსწავლე ძალიან ყურადღებიანი მსმენელი, კარგად მეტყველი და მკითხველი იყოს, რაც გამოვლინდება მის წერით დავალებებში, მაგრამ მისთვის რთული დასაძლევია აუდიტორიის წინაშე საკუთარი ცოდნის ზეპირად გაზიარება;

- ან მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს ძალიან კარგი მეხსიერება და მრავალმხრივი ინტერესები, მაგრამ მისთვის სირთულეს წარმოადგენდეს ქცევის კონტროლის დასწავლა და ა.შ.

სსსმ-ებთან პედაგოგის მუშაობა ეფუძნება ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს. ***ინკლუზია*** ლათინური სიტყვაა (inclusion) და ნიშნავს ჩართვას, შემოერთებას. ***ინკლუზიური განათლება*** არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც ***განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის*** თუ მოზარდის ***ხარისხიან განათლებას*** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ენობრივი, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ.

ეს იდეა ეფუძნება, ერთი მხრივ, ადამიანების მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის აღიარებას, მეორე მხრივ ადამიანების თანასწორობას განათლების უფლების მიმართ. ყველანაირი შესაძლებლობების ბავშვთა განათლების უფლება განმტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით. ადამიანების მრავალფეროვან შესაძლებლობათა და ინტერესთა განსხვავებულობა ბადებს მათივე საგანმანათლებლო საჭიროებების განსხვავებულობას.

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მოსწავლეების ყოველდღიური სწავლება სკოლასა და კლასში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება სწავლების სხვადასხვა სახეს აერთიანებს, ესენია: სრული ჩართვა/ინკლუზია, ნაწილობრივი ჩართვა/ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.
სრული ჩართვა ნიშნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის (სსსმ) სრულად ჩართვას სასწავლო პროცესში, ყოველ გაკვეთილზე დასწრებასა და თითოეული ამ მეცადინეობისათვის შესაბამის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
ნაწილობრივი ჩართვა ნიშნავს სსსმ-ის შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის ინდივიდუალური სასწავლო განრიგის შექმნას შერჩეულ გაკვეთილებზე დასასწრებად. ასეთ დროს საკმარისად დეტალური ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება, რომელიც აღწერს საგანმანატლებლო მიზნებსა და შესაბამის აქტივობებს როგორც გაკვეთილებზე დასწრებისას, ისე მათზე დაუსრებლობის შემთხვევაში. ნაწილობრივი ჩართვისას მნიშვნელოვანია სსს მოსწავლის ეტაპობრივი ჩართვა და ადაპტაცია სასწავლო გარემოსა და თანატოლთა საზოგადოებაში.
ინტერირებული სწავლებისას სკოლაში არსებული სსს მოსწავლეები ერთ კლასში არიან გაერთიანებული და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი პროგრამით. თუმცა, ეს მოსწავლეები არიან სკოლის სივრცეში და ჩართულები არიან საერთო სასკოლო არასაგაკვეთილო ცხოვრებაში.

თვალსაჩინოა, რომ სსს მოსწავლეებთან მუშაობა მასწავლებლისგან ითხოვს თანმიმდევრულ უწყვეტ თანამშრომლობას მშობლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან. ამასთან, საჭიროა კონსულტაციები შესაბამის სპეციალისტებთან და კონკრეტული ბავშვთნ პროფესიული თუ სოციალური ურთიერთობის გამოცდილების მქონე ადამიანებთან (მაგ., სოციალურ მუშაკებთან, ექიმებთან, ფსიქოლოგებთან, სამართალდამცავებთან და ა.შ.). სწორედ ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე ხდება შესაძლებელი მოსწავლის საგანმანათლებლო

საჭიროებების ზუსტად განსაზღვრა და მისი შესაბამისი, ადეკვატური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელება.

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ) წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ესგ-ის გათვალისწინებიტ ხდებოდეს. ამით სსსმ-ებსაც საქართველოს სხვა მოქალქეებთან თანაბარი პირობები შეექმნებათ თვითრეალიზაციისათვის.
ეროვნული სასწავლო გეგმა ჭეშმარიტად ინკლუზიური (თანასწორი) განათლების უზრუნველყოფის კარგი და მოქნილი საშუალებაა. იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლის, სკოლისა და მასწავლებლების შესაძლებლობათა მიხედვით, ინკლუზიური განათლების სამივე სახე განხორციელდეს. ესგ-ის ფარგლებში შესაძლებელია სსს მოსწავლისათვის:

- სასწავლო პროგრამის გამარტივება;
- სასწავლო პროგრამის ფორმის ცვლილება;
- სასწავლო პროგრამისათვის განკუთვნილი დროის ცვლილება;
- დამატებითი დამხმარე საშუალებების გამოყენება.

იდნივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) იქმნება ერთი კონკრეტული მოსწავლისათვის. მისი შემუშავება აუცილებლად გუნდურ მიდგომას საჭიროებს. მშობელი, მასწავლებელი, სპეც.პედაგოგი, ფსიქოლოგი და სხვა სპეციალისტები მონაწილეობენ ისგ-ის სექმნასა და განხორციელებაში საკუთარი ცოდნით, გამოცდილებით, როლითა და პასუხისმგებლობით. გუნდის ორგანიზებასა და კოორდინაციას წარმართავს მოსწავლის ისგ-ის კოორდინატორი, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია წარადგენს. ხშირად სახელდება კლასის დამრიგებელი, იშვიათად - სპეც-პედაგოგი, ფსიქოლოგი ან სხვა პირი.

საგულისხმოა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესაბამისი აქტივობა (თავი V, მუხლი 11, რ) ითვალისწინებს ცალ-ცალკე იმდენჯერ 2 კრედიტს, რამდენი სახის/კატეგორიის სსს მოსწავლეებთანაც მოუწევს მუშაობა. ამ შემთხვევაში, კრედიტების დაგროვება არ არის დამოკიდებული რომელიმე კატეგორიის მოსწავლეთა რაოდენობაზე, ვისთანაც მუშაობს პედაგოგი. მაგალითად, თუ პედაგოგი სქემაში მონაწილეობის განმავლობაში მუშაობს ყოველწლიურად 10-15, მაგრამ მხოლოდ სმენადაქვეთიებულ, მოსწავლესთან, მას 2 კრედიტი უგროვდება. თუ მასწავლებელს მოუხდება თითო-თითო, მაგრამ 4 განსხვავებული კატეგორიის (მაგალითად: მეტყველების დარღვევა, ორთოპედიული დაზიანება, მშობლიურ და სწავლების ენას შორის განსხვავება, აუტიზმი) მოსწავლესთან მუშაობა, მაშინ მას დაუგროვდება 8 კრედიტი.

იმისატვის, რომ ნებისმიერმა მასწავლებელმა კომპეტენტურად და წარმატებით იმუშავოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან, რითაც დაადსტურებს სქემის ამ აქტივობას, არსებობს სასარგებლო, დეტალური და ხელმისაწვდომი რესურსები.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრებს შენუშავებული აქვთ მრავალი მარეგულირებელი დოკუმენტი და

მასწავლებლების დამხმარე ლიტერატურა. ისინი ხელმისაწვდომია სკოლებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, აღნიშნულ ცენტრებში მათ ვებ-გვერდებზე: www.tpdc.ge და www.ncac.ge.

მაგალითად განისაზღვრა ოთხი სახის სპეციალური მასწავლებელი:

- ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი;
- ქცევის და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი;
- სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი;
- მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი.

შემუშავდა ***სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.*** სტანდარტი შედგება ორი ნაწილისგან: (1) ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა ყველა სახის სპეციალური მასწავლებლისთვის (2) სპეციფიკური ნაწილი ზემოჩამოთვლილი ოთხი სახის სპეციალური მასწავლებლებისთვის.

ამას გარდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრს გამოქვეყნებული აქვს: (ა) *კვლევა სპეციალიზირებული პროფილის მქონე საკოლებში* და (ბ) *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებული გაკვეთილების ნიმუშები.*

მასწავლებლებისათვის თავისუფლად ხელნისაწვდომია ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძვლიანი და მრავალფეროვანი გამოცემები მასწავლებელთა დასახმარებლად როგორც მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და კონკრეტული განხორციელებისათვის:

- 2011-2016 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების გზამკვლევები მასწავლებლებისათვის (ა) ზოგადი და (ბ)2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით;
- ინკლუზიური განათლების ცნებები და ტერმინები;
- ინკლუზიური განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების კვლევის ანგარიში;
- სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების სახელმძღვანელო;
- ”ინკლუზიური განათლება - ვისწავლოთ ერთად” - სახელმძღვანელო განათლების სპეციალისტებისათვის;
- ”ათი განსაკუთრებული გაკვეთილი” და ა.შ.

ჩამოთვლილი რესურსებში დაწვრილებით არის აღწერილი სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებთან მასწავლებლის მუშაობის შინაარსის, პროცესისა და დოკუმენტაციის დეტალები. მასწავლებლის მიერ საკუთარი პროფესიული განვითარების გეგმის შემოქმედებითი და გონივრული დაგეგმვის პირობებში, შესაძლებელია სქემის ამ აქტივობის კრედიტებს სხვა აქტივობების კრედიტებიც დაემატოს. თვალსაჩინოა, რომ საკუთრივ მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა და დადგენა **კვლევაზეა** დაფუძნებული. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის საქმიანობა კონკრეტულ სსს მოსწავლესთან დაკავშირებული **საგანმანათლებლო პროექტია**, რომელიც მოიცავს **საგნობრივ კათედრაზე** და კათედრებს შორის თანამშრომლობის აქტივობებს. მასწავლებლის სსსმ-თან მუშაობის

გამოცდილების გაცნობა კოლეგებისათვის შესაძლებელია როგორც კონფერენციასა **და სემინარზე მოხსენების**, ისე საგანმანათლებლო **სტატიის** სახით, ხოლო სპეც-პედაგოგებმა ეს გამოცდილება შესაძლოა **ტრენინგების** სახითაც გაუზიარონ კოლეგებს. იმავდროულად, სსსმ-თან მუშაობის დაწყებამდე თეორიული ცოდნის მიღების გარდა, მასწავლებლების უმეტესობას შესაბამისი პრაქტიკული წვრთნა/ტრენინგი ან **სტაჟირება** სჭირდება, რაც თავის მხრივ ასევე გახლავთ სქემის გასხვავებული აქტივობები.

მეხუთე თავი: პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება

შესავალი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ბუნებრივი და საუკეთესო გზაა გამოცდილების მრავალმხრივი, ხშირი გაზიარება ანუ მიღება და გადაცემა კოლეგებთან. ჩვენ ამას ყოველდღიურად ვაკეთებთ, რადგან ის მასწავლებლობის ბუნებიდან გამომდინარეობს და პროფესიული საჭიროებაა. მით უფრო, რომ თანამედროვე განათლების მიზანიც და საშუალებაც, სწორედ, გამოცდილება გახლავთ. ეს მსოფლმხედველობა გულისხმობს გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისთვის განათლებას. გამოცდილება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, ჩვენი მომავლის განმსაზღვრელი გახდება. განათლება გამოცდილების ორგანიზებული განვითარებაა, გამოცდილებისთვის და გამოცდილების ფარგლებში.

პროფესიული განვითარება ზოგადად გულისხმობს უწყვეტი განათლების საშუალებით საკუთარი მოღვაწეობის სფეროში ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას, რაც შესაძლებელს ხდის მიაღწიოთ წარმატებებს ამ პროფესიით საქმიანობაში. ხოლო გამოცდილება ის ცოდნა და უნარია, რომელიც მიღებულია რაიმე საქმიანობისგან, მუშაობის დროის განმავლობაში. სხვაგვარად მასწავლებლის პროფესიული განვითარება არის სწავლების გამოცდილების გაღრმავება უფრო წარმატებული სწავლებისათვის.

წინამდებარე თავში საუბარი გვექნება პედაგოგიური გამოცდილების გაზიარების სახეებსა და შესაძლებლობებზე. კერძოდ:

- როგორ შეიძინოს ახალი გამოცდილება;
- როგორ ხდება სკოლაში გამოცდილების გაცვლით ახალი ერთობლივი გამოცდილების შექმნა;
- რა საშუალებებით შეიძლება საკუთარი გამოცდილების გაზიარება სხვა კოლეგებისათვის.

მოსწავლის განვითარების "სათანადოდ შეფასებისათვის" თითოეულ პედაგოგს ესაჭიროება კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება. ეს საჭიროა მოსწავლეებისათვის ოპტიმალური საგანმანათლებლო გზის მისაგნებად. ასეთი გაზიარება შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთ მოსწავლესთან, ჯგუფთან, მოსწავლეთა ტიპთან და ა.შ., განზოგადების შესაძლებლობის მიხედვით. საკუთარი გამოცდილების განახლება-გამდიდრებისა და კოლეგებს შორის მისი გავრცელების უამრავი საშუალება არსებობს. თუმცა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში გამოყოფილია ამ ეტაპზე ყველაზე მეტად გავრცელებული, ხელმისაწვდომი, დადასტურებისა და აღრიცხვისათვის მოხერხებული აქტივობები.

ამ თავში განხილული საკითხების გაცნობა სქემაში ჩართულ მასწავლებლებს ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემდეგი აქტივობების განხორციელებასა და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაში:

- პროფესიული ზრდის პროგრამებში მონაწილეობა და მწვრთნელობა (თავი V, მუხლი 11 - ა, ბ, გ, თ, ს, ტ).
- საგანმანათლებლო კონფერენციებში მონაწილეობა (თავი V, მუხლი 11 - ვ, ზ).
- სკოლაში კოლეგებთან თანამშრომლობით ერთობლივი გამოცდილების განვითარება (თავი V, მუხლი 11 - ო).
- საკუთარი დაგროვილი გამოცდილების გაზიარება დაინტერესებული პირებისათვის მენტორობის, პრეზენტაციისა და პუბლიკაციების გზით (თავი V, მუხლი 11 - დ, ლ, პ).

გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარება სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი როგორც სკოლის შიგნით, ისე სკოლის გარეთ. გათვალისწინებულია, რომ შეიქმნას სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ე.წ. "ქსელი", რომლის საშუალებითაც მათ მუდმივად ექნებათ საშუალება ვირტუალურად (ინტერნეტით) თუ უშუალოდ (სამუშაო შეხვედრები, სემინარები, კონფერენციები...) თანამშრომლობის, ურთიერთსწავლებისა და გამოცდილების გაზიარების.

სქემაში აღნიშნული აქტივობები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფა:

- ახალი გამოცდილების მიღება
- ერთობლივი გამოცდილების შექმნა
- საკუთარი გამოცდილების გაზიარება.

ახალი გამოცდილების მიღება

გამოცდილების მიღების დასახელებული (კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა და სტაჟირება) სხვადასხვა საშუალების გამოყენებისას მთავარია მისი შესაბამისობის დადგენა თქვენს პროფესიულ მიზნებთან და საჭიროებებთან. ამ უკანასკნელის მეტი სიზუსტით განსაზღვრაში კი ყოველ ეტაპზე დაგეხმარებათ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა (იხილეთ **მეორე თავი: პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა**) და შესაბამისი თვითშეფასება.

ამდენად, წინასწარ კარგად გაეცანით კონფერენციის, ტრენინგისა თუ შემოთავაზებული სტაჟირების ამოცანებსა და შინაარსს. ნებისმიერი ასეთი საშუალების გამოყენება ეფექტურია, როდესაც ნათლად გაქვთ წარმოდგენილი თუ რას ელით მისგან. თითოეული მათგანი ყოველ ჯერზე ხელს უნდა გიწყობდეთ პროფესიულ ზრდასა და თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლაში. მოერიდეთ "ფუჭ სვლებს"!

კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა

ზ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მონაწილეობის მიღება – 0,5 კრედიტი (უნდა წარმოადგენოს დამადასტურებელი საბუთი);

საკუთარ გამოცდილებაში ახალი ცოდნის მისაღებად ძალიან სასარგებლოა საგანმანათლებლო კონფერენციებსა თუ სემინარებში მონაწილეობა. ეს გახლავთ ახალი იდეებისა თუ განსხვავებული სამასწავლებლო პრაქტიკის შედეგების გაცნობის, მათზე მსჯელობის საშუალება. კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა, როგორც წესი, მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და ინფორმაციულ თვალსაწიერს ამდიდრებს. ასეთი კონფერენციები და სემინარები შესაძლებელია ორგანიზებული იყოს თქვენს სკოლის ან სხვა ნებისმიერი საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ *(დაწვრილებით იხილეთ **მესამე თავი: საგანმანათლებლო პროექტები - რჩევები კონფერენციის მონაწილე მასწავლებლებს**).*

კონფერენციასა თუ სემინარში მონაწილეობისას მნიშვნელოვანია მასზე წარმოდგენილი სხვადასხვა საინფორმაციო მასალის დროულად მიღება. მონაწილეობისას არ უნდა დაგავიწყდეთ რეგისტრაცია. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა მონაწილეს ამდიდრებს ინფორმაციითა და განსხვავებული გამოცდილების ადამიანებთან ურთიერთობებით. ამდენად, სასარგებლოა თქვენთვის საინტერესო სხვა მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაციის მიღება ან ჩანიშვნა.

კონფერენციასა თუ სემინარში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება იყოს: მონაწილის სერტიფიკატი, ორგანიზატორისგან მიღებული პირადი მოსაწვევი ან თქვენი სკოლის ადმინისტრაციის ოფიციალური წერილი ორგანიზატორს მოცემულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად თქვენი წარდგენის/დასახელების შესახებ. ხშირია, როდესაც ორგანიზატორები სკოლებიდან იწვევენ შესაბამისი გამოცდილებისა და ინტერესების მქონე წარმომადგენლებს, განსაზღვრული აქვთ რაოდენობა, მაგრამ არ იცნობენ პირადად. ასეთ დროს ისინი მიმართავენ ხოლმე სკოლის ადმინისტრაციას ან მათთან დაკავშირებულ რომელიმე სახელმწიფო (სამინისტრო, სამინისტროს ქვემდებარე ცენტრები თუ სააგენტოები, რესურსცენტრი და ა.შ.) თუ არასამთავრობო ორგანიზაციას (მაგ: მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია და ა.შ.) თხოვნით, წარადგინონ აღნიშნული მახასიათებლების მქონე მასწავლებელი. შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია ან პროფესიული ორგანიზაცია, რომლის წევრიც არის მასწავლებელი, აცნობებს ორგანიზატორს თუ რომელი მასწავლებელი (ან მასწავლებლები) წარმოადგენს სკოლას.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მონაწილისათვის არის წარმოდგენილ მოხსენებებთან დაკავშირებული და განხილვების დროს გაკეთებული მოწესრიგებული ჩანაწერები. ეს დაგეხმარებათ მიღებული ინფორმაციისა და შესაბამისი მოსაზრებების შემდგომ ანალიზში, რაც ასე მნიშვნელოვანია გამოცდილების განვითარებისათვის.

პროფესიული ზრდის პროგრამებში მონაწილეობა

პროფესიული ზრდის საწვრთნელი პროგრამების (ტრენინგი) დანიშნულებაა მასწავლებლის ზოგადი ან დარგობრივი რომელიმე კომპეტენციის შესაბამისი უნარების განვითარება მისი აწმყო გამოცდილების საფუძველზე. ჩვეულებისამებრ, საწვრთნელი პროგრამები მოკლე (რამდენიმე დღიდან 1-2 კვირამდე) ან საშუალოვადიანია (რამდენიმე კვირიდან 2 თვემდე) და ისინი ვერ ცვლიან მასწავლებლის მომზადების ხანგრძლივ აკადემიურ პროგრამას. ტრენინგებში ანუ საწვრთნელ პროგრამებში

მიზნობრივად მონაწილეობის მიღება სასარგებლოა მასწავლებლების პროფესიონალიზმის ზრდისათვის.

საწვრთნელი პროგრამები ძირითადად მიმართულია რომელიმე კომპეტენციის შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებისა და გამოცდილების გაღრმავებისაკენ. ბუნებრივია, საწვრთნელი პროგრამები მოიცავს განსავითარებელ კომპეტენციის შესაბამისი თეორიული ცოდნის გაღრმავებას.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში სიტყვასთან "გამოცდილება" ერთად ძალიან ხშირად ხვდებით სიტყვას "კომპეტენცია". განათლების სფეროში მას მრავალნაირი განმარტება აქვს:
კომპეტენცია წარმოადგენს თვისებების, შესაძლებლობებისა და შეხედულებების ცვალებად ერთობლიობას, რომელიც განათლების პროცესში ვითარდება. იგი შეიძლება დაიყოს საგანთან დაკავშირებულ კომპეტენციად (დარგისათვის გამორჩეული) და ზოგად კომპეტენციად (რომელიც საერთოა ყველა სფეროსათვის). კომპეტენცია უნდა იყოს გადაცემადი და მაშასადამე, შესაძლოა მოერგოს ბევრ ვითარებასა და გარემოებათა სხვადასხვაგვარ ერთობლიობებს. ის ასევე უნდა იყოს მრავალდანიშნულებიანი სხვადასხვა მიზნების მისაღწევად, სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად და მთავარი ამოცანის შესასრულებლად. საკვანძო კომპეტენციები აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი მიღწევებისათვის ცხოვრებაში, სამსახურსა და შემდგომ განათლებაში.

ზოგადად, კომპეტენცია შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც მდგომარეობა, რომელიც შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

- ცოდნა (რაღაცის);
- დამოკიდებულებები და ქცევები (ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცე მოცემულ ვითარებაში და რატომ უნდა მოიქცე ასე);
- განწყობები (ცვლილებებისათვის მზაობა, მოტივაციის გრძნობა);
- პროცედურული უნარები (ცოდნა იმისა, თუ როგორ შეასრულო სამუშაო);
- შემეცნებითი უნარები (კრიტიკული აზროვნება და ანალიზი);
- გამოცდილებაზე დაფუძნებული უნარები (ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოახდინო კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითა და სოციალური უნარების გამოყენებით);

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში აღნიშნულია პროფესიული ზრდის რამდენიმე სახის საწვრთნელი პროგრამა. რა თავისებურებები ახასიათებს თითოეულ მათგანს?

ა) სამინისტროსა და ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ტრენინგი – 25 საათი/1 კრედიტი;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული ცენტრები/სააგენტოები მასწავლებლებს სთავაზობს ტრენინგებს, რომელთა საჭიროება ეროვნულ დონეზეა განზოგადებული. ძირითადად, ეს საწვრთნელი

პროგრამები უკავშირდება: ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, სკოლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო და მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების სისტემებში სიახლეების შემოღება-დანერგვას.

როგორც წესი ასეთი საწვრთნელი პროგრამები მასშტაბურია, მაგრამ არ არის ხშირი. ასეთი ტრენინგების პროგრამები ეფუძნება ეროვნული მასშტაბის კვლევებს, შეფასებებსა ან საერთო-სავალდებულო მოთხოვნებს.

ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამები – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითად და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;

საქართველოს კანონმდებლობის (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულება) შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვემდებარე ის უწყება, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს და მიანიჭოს აკრედიტაცია (აღიარება) პროფესიული ზრდის ამა თუ იმ პროგრამას.

აკრედიტებული ტრენინგები არის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ამა თუ იმ კომპეტენციების განმავითარებელი საწვრთნელი პროგრამები. ისინი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და მათზე ვრცელდება მასწავლებლის ვაუჩერის გამოყენების წესი, ანუ სახელმწიფო მონაწილეობს მათ თანადაფინანსებაში.

ასეთ პროგრამებს ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციები თუ ფიზიკური პირები. ასეთი პროგრამების არჩევანი უფრო ფართოა და მასწავლებელი თავად საზღვრავს, რომელში მიიღოს მონაწილეობა. სხვადასხვა პროგრამა სხვადასხვანაირ მომსახურებას სთავაზობს მასწავლებლებს, მაგ: ზოგიერთი საქართველოს ნებისმიერ ადგილას აკომპლექტებს მსმენელთა ჯგუფებს, ზოგიერთი მხოლოდ ნაწილ რეგიონებსა თუ ქალაქებში სთავაზობს მასწავლებლებს წვრთნას; განსხვავებულია მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, ხანგრძლივობა, ღირებულება და ა.შ. შესაბამისად, ასეთი პროგრამების მოქმედება უფრო მოქნილია. რაც მთავარია, ასეთი პროგრამები განსხვავდება შინაარსითა და მწვრთნელებით. მაგალითად, ერთსა და იმავე კომპეტენციის განვითარებისათვის მასწავლებელს შეუძლია შეირჩიოს მისთვის უფრო მოსახერხებელი და მის საჭიროებებზე მეტად მორგებული პროგრამა.

აღნიშნული პროგრამების შერჩევაში მასწავლებლებს ეხმარება დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია თითოეული მათგანის შესახებ, რაც მათთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ სააგენტოში. დასახელებულ დაწესებულებებში და მათ ვებ-გვერდებზე მასწავლებლებს შეუძლიათ გაეცნონ თითოეული ასეთი პროგრამის აღწერილობას.

გ) ტრენინგ-პროგრამები აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების ან აკრედიტებული სხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;

საერთაშორისო ორგანიზაციების ან სხვა ქვეყნების მიერ აკრედიტებული საწვრთნელი პროგრამები ასევე ძალიან მრავალფეროვანია და ისინიც მასწავლებლის ამა თუ იმ კომპეტენციის ჩაღრმავებულ განვითარებაზეა მიმართული. ასეთ საწვრთნელ პროგრამებში მონაწილეობა სასარგებლოა, რადგან მისაღები გამოცდილების საზღვრები გაფართოებულია. უმეტეს შემთხვევებში ასეთ პროგრამებს ახორციელებენ საკუთრივ საერთაშორისო და ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ან მათთან მოთანამსრომლე ადგილობრივი საგანმანათლებლო ორგანიზაციები.

მეტწილად, ასეთი პროგრამები ხორციელდება რაიმე საერთაშორისო საგრანტო პროექტის ფარგლებში. ასეთ დროს, ხშირად წინასწარ არის ხოლმე პროექტის ფარგლებში შერჩეული სკოლები, სადაც ხორციელდება აღნიშნული პროექტი. შესაბამისად, სხვა სკოლების მასწავლებლებისათვის ასეთი პროგრამა ნაკლებად ხელმისაწვდომია ხოლმე. მეორე მხრივ, ასევე ხშირად მონაწილე სკოლების მასწავლებლებს ასეთ პროგრამები უფასოდ ემსახურება.
თუმცა, არის ამ ტიპის ფასიანი პროგრამები, რომლებიც რეგულარულად ხორციელდება. ამ ეტაპზე ასეთი გამოცდილება უფრო მეტად უცხოური ენების მასწავლებლებზე ვრცელდება (მაგ: "ინგლისური წიგნის" დიდ ბრიტანეთში აკრედიტებული პროგრამა ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის). ასეთი სახის პროგრამების თანადაფინანსებაში სახელმწიფო არ მონაწილეობს.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საწვრთნელი პროგრამა აკრედიტებულია საერთაშორისო ორგანიზაციის ან სხვა ქვეყნის მიერ და იმავდროულად საქართველოს კანონმდებლობითაც (მაგ: გოეთეს ინსტიტუტის გერმანიასა და საქართველოსი აკრედიტებული პროგრამა გერმანული ენის მასწავლებლებისათვის).

ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული ტიპის პროგრამაში მონაწილეობის მიღებამდე, ჯობს, დარწმუნდეთ მის აღიარებაში შესაბამისი (საერთაშორისო ან სხვა ქვეყნის) ორგანიზაციის მიერ და მიიღოთ კონსულტაცია ისეთი კოლეგებისგან, ვისაც მიუღია მონაწილეობა მოცემულ პროგრამაში.

პერიოდულად მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ასეთ საწვრთნელ პროგრამებში საქართველოს ფარგლებს გარეთაც. უფრო ხშირად, ასეთი მონაწილეობა უცხო ენის ცოდნასა და მგზავრობის, ცხოვრებისა და მონაწილეობის საფასურის ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთი შემოთავაზებები ძალიან ბევრი აქვთ უცხოეთის უნივერსიტეტებს, კოლეჯებსა და საერთასორისო პროფესიულ გაერთიანებებს. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მსგავს პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ან მისი ქვემდებარე ცენტრები. ასეთ დროს მონაწილეთა შერჩევა კონკურსის წესით მიმდინარეობს. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ევროსაბჭოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა "პესტალოცი", რომლის

წარმომადგენელი საქართველოში არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და მის ვებ-გვერდზე პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია ტრენინგების შესახებ.

პროფესიული სტაჟირება

თ) პროფესიული სტაჟირების გავლა – საგნობრივი კომპეტენციის, გამოცდილების შეძენა/გაზიარების მიზნით (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ) – სულ მცირე 25 საათი – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

მასწავლებლის მიერ ახალი გამოცდილების შეძენის კიდევ ერთი საშუალებაა პროფესიული სტაჟირება. ის განსხვავდება საწვრთნელ პროგრამაში მონაწილეობისაგან. სტაჟი ფრანულად ნიშნავს რაიმე სპეციალობისა თუ კომპეტენციის პრაქტიკულად დაუფლებისათვის საჭირო დროს. პრაქტიკა [< ბერძ. praktikos საქმიანი] ბერძნულად საქმიანობას ნიშნავს. დღეს ეს ტერმინი გულისხმობს თეორიული ცოდნის გამოყენებასა და საქმეში განმტკიცებას, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი. ხშირად პრაქტიკა გაიგივებულია გამოცდილებასთან, რაიმე საქმიანობაში (ჩვენ შემთხვევაში მასწავლებლობა) დახელოვნებასთან.

უმრავლეს შემთხვევებში, სტაჟიორები არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეული ვადით გამოსაცდელად არიან დაშვებული დაწესებულებაში სამუშაოდ მათთან შრომითი ხელშეკრულების დადებამდე ან შტატში ჩარიცხვამდე. ამ გაგებით, ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებობს მასწავლებლობის მაძიებლის ინსტიტუტი. ხოლო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული უკვე მოქმედი პედაგოგებისათვის სტაჟირება ნიშნავს კონკრეტული საგნობრივი კომპეტენციის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას შესაბამის სამუშაო გარემოში. ბუნებრივია, ეს შეიძლება იყოს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ლაბორატორია ან შესაბამისი დარგის სპეციალიზებული ორგანიზაცია.

მასწავლებლის პროფესიული სტაჟირება შესაძლოა მიმდინარეობდეს ორი ძირითადი მიმართულებით: პედაგოგიური და დარგობრივი. იგი შეიძლება მიმდინარეობდეს ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც. სტაჟირების გავლა შესაძლებელია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ყველა შემთხვევაში სტაჟირება მიმდინარეობს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის ან პროფესიონალთა გუნდის მეთვალყურეობით, ხელმძღვანელობითა თუ კოორდინაციით. ეს ადამიანები იგივე ფუნქციას ასრულებენ, რასაც მწვრთნელები ტრენინგების შემთხვევაში. ისინი პრაქტიკულად აჩვენებენ სტაჟიორს შესაბამის კომპეტენციას, უქმნიან ამ უნარ-ჩვევების დაუფლების პრაქიულ გარემოს, აკვირდებიან სტაჟიორების დაოსტატების პროცესს და აფასებენ მისი წარმატების ხარისხს.

ცხადია, რომ მასწავლებლების პროფესიული სტაჟირება შინაარსობრივად ძალიან მრავალფეროვანია. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე თვისობრივად განსხვავებულ მაგალითს:

- ✓ სტაჟიორი მასწავლებელი ეხმარება უფრო გამოცდილ კოლეგას (შესაძლოა მენტორს) მოსწავლეთა შეფასებაში ახალი, ინოვაციური მეთოდით.

- ✓ მასწავლებელი ეუფლება საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (მაგ., ე.წ. გონიერი დაფის) გამოყენებას შესაბამისად აღჭურვილ სკოლაში.
- ✓ ისტორიის მასწავლებელი ეუფლება კვლევის ეთნოგრაფიულ ახალ მეთოდებს შესაბამის სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობით.
- ✓ ბიოლოგიის ან ქიმიის მასწავლებელი ეუფლება მორფოლოგიური ანალიზის გამარტივებულ მეთოდს შესაბამის ლაბორატორიაში.
- ✓ არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი მონაწილეობს მულტილინგვური სწავლების გაკვეთილებში.
- ✓ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ეუფლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას სკოლაში, სადაც მუდმივად მოქმედებს მულტიდისციპლინარული გუნდი.
- ✓ ფიზიკის, მათემატიკის ან გეოგრაფიის მასწავლებელი ეუფლება გლობალური სანავიგაციო სისტემის (GPS - Global Positioning System) გამოყენებას სასწავლო პროცესში
- ✓ და მრავალი სხვა მაგალითი.

ბუნებრივია, სტაჟირების გავლამდე აუცილებელია დადგინდეს:

- მასწავლებლისთვის მისი საჭიროება და სარგებლიანობა პროფესიული სტანდარტისა და განვითარების თვალსაზრისით;
- იმ ორგანიზაციისა თუ ფიზიკური პირის პროფესიული კომპეტენტურობა, რომელიც სთავაზობს ან თანხმდება მასწავლებელს სტაჟირებაზე. ორივე შემთხვევაში საჭიროა უფლებამოსილებისა და ხარისხის გადამოწმება;
- რამდენად ხელმისაწვდომია მასწავლებლისათვის და მოხერხებული სკოლისათვის პროფესიული სტაჟირების ვადა, განრიგი, ადგილმდებარეობა და ღირებულება? ეს კრიტერიუმები გავლენას ახდენს გონივრულ გადაწყვეტილებაზე.

ეს მართლაც ძალიან ეფექტური საშუალებაა მასწავლების პროფესიული განვითარებისათვის, თუმცა მეტწილად უფრო ხანგრძლივი, ვიდრე საწვრთნელი პროგრამები. ბუნებრივია, რადგან სტაჟირება კონკრეტულ კომპეტენციაში პრაქტიკულ გაწაფვასა და მის ჩვევაში განმტკიცებას გულისხმობს. ამდენად, მოქმედი მასწავლებლის შეზღუდული თავისუფალი დროის პირობებში, ამგვარი აქტივობის დაგეგმვა მეტად საპასუხისმგებლოა.

პროფესიული სტაჟირების ხანგრძლივობა ხშირად ბევრად აღემატება 25 საათს; ასეთ შემთხვევაში მოგენიჭებათ კრედიტები მოგენიჭებათ იმის მიხედვით, თუ რამდენი საათია მითითებული დამადასტურებელ საბუთში.

აუცილებელია, რომ მასწავლებლის მიერ პროფესიული სტაჟირების გავლა დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტით/სერტიფიკატით, სადაც აუცილებლად იქნება მითითებული: შინაარსი/პროგრამა, სერტიფიკატის გამცემი პირი, სტაჟირების ხანგრძლივობა, ვადები, ადგილმდებარეობა და სტაჟიორის შეფასება.
პროფესიული სტაჟირების შემთხვევაშიც, როგორც კონფერენციებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობისას, მასწავლებელმა უნდა წარუდგინოს ანგარიში სკოლის ადმინისტრაციას.

ერთობლივი გამოცდილების შექმნა

თანამედროვე სკოლა ღია და რთული საზოგადოებრივი სისტემაა. სასწავლო პროცესი ორგანიზება ასაკობრივი ჯგუფებისა და საგნების მიხედვით, რომელიც თნმიმდევრულობისა და უწყვეტობის პრინციპზეა აგებული, მასწავლებლებს ბუნებრივად კარნახობს ერთმანეთთან თანამშრომლობის გაძლიერებას. მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შედეგებზე მიმართული განათლება კი მასწავლებელთა ყოველდრიურ ინტენსიურ თანამშრომლობას წარმატების აუცილებელ პირობად განიხილავს. ეს მიდგომა უდევს საფუძვლად ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსაც და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსაც. ეს ნიშნავს, რომ პედაგოგის პროფესიონალიზმი აღარ განიხილება მხოლოდ ინდივიდუალურ ჭრილში.

მასწავლებლის პერსონალურ გამოცდილებასთან ერთად, სკოლაში უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პედაგოგების ჯგუფური/კოლექტიური ანუ ერთობლივი გამოცდილება. მასწავლებელთა გუნდური მუშაობა თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევების ერთ-ერთი საუკეთესო პასუხია. ინტენსიური და მიზამიმართული თანამშრომლობისას ერთი მხრივ, უფრო სწრაფად ისაზღვრება და ზუსტდება მოსწავლეტა ინდივიდუალური თუ ჯგუფური საჭიროებები; მეორე მხრივ, განსხვავებული პროფესიული გამოცდილებისა და მიდგომების მიზანმიმართულად შეჯერებისას მოკლე დროში იძებნება გონივრული პედაგოგიური გადაწყვეტილებები; მესამე მხრივ, მნიშვნელოვანი სასწავლო მიზნების მისაღწევად დასახული მოქმედებები და პასუხისმგებლობები ნაწილდება გუნდში ჩართულ მასწავლებლებს შორის. სწორედ, ასეთი მუშაობისას იბადება და ხორციელდება კონკრეტული სასწავლო მიზნის მიღწევის ოპტიმალური გზა. შესაბამისად, იქმნება და ვითარდება პროფესიული გამოცდილება, რომლითაც მხოლოდ ერთი მასწავლებელი კი არ ხასიათდება, არამედ მოცემულ თანამშრომლობაში ჩართული ყველა პედაგოგი. თითოეული მასწავლებლის პერსონალური პროფესიონალიზმის შერწყმით ყალიბდება/ვითარდება ახალი ერთობლივი, ზიარი გამოცდილება, რომელიც თითოეული მონაწილის გამოცდილებას, პროფესიონალიზმს ავითარებს.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლების თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების ყოველდღიური ასპარეზი საგნობრივი კათედრა გახლავთ. სკოლის კათედრა ამავე სკოლის საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებლის ერთობლიობის პირობითი სახელია. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საგნობრივი კათედრების მთავარი ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების შეთანხმებული წარმართვა და შეფასება;
- ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- სახელმძღვანელოების შერჩევა;

- სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან შეთანხმებული მუშაობა (მაგ. ისტორიასა და ქართულში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვა.);

- პროფესიული განვითარების გზების დასახვა;

- რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შესახებ;

- რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ.

- შეფასების კომპონენტების და მათი წონების დადგენა.

კათედრის ეფექტური მუშაობისთვის სასურველია თავმჯდომარის არჩევა ერთი წლის ვადით. კათედრის მუშაობა ეფექტიანი იქნება, თუ მისი წევრები რეგულარულად შეიკრიბებიან. სასწავლო წლის დასაწყისში გამართულ კათედრის შეხვედრაზე აუცილებელია საგნობრივი პროგრამების, შესაბამისი სახელმძღვანელოების და სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა იმისთვის, რომ წინასწარ დაისახოს გეგმები: თუ რა საჭიროებები ექნებათ მასწავლებლებს წლის განმავლობაში; რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი; რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო ეფექტურად სწავლებისას და ა.შ.
სემესტრების ბოლოს კათედრის სხდომაზე ასევე უნდა გადაიხედოს საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობა. ამ დროისთვის უნდა მოხდეს პრობლემების გამოვლენა და შეფასება, თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა.
თვალსაჩინოა, რომ საგნობრივი კათედრის ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია:

მისი თითოეული წევრი ეწეოდეს საკუთარი სამასწავლებლო პრაქტიკის/გამოცდილების უწყვეტ კვლევას, რათა შესაძლებელი იყოს ობიექტური დასკვნების გაკეთება მოსწავლეთა წარმატებების წინაპირობების, გამოყენებული მეთოდოლოგიის, სეფასების სისტემისა და სასწავლო რესურსებისა ეფექტურობის, არსებული სასწავლო გარემოსა და სკოლის კულტურის შესახებ;

აღნიშნული დასკვნების ერთმანეთისათვის გაცნობა და მათი განხილვა - ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, რაც ეხმარება კათედრის წევრებს პრობლემების გამოვლენასა თუ შეთანხმებების მიღწევაში. მით უფრო, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, მოსწავლეთა შეფასების სქემასა და გამოსაყენებელ სასწავლო რესურსებზე შეთანხმება წარმოადგენს კათედრის წევრების ერთობლივ პასუხისმგებლობას;

პერსონალური გამოცდილებისა და იდეების ერთმანეთისათვის გაზიარება საგნის/საგნების სწავლების შეთანხმებული წარმართვისა და შეფასებისათვის როგორც კათედრის ფარგლებში, ისე კათედრებს შორის. სწორედ, ამგვარად არის შესაძლებელი ერთმანეთის დახმარება პროფესიული განვითარების გზების დასახვაში.

როგორც ხედავთ, კათედრის საქმიანობა მოიცავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის აქტივობათა ყველა სახეს. მაგრამ, სქემაში მასწავლებლის საკათედრო აქტივობებად, რომლებიც მის პერსონალურ პორტფოლიოში აისახება, გამოყოფილია შედეგით გამოსახული მოქმედებები:

ო) საგნობრივ კათედრაზე აქტივობები – სხვა საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება (სულ მცირე 3 გაკვეთილი) – 1 კრედიტი, დამუშავებული თემის წარდგენა კათედრაზე, სემინარი/კონფერენცია – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეოჩანაწერი);

მასწავლებლის მიერ **კათედრაზე წარდგენილი დამუშავებული თემა** შეიძლება იყოს:

- სამასწავლებლო პრაქტიკის კვლევის შუალედური ან საბოლოო ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროექტის განაცხადი, მისი მიმდინარეობის ანგარიში ან საბოლოო შედეგების ანალიზი და შეფასება;
- სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურით, პერიოდიკით, პროფესიული ზრდის პროგრამით ან სტაჟირებით მიღებული ახალი ცოდნისა თუ გამოცდილების გაზიარება;
- კათედრის ფუნქციებით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული არგუმენტირებული მოხსენება, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო შეხედულებებსა და შესაბამისი მონაცემების ანალიზს. ეს შეიძლება იყოს როგორც არსებული გამოცდილების შეჯამება, ისე ახალი ინიციატივა ან ორივეს შერწყმა.

დამუშავებული თემის წარდგენა კათედრისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია ღირებული, თუკი მას მოსდევს განხილვა, კათედრის სხვა წევრების მსჯელობა, დისკუსია და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საერთო, შეჯერებული გადაწყვეტილების მიღება. სწორედ, ეს მთლიანი პროცესი უნდა იყოს აღბეჭდილი ვიდოჩანაწერზე, რომელიც მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოში განთავსდება.

რაიმე თემის მხოლოდ ცალმხრივი წარდგენა, რომელსაც არ მოჰყვება კათედრაზე ახალი ერთობლივი გამოცდილების ჩამოყალიბება, არ მიეკუთვნება სქემის ამ აქტივობას. შესაძლებელია იგი განხილული იყოს, როგორც პრეზენტაცია (იხ. შემდგომ).

ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება არის ერთობლივი გამოცდილების შექმნის თვალსაჩინო გამოხატულება. ინტეგრაცია ლათინური სიტყვიდან integer, ანუ მთლიანიდან მომდინარეობს და ნაწილებისელემენტების ერთ მთლიანობაში გაერთიანებას ან აღდგენას ნიშნავს. ჰარმონიულ ერთიან მთლიანობად გადაქცევა განპირობებულია გადაწყობით და, შესაბამისად, ნაწილების დამატებით ან ჩამოშორებით. ინტეგრაცია არის „მოსწავლის სწავლისათვის ყველაზე მეტი შესაძლებლობის მიმწოდებელ საუკეთესო გარემოში მოთავსების“ პრინციპი.

ინტეგრირებული გაკვეთილები არის მკვლევარი და შემოქმედი მასწავლებლების თანამშრომლობის შედეგი. ყველა სახის ინტეგრირებულ გაკვეთილს ერთი რამ აქვთ საერთო - სხვადასხვა საგნების ჰარმონიზებული სასწავლო მიზნების მიღწევა ერთიან საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილი სხვადასხვა სახის ნაწილების ერთობლიობასა და მატ ურთიერთქმედებას წარმოადგენს: მოსწავლეები, მასწავლებელი, შინაარსი, მეთოდოლოგია, რესურსები და ა.შ. შესაბამისად, არსებობს ასეთი გაკვეთილების განხორციელების სხვადასხვა ფორმა, როდესაც ინტეგრაციის საფუძველი ხდება გაკვეთილის რომელიმე მახასიათებელი:

- ✓ **შინაარსი** - სხვადასხვა საგნიდან მიღებული ცოდნისა და უნარების განვითარება ერთ თემაში, ან პირიქით სხვადასხვა საგნის შინაარსის გამოყენებით ერთი კომპეტენციის განვითარება;

- ✓ **მეთოდოლოგია** - სხვადასხვა კომპეტენციის განვითარება სწავლების რომელიმე ერთი მეთოდით, ან პირიქით სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ერთი კომპეტენციის განვითარება;

- ✓ **რესურსები** - სხვადასხვა კომპეტენციის განვითარება სასწავლო რესურსების ერთი სახით, ან პირიქით სრულიად განსხვავებული რესურსების გამოყენებით ერთი კომპეტენციის განვითარება;

- ✓ **მოსწავლეები** - სხვადასხვა ასაკისა და მახასიათებლების მოსწავლეებისათვის ერთი კომპეტენციის განვითარება;

- ✓ **მასწავლებელი** - სხვადასხვა საგნობრივი კომპეტენციის განვითარება ერთი მასწავლებლის მიერ ერთ გაკვეთილზე ერთ კლასთან, ან სხვადასხვა მასწავლებლის შეთანხმებული სწავლება ერთ გაკვეთილზე ერთ კლასთან.

- ✓ **შერეული** - ჩამოთვლილი ფორმებიდან რამდენიმეს შერწყმა ერთ გაკვეთილსა თუ გაკვეთილების ციკლში.

ნებისმიერი სახის ინტეგრირებული გაკვეთილის მოსწავლეებისათვის ეფექტურად დაგეგმვა და ჩატარება შეუძლებელია ერთი მასწავლებლის ძალისხმევით. ასეთი გაკვეთილების მომზადება დაფუძნებულია იმ პედაგოგების თანამშრომლობასა და მონაწილეობაზე, ვინც ყველაზე მეტ გამოცდილებას ფლობს ინტეგრაციის შესაბამის მახასიათებელზე. როგორც ხედავთ, ინტეგრირებული გაკვეთილის მხოლოდ ერთ-ერთი და ერთადერთი სახეა კონკრეტულ გაკვეთილზე ერთზე მეტი მასწავლებლის მიერ სწავლება, თუმცა ყველა შემთხვევაში მომზადებასა და შემდგომ ასეთი გაკვეთილების შედეგების განვითარებაში მონაწილეობს მასწავლებელთა ჯგუფი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი გაკვეთილები ნებისმიერი მოსწავლისათვის თანმიმდევრული სასწავლო პროცესის ერთიანი ქსოვილის ნაწილია. მას აქვს სხვა მასწავლებლების საქმიანობით შექმნილი წინაპირობები და ან გაკვეთილის შედეგებზე დაფუძნებული გაგრძელება. ამდენად, უნდა მოვერიდოთ მხოლოდ დეკორაციული ხასიათის ხელოვნურ და მოსწავლეებისათვის უსარგებლო გაკვეთილებს.

ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებამდე ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს ამ ინიციატივის მქონე მასწავლებლის მიერ თავისი კოლეგების შესაძლებლობებისა და მიდგომების კარგად ცოდნა. ამისათვის კი, ძალიან კარგი საშუალებაა ერთმანეთის გაკვეთილებზე უშუალოდ დაკვირვება და შემდგომ მათი განხილვა. ეს პრაქტიკა ორმხრივად სასარგებლოა უშუალო მონაწილეებისათვის და თუ ამგვარ გამოცდილებას კოლეგები აანალიზებენ და უზიარებენ ერთმანეთს სკოლაში, მაშინ ერთობლივი ახალი პროგრესული გამოცდილების შექმნის მეტი ალბათობაა.

მასწავლებლებისათვის სასარგებლო იქნება საქართველოს ყველა სკოლაში არსებული მეთოდური დოკუმენტური ფილმების სერია "მოსწავლეზე ორიენტებული სწავლება" (სულ 20 ფილმი), რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ არის მომზადებული. მათი უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა წარმატებებისა და პროფესიული განვითარებისათვის მასწავლებლების თანამშრომლობის ეფექტურობას წარმოადგენს, ჩვენი თანამედროვე კონკრეტული პედაგოგების რეალური მაგალითებით.

ამას გარდა, არსებობს ჩვენი მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ინტეგრირებული საუკეთესო გაკვეთილების მონაცემთა ბაზა, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში საგანმანათლებლო პორტალზე "ლემილი": http://lemill.net/.

საკუთარი გამოცდილების გაზიარება

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სხვების გამოცდილების შესწავლა და კოლეგებთან ერთად ახლის გამომუშავება. მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი გამოცდილების, მიგნებებისა და იდეების გაზიარება კოლეგებისათვის. ბუნებრივია, აქაც განხორციელების სხვადასხვა საშუალებები არსებობს საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით: მოხსენება და პრეზენტაცია, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-მეთოდური მასალის შექმნა, მენტორ-მასწავლებლობა და მწვრთნელობა.

თუკი გამოცდილების მიღებისას მნიშვნელოვანია თქვენი პროფესიული საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შერჩევა, გამოცდილების გაზიარებისას არსებითია კოლეგების იმ საჭიროებების შერჩევა, რომლებსაც თქვენი შესაძლებლობებით დააკმაყოფილებთ. საკუთარი პროფესიული განვითარების გეგმაში ამ ტიპის აქტივობების შერჩევისას მნიშვნელოვანია თქვენი არსებული თუ მოსალოდნელი შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა სკოლაში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებული მასწავლებლების პროფესიულ მიზნებთან. თქვენი პროფესიული ზრდა მაშინ ხდება, თუკი იმ გამოცდილების გაზიარება შეგიძლიათ, რომელიც სჭირდებათ კოლეგებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე ხელმისაწვდომი ასპარეზი საკუთრივ სკოლაა, სადაც შეგიძლიათ კათედრის სხდომასა (იხ. ერთობლივი გამოცდილების შექმნა) თუ სასკოლო კონფერენცია/სემინარზე კოლეგებს მოხსენებით გააცნოთ თქვენი წარმატებები და მიგნებები. თუმცა, შესაძლებელია თქვენ მომხსენებლად წარსდგეთ

უფრო ფართო მასშტაბის (ქალაქის, რეგიონის, ეროვნულ თუ საერთაშორისო) კონფერენციაზე (დაწვრილებით იხილეთ **მესამე თავში**, **რჩევები კონფერენციის მონაწილე მასწავლებლებს**). ყველა შემთხვევაში, მოხსენება განკუთვნილია გარკვეული გამოცდილების გასაცნობად.

პრეზენტაცია

განსხვავებულ ძალისხმევასა და შესაძლებლობებს მოითხოვს აქტივობა *3) პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით პრეზენტაციის მოწყობა (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 პრეზენტაცია) – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეოჩანაწერი);*

პრეზენტაცია [ლათ. praesentatio] წარდგენას ნიშნავს. ეს არის რაიმე საკითხის აუდიტორიის წინაშე საჯარო წარდგენის პროცესი. პრეზენტაცია უნდა იყოს მოკლე (არაუმეტეს 20-30 წუთისა), აზრიანი და საინტერესო. კარგად მომზადებული შინაარსის და სხვადასხვა თვალსაჩინოების გამოყენების (სპეციალური კომპიუტერული პროგრამების, ფლიპჩარტი, მასალები და ა.შ.) გარდა, ასევე, აუცილებელია წარმდგენმა გაითვალისწინოს არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ხმის ტემბრი, სხეულის ენა და გარეგნობა.
პრეზენტაცია სპეციალურ მომზადებას საჭიროებს. პრეზენტაციის მომზადების დროს მასწავლებელმა უნდა გამოყოს წარდგენის ძირითადი მიზნები; პრეზენტაციის დასაწყისში მომხსენებელმა მოკლედ უნდა მოახსენოს აუდიტორიას, თუ რაზე აპირებს საუბარს. მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აუდიტორია, ვისთვისაც ამზადებს პრეზენტაციას და, შესაბამისად, შეარჩიოს წარსადგენი შინაარსი და ენა. მან უნდა ისაუბროს მაქსიმალურად გასაგებად და ხაზი გაუსვას ძირითად აზრებს და იდეებს. პრეზენტაციის შემდეგ მომხსენებელმა უნდა უპასუხოს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

პრეზენტაციის წარმართვასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არსებობს. არის შემთხვევები, როცა წინასწარ არის განსაზღვრული ჩარჩო, რეგლამენტი, ფორმატი.

შესაძლებელია პრეზენტაცია არა მხოლოდ ვერბალური ფორმით ჩატარდეს. საკუთარი გამოცდილება ასევე სტატიის, ან პოსტერის ფორმატითაც შეიძლება წარუდგინოთ აუდიტორიას თუ მკითხველებს.

პოსტერის პრეზენტაცია

ეფექტური პოსტერის (იგივეა, რაც პლაკატი) პრეზენტაცია საშუალებას იძლევა რაც შეიძლება მეტმა დაინტერესებულმა ადამიანმა გაიგოს თქვენი მოსაზრებები, ასევე ჩართოთ თქვენი კოლეგები დისკუსიაში.
პოსტერის მთავარი მახასიათებელია, რომ ის უნდა იყოს ერთ საკითხზე ფოკუსირებული, თანმიმდევრულად, ლოგიკურად განთავსებული ტექსტებით, ფოტოებით, დიაგრამებით, სქემებითა და სხვა თვალსაჩინოებებით. ტექსტში შრიფტი არ უნდა იყოს პატარა, რათა არ გაჭირდეს ინფორმაციის წაკითხვა. თვალსაჩინოებები და ფერები ყურადღებას უნდა იმსახურებდეს და რა თქმა უნდა გასაგებად უნდა იყოს ორგანიზებული.

პოსტერი შეიძლება მნახველისთვის გახდეს ინფორმაციის წყარო, შესრულებული სამუშაოს (კვლევა, პროექტი) კარგი რეკლამა, ასევე შეჯამება. ხშირ შემთხვევაში პროფესიული დისკუსიის/საუბრის დასაწყისი.
იმისთვის რომ გაადვილდეს პოსტერის შექმნა, არსებობს არაერთი სპეციალური პროგრამა. ინტერნეტში მათი მოძიება არ არის რთული.
ძირითადად პოსტერის პრეზენტაციას ითხოვენ კონფერენციებზე, ამდენად, სანამ მის მომზადებას შეუდგებით, გაარკვიეთ რა ზომის უნდა იყოს ის (ძირითადში არსებობს შეზღუდვები). სწორედ ზომა გიკარნახებთ შინაარსსა და მის ფოკუსს.

არსებობს ზოგადი სქემა, თუ რას უნდა მოიცავდეს პოსტერი. ესენია:

- *სათაური*, რაც პროექტის/კვლევის არსს კარგად გადმოსცემს, ასევე შესაძლებელია განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციები და მონაწილე ხალხიც იყოს მითითებული
- *რეზიუმე* – რომელშიც მოკლედ იქნება ახსნილი რა გაკეთდა, როგორ გაკეთდა, და რა არის მთავარი მიგნებები და შედეგები
- *შესავალში* პრობლემა მკაფიოდ უნდა იყოს დასმული, რომლის გადაჭრასაც ცდილობდით. რის დამტკიცებას ან რის აღმოჩენას ცდილობთ, აქვე იწერება მიზნებსა და ამოცანებზე
- *თეორია* ან მეთოდოლოგია, რაც ხსნის თუ რა გზით, მეთოდებით, ტექნიკით შეისწავლეთ ან იმოქმედეთ.
- *შედეგის* ნაწილი, სადაც ილუსტირებულად უნდა წარმოჩინდეს მუშაობა, გამდიდრებული მაგალითებით.
- *დასკვნით* ნაწილში ჩამოთვლილი უნდა იყოს თქვენი კვლევის ძირითადი მიგნებები და აღმოჩენები.
- *მომავლის გეგმებში* ასახული უნდა იყოს რეკომენდაციები და მოსაზრებები, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი მოკლედ უნდა დაიწეროს, რადგან ვრცელ ტექსტს სავარაუდოდ არავინ წაიკითხავს, თუმცა სიმოკლეში აზრი არ უნდა დაიკარგოს. ამდენად ეცადეთ იპოვოთ ოპტიმალური ზომა.

პრეზენტაცია (ვერბალური)

არსებობს ზოგადი მოსაზრებები, რომელიც ყველასათვის მისაღებია. ჩვენ შევეცდებით არაერთი პრობლემატური საკითხი გავშალოთ, რაც უკეთ დაგეხმარებათ სასწავლო პროცესში, კათედრაზე, თუ სხვა აუდიტორიის წინაშე გამართულად წარმართოთ პრეზენტაცია.

ალბათ, კამათს არ იწვევს, რომ პრეზენტაცია ანუ წარდგენა უნარია, რომლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა ასპარეზზე შესაძლოა გადამწყვეტიც კი იყოს. მით უფრო პედაგოგიურ საქმიანობაში მასწავლებლის ეს უნარი არსებითია. ამდენად, მათაც სჭირდებათ ინსტრუქციები თუ როგორ მოემზადონ პრეზენტაციისთვის.

1. რა არის პრეზენტაცია?

პრეზენტაცია ლათინური სიტყვაა და წარდგენას ნიშნავს. ეს არის რაიმე საკითხის აუდიტორიის წინაშე საჯარო წარდგენის პროცესი. პრეზენტაციის მიზანია ადამიანების გარკვეულ წრეს გააცნო შენი საქმიანობის, კვლევის შედეგები.

2. რა სარგებლობა მოაქვს პრეზენტაციას?

თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნიდან გამომდინარე ადამიანებს მუდმივად უწევთ თავიანთი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კვლევის აუდიტორიის წინაშე წარდგენა. ეს კი ეხება საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს და შესაბამისად, მასში მონაწილეობა, მისი დაგეგმვა და წარმართვა ყველა მასწავლებელს უნდა შეეძლოს. იმისთვის, რომ უფრო დაწვრილებითი წარმოდგენა შეექმნათ პრეზენტაციის პროცესზე და შეძლონ გააცნობიერონ მისი მნიშვნელობა, საჭიროდ ჩავთვალეთ, ეს თემა უფრო მეტად გაგვეშალა.

კარგია, როდესაც ადამიანი ფლობს პრეზენტაციის წარმართვის უნარს. ეს საკუთარი შესაძლებლობების, დაგეგმილი თუ ჩატარებული კვლევის წარმოჩენის ფორმაა.

უკვე სასკოლო ასაკში მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებს განუვითაროს ეს უნარ-ჩვევა. თუკი სხვადასხვა საგანში, პრეზენტაციები სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება (რაც გულისხმობს მათ მიერ შექმნილი, კვლევის შედეგების აუდიტორიის წინაშე წარდგენას), მოზარდები ბევრად უფრო მომზადებულები შეხვდებიან ცხოვრების გამოწვევებს. ამავდროულად სასწავლო პროცესი ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება.

ამდენად, მასწავლებელი არა მხოლოდ თავად უნდა იყოს კარგი პრეზენტატორი, არამედ მოსწავლეებსაც უნდა განუვითაროს ეს უნარი.

3. რა შემთხვევაში ვატარებთ პრეზენტაზიას?

როდესაც მოსწავლეები შემოქმედებით ან კვლევით ნამუშევარს ასრულებენ და საჭიროა მისი შედეგების გაცნობა თანაკლასელებისთვის, ეწყობა პრეზენტაცია.

მოსწავლის ნამუშევარი შეიძლება იყოს:

- პროექტი
- კვლევა (მ.შ. გამოკითხვა)
- თემის შეჯამება
- საკუთარი შემოქმედება
- ახალი დამატებითი ინფორმაციის გასაცნობი

კათედრაზე პრეზენტაციას აქვს გამოცდილების გაზიარების დატვირთვა, რომელსაც ხშირად მიმართავენ. ასევე ხშირია, როცა კათედრები ან სკოლა აწყობს კონფერენციას; ასეთ შემთხვევაში პრეზენტაცია შეხვედრების აუცილებელი ატრიბუტი ხდება.

4. როგორია ეფექტური პრეზენტაცია?

სასურველია, მოსწავლეების მიერ გაკეთებული პრეზენტაცია იყოს მოკლე (არაუმეტეს 10-15 წუთისა), აზრიანი და საინტერესო. კარგად მომზადებული შინაარსის და სხვადასხვა თვალსაჩინოების გამოყენების (ფლიპჩარტი, მასალები და ა. შ) გარდა, ასევე, აუცილებელია მომხსენებელმა გაითვალისწინოს არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ხმის ტემბრი, სხეულის ენა/ჟესტიკულაცია.

მოსწავლეებს ამის შესახებ ინფორმაცია სწორედ მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს. აუხსნას მათ, თუ როგორ უნდა მოემზადონ პრეზენტაციისთვის.

რაც შეეხება მასწავლებლის პრეზენტაციას, ხანგრძლივობა ძირითადად ღონისძიების რეგლამენტიდან გამომდინარეობს და მომხსენებელმა წინასწარ იცის ამის შესახებ.

5. როგორ უნდა მომზადდეს პრეზენტაცია?

პრეზენტაციამ რომ წარმატებით ჩაიაროს საჭიროა აუდიტორიის შესწავლა, შესავლის, მოხსენების ძირითადი ნაწილის და დასკვნის დაგეგმვა, სადემონსტრაციო

თვალსაჩინოებების შერჩევა. ამის შემდეგ უშუალოდ მოხსენება იწერება, მომხსენებელი უნდა მოემზადოს შესაძლო შეკითხვებზე პასუხის გასაცემადაც.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ თუკი აუდიტორიისთვის გასაგებად არ იქნება პრეზენტაცია წარმართული, დაიკარგება მისდამი ინტერესი. ასევე კარგად უნდა იყოს დაგეგმილი გამოსვლის დრო. რაც უფრო მცირეა დრო, მით უფრო რთულია ყველა ძირითადი იდეის წარმოჩენა. მოხსენების მომზადებისას გასათვალისწინებელია, რომ საშუალოდ მომხსენებელი 100 სიტყვას ამბობს წუთში. გაითვალისწინეთ, აუდიტორიის ინტერესს განაპირობებს გამოსვლის პირველი წუთები.

მნიშვნელოვანია, რომ თემა არ იყოს მშრალი და მხოლოდ თეორიულ მასალებზე დაფუძნებული. ამდენად, ის უნდა შეივსოს საინტერესო მაგალითებით. მოყვანილი მაგალითები უნდა იყოს თემის შესატყვისი. სწორედ საინტერესო მაგალითები იძლევა საშუალებას აუდიტორიამ უკეთ დაიმახსოვროს თემა.

ძირითადი იდეები არ უნდა იყოს ბევრი (საშუალოდ 3), რადგან ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა აუდიტორიის ყურადღების გაფანტვას იწვევს. ისევე როგორც პრეზენტაციის დასაწყისი, გამოსვლის დასასრულიც მნიშვნელოვანია. ჯობია დასასრული იყოს პოზიტიური. კარგია, როცა მომხსენებელი აუდიტორიას უტოვებს საფიქრ თემას და მიაბრუნებს განხილულ საკითხთან.

შესაძლებელია, აუდიტორიას საშუალება მიეცეს კითხვები პრეზენტაციის მსვლელობისასაც დასვას. ასეთ დროს გამოსვლის რეგლამენტი მატულობს. თუმცა ასეთი ფორმატი ძნელი წარსამართია და საკითხიდან გადახვევას იწვევს. ჩვენი რჩევა იქნება, რომ მოხსენების დროს მოხდეს კითხვების ჩანიშვნა და გამოსვლის დასრულებისას - დასმა. შესაძლებელია, კითხვის დასმის საჭიროებაც არ დადგეს, რადგან მომხსენებელი გამოსვლის დასრულებამდე თავად შეეხოს ამ საკითხს და გასცეს კიდევაც მას ამომწურავი პასუხი.

თვალსაჩინოებები აუდიტორიისთვის გამომსვლელის პოზიციის ერთგვარი დადასტურებაა და ძირითად იდეებზე ყურადღების გამახვილებას უწყობს ხელს. თვალსაჩინოებები გარდა თემის ვიზუალურად შევსებისა, დამწყებ პრეზენტატორს, გარკვეულწილად ეხმარება საკუთარი პერსონიდან აუდიტორიის ყურადღების გადატანაში.

თვალსაჩინოება შეიძლება იყოს ორი ტიპის: ა. ტექსტური და ბ. გრაფიკული. ისინი წარმოადგენენ მოხსენების მნიშვნელოვან დანამატს.

ა. ტექსტურში წარმოჩენილი უნდა იყოს მთავარი დებულებები/პოსტულატები, რაც აუდიტორიის მხედველობითი მეხსიერების გამოყენების საშუალებას იძლევა და ადვილად ამახსოვრებინებს საკითხს. დებულება/პოსტულატი უნდა ეწეროს გარკვევით, დიდი შრიფტით და არ აღემატებოდეს 4-5 ხაზს.

ბ. გრაფიკული შეიძლება იყოს სქემა, დიაგრამა, ცხრილი, რუკა, ფოტო, ნახატი. აუცილებელია ილუსტრაცია თემატურად ასახავდეს საკითხს/საკითხებს, ავსებდეს გამოსვლას. მიუღებელია ძნელად აღქმადი თვალსაჩინოების წარდგენა, გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორიის ზომა და რომ თუნდაც ბოლო რიგში მჯდომმა მოახერხოს წარმოდგენილის დანახვა.

საჭიროა პრეზენტატორს ვიზუალური მასალა გამოსვლაში ჰქონდეს ჩართული, აუდიტორიას მასზე ამახვილებინებდეს ყურადღებას. პრეზენტატორი არ უნდა კითხულობდეს წარწერებს, უმჯობესია პოსტულატებს თავად ხსნიდეს ან მათ პერეფრაზირებას ახდენდეს. ვიზუალური მასალა უბრალოდ წინასწარ განსაზღვრული ლოგიკური ჯაჭვის მიყოლის საშუალებას იძლევა. ამავდროულად, აუდიტორიას

საშუალებას აძლევს ძირითად იდეებს თავად მიადევნოს თვალი და არ იყოს მხოლოდ პრეზენტატორის მონათხრბზე კონცეტრირებული.

თუ ამის საშუალებაა, პრეზენტატორმა წინასწარ უნდა შეამზადოს ოთახი, ნახოს რა დასჭირდება ილუსტრაციების გამოსაკრავად, საჭიროების შემთხვევაში არის თუ არა ფლიპჩარტი, მარკერი და სხვა რესურსი, ან გაარკვიოს ამის შესახებ შეხვედრის ორგანიზატორებთან. ასევე წინასწარ არის გასარკვევი იქნებათუ არა ტექნიკური უზრუნველყოფა, ნოუთბუქი და პროექტორი, ასეთ შემთხვევაში მოხსენება უნდა მომზადდეს საპრეზენტაციო ფორმატში (მაგ.: Power Point). პრეზენტაცია წინასწარ შეიძლება გადაიგზავნოს ორგანიზატორებთან, ან რეგლამენტით განსაზღვრულ დრომდე მისვლა და მისი გადაწერა იქნება საჭირო, რათა ტექნიკური პრობლემები არ წარმოიქმნას. რა თქმა უნდა, თუკი მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, მასწავლებელი მათ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში უნდა დაეხმაროს.

წარმატებული გამოსვლისთვის საჭიროა, დამყარდეს აუდიტორტიასთან კონტაქტი. გამოსვლისას გასათვალისწინებელია ხმის ტემბრი, რაც აუდიტორიის ზომაზეა დამოკიდებული. დგომა, ჟესტები უნდა იყოს ბუნებრივი. მეტყველება უნდა იყოს გამართული და მშვიდი, წინადადებები მარტივი. მომხსენებელმა თავი უნდა აარიდოს თემიდან თემაზე გადახტომას, რაც აუდიტორიას ხელს უშლის საკითხზე კონცენტრირებაში.

მას შემდეგ რაც აუდიტორიიდან კითხვები დაისმევა, მომხსენებელმა საჭიროა იცოდეს, რომ არ არის საჭირო პასუხების ძალიან გაშლა, რადგან მსმენელები უკვე დაღლილები არიან და შეიძლება აუდიტორიაზე კონტროლი დაიკარგოს. თუკი კითხვები არ არის, პრეზენტატორმა თავად შეიძლება დასვას სავარაუდო კითხვა მსმენელების ნაცვლად, ამის შემდეგ შესაძლებელია სხვაც შეუერთდეს.

6. როგორ უნდა შეფასდეს პრეზენტაცია?

არსებობს პრეზენტაციის შესაფასებელი კრიტერიუმები. მათი მეშვეობით კონფერენციებზე, სამუშაო შეხვედრებზე, თუ სემინარებზე არავინ შეგაფასებთ. თუმცა მიგვაჩნია, რომ მათ აუცილებლად წინასწარ უნდა გაეცნოთ, რადგან ეს თვითშეფასებისთვის დაგეხმარებათ. მათი მეშვეობით თქვენ შეძლებთ უკეთესი პრეზენტაცია მოამზადოთ და იფიქროთ საკუთარ გამოსვლაზე გარეშე თვალით. ამით თქვენ წინასწარ ხვდებით თუ რას მიექცევა მეტი ყურადღება, რის გამო შეიძლება პრეზენტაცია უინტერესოდ ჩაითვალოს.

გთავაზობთ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს.

მასწავლებელს შეუძლია აღნიშნული კრიტერიუმების მოდიფიცირება და ისინი მეტად მიუახლოვოს პროფესიული საქმიანობის სფეროს, საგანს.

შეფასების კრიტერიუმები შეიძლება იყოს:

- რამდენად საინტერესო იყო შესავალი ნაწილი
- რამდენად გამოკვეთილად იყო ჩამოყალიბებული თეზისი
- რამდენად დამაჯერებელი იყო არგუმენტაცია
- რამდენად გამყარებული იყო მსჯელობა კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით
- რამდენად შემაჯამებელი იყო პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი
- რამდენად საინტერესო და ორიგინალური იყო საპრეზენტაციო თემა
- რამდენად დაცული იყო მსჯელობის ნაწილებს შორის ბალანსი
- რამდენად მოიპოვა პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღება

- რამდენად შესძლო პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება პრეზენტაციის ბოლომდე
- რამდენად მოზომილი და მიზნობრივი იყო პრეზენტატორის ჟესტიკულაცია და მანერები
- რამდენად სძლია პრეზენტატორმა ნერვიულობის ზოგად ფონს
- რამდენად თამამად და დამაჯერებლად გასცა მან მსმენელების მიერ დასმულ კითხვებს პასუხი
- რამდენად დაიცვა პრეზენტატორმა საპრეზენტაციო რეგლამენტი
- რამდენად იყო პრეზენტატორი მომზადებული ზეპირი მეტყველებისათვის, მიეჯაჭვა თუ არა იგი ბარათებს, ფურცლებს, მასალას
- რამდენად იყენებდა პრეზენტატორი თვალსაჩინოებებს

იმედია, ჩვენი პრაქტიკული რჩევები საშუალებას მოგცემთ უკეთ წარმოაჩინოთ თქვენი კვლევები, გაიაზროთ პრეზენტაციის მნიშვნელობა, ნაბიჯ-ნაბიჯ მისი წარმართვის ხერხები.

მენტორი

ლ) მენტორ-მასწავლებლად მუშაობა – 1 კრედიტი წელიწადში;

მენტორი ერქვა ოდისევსის შვილის, ტელემაქეს აღმზრდელს. ამ სახელმა განზოგადოებული მნიშვნელობა შეიძინა და ხელმძღვანელის, აღმზრდელის სინონიმი გახდა.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მენტორი არის სპეციალურად მომზადებული მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს:

- მასწავლებლის მომზადებაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სასკოლო პრაქტიკის კურსების წარმართვაში;
- გამოსაცდელ პერიოდში მომუშავე მასწავლებლობის მაძიებლებს პრაქტიკული პედაგოგიური ჩვევების ჩამოყალიბებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში წარსადგენი რეკომენდაციების მოპოვებაში;
- სხვა მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში.

მენტორობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაძიებლობის ინსტიტუტის ამოქმედებასთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ მაძიებლობის არსი განსაზღვრავს მენტორობის ინსტიტუტს. მასწავლებლობის მაძიებელი კი არის პირი, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში და მუშაობს ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის (ლათ. status მდგომარეობა) მოსაპოვებლად.

მენტორი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია პედაგოგად მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება და ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს/საგნობრივ ჯგუფს სკოლაში. მენტორობის უფლებამოსილებას მასწავლებელს ანიჭებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრი. მსურველი პედაგოგი ვალდებულია წარუდგინოს ცენტრს მასწავლებლის სერტიფიკატის ასლი, პედაგოგიური მუშაობის სტაჟის და მოქმედი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. ცენტრი შეარჩევს მსურველთაგან მენტორებს და მათთან დებს ხელშეკრულებას, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული მენტორის დამატებიტი ფუნქციებიც.

ჩვეულებრივ, მენტორი ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს მასწავლებლობის მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში. მენტორის საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად დადგენილია რაოდენობრივი ზღვარი - იგი შეიძლება ხელმძღვანელობდეს არაუმეტეს 4 მაძიებელს.

მენტორის ფუნქციები განსაზღვრულია მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 81/ნ, 31.08.2010):

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს მაძიებლობის პროცესს.

ბ) მაძიებლობის პერიოდის დასაწყისში წარუდგენს მაძიებელს სკოლის ხელმძღვანელობას და მასწავლებლებს.

გ) განსაზღვრავს მაძიებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მაძიებელთან თანამშრომლობით ქმნის მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალურ პროგრამას, რომელიც აღწერს მაძიებლობის პერიოდის გავლის ეტაპებს, მაძიებლისა და მენტორის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, შესრულების პერიოდულობასა და მაძიებლობის პერიოდის გავლის შედეგად მისაღწევ შედეგებს.

დ) ატარებს თემატურ და მიზნობრივ კონსულტაციებს მაძიებელთან, უზიარებს მას პროფესიულ გამოცდილებას და აძლევს სათანადო რჩევებს მაძიებლის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ე) ხელმძღვანელობს მაძიებლის მიერ საგაკვეთილო, სააღმზრდელო და დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას.

ვ) ხელს უწყობს მაძიებელს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში, მოტივაციის ამაღლებასა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ზ) მონაწილეობს მაძიებლის მიერ სადემონსტრაციო გაკვეთილისა და მაძიებლის პორტფოლიოს მომზადებაში.

თ) ესწრება და მაძიებელთან ერთად აანალიზებს სადემონსტრაციო გაკვეთილს.

ი) აფასებს მაძიებლის საქმიანობას ყოველ სემესტრსა და სასწავლო წლის ბოლოს.

კ) რეგულარულად მიმართავს თვითშეფასებას და მონაწილეობს ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებსა და კვლევებში, აგრეთვე თანამშრომლობს ცენტრის წარმომადგენელთან მაძიებლობის პერიოდის მონიტორინგის განმავლობაში.

ლ) ქმნის მენტორის პორტფოლიოს და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

საქმიანობათა ამ ჩამონატვალში რამდენჯერმე განმეორდა ტერმინი პორტფოლიო. მასწავლებლის პორტფოლიოს ეძღვნება ამ გზამკვლევის მთელი მე-6 თავი. აქ კი, უბრალოდ ავხსნით, რომ მენტორის/მაძიებლის პორტფოლიო არის მათი პროფესიული მომზადების, პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა.

ერთ-ერთი ძირითადი აქტივობა, რისი გაკეთებაც უწევს მენტორს, არის სამოდელო გაკვეთილების ჩატარება რომლის მიზანია მენტორის პროფესიული ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების დემონსტრირება. მენტორის სამოდელო გაკვეთილზე დასწრება მაძიებლისთვის სავალდებულოა. მოდელი ფრანგულად ნიმუშს ნიშნავს. მოდელირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დასწავლის თეორიაში; რამდენადაც მიჩნეულია, რომ სოციალიზაცია, ძირითადად, სწორედ ქცევის როლური მოდელის იმიტაციით ხდება.

ამას გარდა, მენტორი ახორციელებს მაძიებლის საქმიანობის მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო შეფასებას. ეს მოიცავს მაძიებლის საქმიანობის პერიოდულ მონიტორინგსა და მაძიებლის პორტფოლიოს ანალიზს. საბოლოო შეფასება გულისხმობს მენტორის მიერ ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდის, მაძიებლის საქმიანობისა და მაძიებლის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი სადემონსტრაციო გაკვეთილის შეფასებას. მენტორი დადგენილი ფორმით შევსებულ მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს წარუდგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს სემესტრის დასრულებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

მენტორი არის ის მასწავლებელი, რომელთანაც შესაძლებელია სტაჟირება (იხ. ზემოთ). თუკი მასწავლებელი საკუთარი პროფესიული განვითარების სქემაში მენტორობას დაგეგმავს, მისთვის აუცილებელი იქნება საფუძვლიანად შეისწავლოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემული მენტორისა და მაძიებლის დეტალური სახელმძღვანელოები. ეს წიგნები ცენტრის ვებ-გვერდზე არის განთავსებული:
http://tpdc.ge/index.php?option=com_content&view=article&id=16&Itemid=63

მწვრთნელი

ს) სამინისტროსა და ცენტრის ეგიდით განხორციელებულ ტრენინგებში ტრენერად მუშაობა – 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) -2 კრედიტი;

ტ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამებში ტრენერად მუშაობა - 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) – 1 კრედიტი.

ტრენინგი ინგლისურად [training] – წვრთნას ნიშნავს. ეს ტერმინი ნებისმიერ პროფესიულ განვითარებასა და უწყვეტ განათლებაში მყარად დამკვიდრდა. ტრენინგი გარკვეული საკითხის, თემის ირგვლივ სისტემური, კომპლექსური წვრთნაა, სადაც დროის მცირე მონაკვეთში (3-5-7 დღე) ხდება უამრავი სიახლის, კონცეფციისა და სტრატეგიის გაცნობა-გათავისება. ეს არის სწავლება-სწავლის ფორმა, რომლის ფარგლებშიც ხდება აზრებისა და გამოცდილების ღია და ფართო ურთიერთგაცვლა, აქტიური და ცოცხალი ურთიერთთანამშრომლობა, რომლის მონაწილეებიც (მწვრთნელები და მსმენელები), თავიანთ პროფესიულ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, ერთად მსჯელობენ, აანალიზებენ, განიხილავენ სხვადასხვა აქტუალურ თემასა და პრობლემას, ეძებენ გამოსავალს, ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს, გამოაქვთ დასკვნები და ა.შ. შემდგომში ეს გამოცდილება მსმენელთათვის ერთგვარი ბიძგის მიმცემია, რათა მათ შეძლონ ახლებული განსჯა, სწავლის პროცესის ახლებური გააზრება და მუშაობა. მწვრთნელის საქმიანობა ეფუძნება გამოცდილებით სწავლებას.

ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებლისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებელთა საჭიროებების მუდმივი კვლევა, ხოლო მასწავლებლისათვის - საკუთარი პრაქტიკის კრიტიკული განხილვა და მოსწავლეთა საჭიროებების ცოდნა. პროფესიული განვითარების პროგრამები მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენენ გავლენას სწავლებისა და სწავლის ხარისხზე, როდესაც ისინი უშუალოდ პასუხობენ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. სწავლებას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი უმაღლესი პროფესიული ან უმაღლესი აკადემიური განათლება და შესაბამისი გამოცდილება.

თუკი მოქმედი მასწავლებლის ყოველდღიური სამუშაო აუდიტორია ბავშვები და მოზარდები არიან, ტრენინგის მწვრთნელისათვის ეს ზრდასრული მასწავლებლები - კოლეგები არიან. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებელი-მწვრთნელი მხოლოდ კონკრეტული სატრენინგო პროგრამის საკითხებში დგას უპირატეს მდგომარეობაში მსმენელებთან შედარებით. ეს უპირატესობა რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით განისაზღვრება, რასაც აუცილებლად იღებს მხედველობაში ტრენინგ-პროგრამის განმხორციელებელი მწვრთნელების შერჩევისას:

- სატრენინგო საკითხებში მწვრთნელის მაღალი კომპეტენცია - თეორიული ცოდნა და კარგად განვითარებული უნარები;
- ტრენინგ-პროგრამის საკითხების შესაბამისი მდიდარი ან განუმეორებელი გამოცდილება;
- ოსტატობა მეთოდიკაში;
- ზრდასრულთა განათლების მეთოდების გამოყენებაში გაწაფულობა.

მეთოდიკა წარმოიშვა ბერძნული სიტყვისგან მეტჰოდოს, რაც შეიძლება ითარგმნოს როგორც „შესწავლის გზები“. დღეს მეთოდიკა რისამე პრაქტიკულად შესრულებისათვის საჭირო მეთოდების, წესების ერთობლიობას აღნიშნავს. მეთოდიკა ჩამოყალიბდა და განვითარდა როგორც პედაგოგიკის ნაწილი - მეცნიერება სწავლების მეთოდების შესახებ. **მეთოდი** კი, ზოგადად ნიშნავს ამა თუ იმ საქმიანობის პრაქტიკული განხორციელების კონკრეტულ ხერხს. შესაბამისად **მეთოდიკა არის მეცნიერება სწავლების პრაქტიკული განხორციელების კონკრეტული ხერხების შესახებ.**

მწვრთნელობის კრიტერიუმები და ტრენინგ-პროგრამების გამოცდილებით სწავლებაზე დაფუძნებული ბუნება მწვრთნელობის მსურველ მასწავლებელს კიდევ ერთხელ ახსენებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისა და გამოცდილების გაზიარების მანამდე აღწერილი ფორმების მნიშვნელობას.

მენტორობისგან განსხვავებით, მწვრთნელობა მოითხოვს მასწავლებლის კომპეტენციას როგორც მოსწავლეთა, ისე ზრდასრულთა განათლების მეთოდიკაში. გასათვალისწინებელია, რომ თუკი მასწავლებელი საჯარო სკოლის დირექციის წევრია, მას მხოლოდ სამინისტროსა და ცენტრის განხორციელებულ ტრენინგ-პროგრამებში აქვს მწვრთნელობის უფლება.

სახელმძღვანელოს ავტორი

კომპეტენტურ, შემოქმედებით მასწავლებელს საკუთარი მდიდარი გამოცდილების მრავალი ადამიანისათვის გაზიარებისა და გავრცელების სხვა საშუალებაც აქვს. მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების მიზანმიმართულად, სტრუქტურულად გამართულად გადმოცემა შესაძლებელია სწავლა-სწავლებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოებში.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ამ საშუალებას შემდეგი აქტივობით აღწერს:

დ) სასკოლო ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობა/თანაავტორობა – სახელმწიფოს მიერ გრიფირებული ან აკადემიური გამომცემლობის მიერ გამოცემული. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორობა – 7 კრედიტი, სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 3 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ავტორობა – 4 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 2 კრედიტი;

გაითვალისწინეთ:

- *სახელმძღვანელოს ავტორად ჩაითვლება სტატუსის მაძიებელი მაშინ, თუ ავტორთა რიცხვი არ აღემატება 3-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნება მხოლოდ თანაავტორი;*

- *შესაბამისი კრედიტის მოპოვებისთვის აუცილებელია სახელმძღვანელოს გრიფი ჰქონდეს მინიჭებული სტატუსის მაძიებლის სქემაში ჩართვის შემდეგ;*
- *მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობასთან/თანაავტორობასთან გათანაბრებულია აკრედიტირებული ტრენინგ-მოდულისა და შესაბამისი ტრენინგ-მასალის ავტორობა/თანაავტორობა.*
- *არაგრიფირებული სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება საიდენტიფიკაციო კომისიის მიერ.*

მოდით, განვსაზღვროთ რა იგულისხმება ამა თუ იმ სახის სახელმძღვანელოში. ზოგადად, სახელმძღვანელო არის წიგნი რომელსაც იყენებენ რაიმეს შესწავლისათვის.

სახელმწიფოს მიერ სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭებას ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. სიტყვა გრიფი ფრანგულად თანამდებობის პირის ხელმოწერიან ბეჭედს ან ასეთი ხელმოწერის ანაბეჭდს ნიშნავს. გრიფის მინიჭება სახელმწიფო მმართველობაში რაიმეს გამოყენების დადასტურებასთან ან აღიარებასთან არის დაკავშირებული. სახელმძღვანელოების შემთხვევაში, გრიფის მინიჭება ნიშნავს სახელმწიფოს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებასა და მიზნობრივი გამოყენებისათვის აღიარებას.

გამომცემლობა არის დაწესებულება, რომელიც ეწევა ბეჭდვითი ნაწარმოებების გამოცემას. თუკი დაწესებულება მეტწილად ეწევა ნაწარმოების ისეთ გამოცემას, როდესაც ტექსტი დამზადდება მეცნიერული კვლევა–ძიების მეთოდების გამოყენებთ, მაშინ გამომცელობა აკადემიურად შეიძლება იყოს მიჩნეული. თუმცა, აკადემიურობით უფრო კონკრეტული გამოცემა ხასიათდება ხოლმე, ვიდრე ორგანიზაცია.

სასკოლო სახელმძღვანელო არის ეროვნული სასწავლო გეგმის, მასში შემავალი საგნობრივი პროგრამის (საგნობრივი სტანდარტისა და პროგრამის შინაარსის) მიხედვით შედგენილი წიგნი, რომელიც განკუთვნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მისაღწევად და რომელსაც მინიჭებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის სახელმძღვანელო შეიძლება იყოს ორი ტიპის:

- საგნის სახელმძღვანელო;
- საგნობრივი ჯგუფის სახელმძღვანელო.

საგნის სახელმძღვანელო ემსახურება საგნის ან საგნობრივი ჯგუფის ერთი ან მეტი მიმართულების სტანდარტით დასახული მიზნების მიღწევას. საგნობრივი ჯგუფის სახელმძღვანელო ემსახურება საგნობრივი ჯგუფის ერთზე მეტი საგნის ან/და მიმართულების სტანდარტით დასახული მიზნების მიღწევას. სახელმძღვანელო შეიძლება შედგებოდეს მოსწავლის და მასწავლებლის წიგნების კომპლექტისაგან ან მხოლოდ მასწავლებლის წიგნისგან.
სახელმძღვანელო არის მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი საშუალება, რომელიც ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში მოცემული შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელო არ და ვერ ცვლის საგნობრივ პროგრამას. სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების, სავარჯიშოებისა თუ ილუსტრაციების გამოყენებით მასწავლებელი წარმართავს სასწავლო პროცესს საგნობრივი

სტანდარტების შედეგების მისაღწევად.
მასწავლებელი სახელმძღვანელოს არგებს მოსწავლეების საჭიროებებს. მას შეუძლია არ გამოიყენოს სახელმძღვანელოს რომელიმე ტექსტი ან აქტივობა, შეცვალოს დროის ხანგრძლივობა, რომელიც კონკრეტულ თემას ეთმობა, დაამატოს საკუთარი აქტივობები და სხვ.

მოსწავლის წიგნი არის სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამის ასათვისებლად.

მასწავლებლის წიგნი კი არის სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებელს აძლევს მეთოდური ხასიათის მითითებებს და რომლის დახმარებითაც მასწავლებელი წარმართავს/განახორციელებს სწავლებას.

სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებულ მკაფიო და სრულ ინფორმაციას მსურველი მასწავლებელი მიიღებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და მისი დანართების გაცნობით. მასში აღწერილია სახელმძღვანელოების შინაარსობრივი და ტექნიკური მახასიათებლები. მსურველ მასწავლებელს სახელმძღვანელოს შექმნაში დიდ დახმარებას გაუწევს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრების გამოცემები. მათი დიდი ნაწილი არის სკოლების ბიბლიოთეკებში, ნაწილი ხელმისაწვდომია გამოწერით, ხოლო ყველას გაცნობა შესაძლებელია ინტერნეტით: http://ncac.ge და http://www.tpdc.ge/.

სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისას ძალიან კარგია ავტორთა ჯგუფის მუშაობა, როდესაც თანაედროვე სამეცნიერო თეორიული ცოდნა და პედაგოგიური პრაქტიკის მდიდარი გამოცდილება ზავდება. სახელმძღვანელოს შექმნისათვის საჭიროა მრავალმხრივი და მოცულობითი სამუშაოს ჩატარება. ასეთ დროს მასწავლებელს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები აღარ არის საკმარისი ეფექტური მიგნებებისათვის.

- ✓ უპირველესად, აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნობრივი პროგრამის ცოდნა, გააზრება და მისი განხორციელების მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება;
- ✓ საჭიროა მსგავსი დანიშნულების არსებული სახელმძღვანელოებისა და მათი გამოყენების ეფექტურობის შესწავლა;
- ✓ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებისა და მასწავლებლების საჭიროებების შესწავლა ეროვნულ დონეზე. ამაში ავტორებს ეხმარება ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების/კვლევების ანგარიშების ანალიზი, ასევე მასწავლებელთა საჭიროებების კვლევების ანგარიშების შესწავლა. ამგვარი ინფორმაცია არის როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ისე მის ქვემდებარე ცენტრების ვებ-გვერდებზე.
- ✓ სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტორებისა და გამომცემლობის მიერ მის წინასწარ გამოცდას რეალურ სასწავლო

ვითარებაში. ამისათვის კი საჭიროა კვლევითი საქმიანობის გაშლა ერთ ან რამდენიმე სკოლაში, რომლებსაც წინასწარ უნდა შეუთანხმდეთ.

- ✓ სახელმძღვანელოს ავტორები მუშაობის დასრულებამდე საჭიროებენ სხვადასხვა სახის გამოხმაურებებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, რათა საბოლოო ნაწარმოები მართლაც სასარგებლო და წარმატებული გამოდგეს.

როდესაც მასწავლებელი პროფესიული განვითარების იმ საფეხურს აღწევს, რომ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გამოცემების სახით შეიძლება გაავრცელოს, ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი მასალის დანიშნულებისა და მიზნობრივი მომხმარებლების აუდიტორიის საჭიროება-თავისებურებების განსაზღვრა ისევე, როგორც ამ მასალის გამოყენების პირობებისა.

არსებობს სახელმძღვანელოს ტიპის სხვადასხვაგვარი გამოცემები, მაგალითად:

სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელო - სასწავლო გამოცემა, რომელიც ნაწილობრივ ცვლის ან ავსებს სახელმძღვანელოს.
პრაქტიკული სახელმძღვანელო - ზოგადი შინაარსის ხასიათის მიხედვით პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოსთან ახლოს მდგომი, მაგრამ მისგან აღწერილობის უფრო დიდი დეტალურობით განსხვავებული გამოცემა; განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დამოუკიდებლად აითვისონ რაიმე პროფესია, დაეუფლონ მუშაობის ჩვევებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია.
საცნობარო–დამხმარე სახელმძღვანელო - ცნობარისა და დამხმარე სახელმძღვანელოს შუალედი საცნობარო გამოცემა, რომელიც ცნობების შეკრებისათვისაა გამიზნული (მაგ: ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასი, ქრესტომათია, სტატისტიკური თემატური ცნობარი, კვლევის ანგარიში და ა.შ.).
თვითმასწავლებელი - სახელმძღვანელო წიგნი ენის ან რაიმე საქმის (ხელობის, თამაშის, მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრის...) დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.
საკითხავი წიგნი - სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს შესასწავლ საგნთან ან საკითხთან დაკავშირებულ ტექსტებს და რომელთაც, სწავლაში დახმარების მიზნით, დართული აქვთ სასწავლო (დიდაქტიკური) მასალები.
გზამკვლევი - მასწავლებლებისთვის განკუთვნილი მეთოდური ხასიათის მითითებანი (მითითებების კრებული), რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს სახელმძღვანელოს სახე. გზამკვლევის ფუნქციაა მიაწოდოს ინფორმაცია პედაგოგებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამა თუ იმ პედაგოგიური რესურსით (მაგ. მოსწავლის სახელმძღვანელო, სავარჯიშოების რვეული, აუდიო, ვიდეო თუ ინტერნეტ რესურსები და ა.შ.). სწორედ, ამ სახის სახელმძღვანელოს კითხულობთ ახლა.

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები/გზამკვლევები განკუთვნილია მასწავლებლებისა და სწავლების პროცესში ჩართული სხვა სპეციალისტებისათვის. მასწავლებლებისათვის უკვე ცნობილი და ხელმისაწვდომია ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების გზამკვლევები საგნებისა და საფეხურების მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთ წიგნებში თავმოყრილია სწავლების წარმართვასთან დაკავშირებული გამოცდილება და რეკომენდაციები. ასეთი ხასიათის კარგი სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომლის ეფექტურობა შესწავლილია, დადასტურებული და აღიარებული კოლეგების საკმარისად ფართო წრეში და ამის გამო დასა[ებია მისი განზოგადება ან გავრცელება უფრო ფართო მასშტაბით.

ამ სახის გამოცემები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ ექვემდებარება გრიფირებას და შესაბამისად მათ გამოყენებაში მასწავლებლები თავისუფალნი არიან. შესაბამისად ასეთი გამოცემების ეფექტურობა დამოკიდებულია მის დამაჯერებლობაზე და თუ რამდენად პასუხობს ის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საჭიროებებს, ასევე რამდენად ხელმისაწვდომია.

მასწავლებლებს საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გავრცელება შეუძლიათ ტრენინგ-პროგრამებისა თუ მისი შესაბამისი საკითხავი მასალის შემუშავებით. ბუნებრივია, მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლინებაა, როდესაც მასწავლებელი არის ტრენინგ-პროგრამის ავტორი ან თანაავტორი და ამავე პროგრამის მწვრთნელი. სატრენინგო პროგრამის ან მისი შესაბამისი სასწავლო მასალის შემუშავებაში მასწავლებელს დაეხმარება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები პროგრამის განმხორციელებლებს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულება. ეს მასალა ხელმისაწვდომია აღნიშნული სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://www.nea.ge/Page.aspx?CID=24&LangID=1

მასწავლებელთა ინდივიდუალური პრაქტიკული ცოდნა სკოლის გაუმჯობესების მძლავრი გამოუყენებელი რესურსია. თანამშრომლობის შედეგად მიღებული გაკვეთილები დახვეწილი და ეფექტიანია

ცხადია ისიც, რომ თვით პედაგოგიკაში საჯარო ცოდნის ბაზის არსებობისა და სირთულის აუღიარებლობის გამო, მასწავლებელთა ყოველი თაობა იძულებულია თავიდან გამოიგონოს ეს ცოდნა; უმრავლესობა მთელი საქმიანობის განმავლობაში ვერ ახერხებს ათობით იმ მძლავრი ინსტრუმენტისა და მიდგომის აღმოჩენას, რომელსაც არსებული ცოდნის წყალობით გამოიყენებდა.

სწავლება რთული საქმიანობაა, რომელიც მაღალი დონის აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღებას და მრავალი ალტერნატივის ჩამოყალიბებას, განხილვასა და შეფასებას მოითხოვს. აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება მასწავლებლის როლის ძირითადი კონცეფციებია. გვჭირდება სისტემატური პროფესიული განათლება, რომელიც დროთა განმავლობაში ჩვენს ყურადღებას არსებულ ალტერნატივებს მიაპყრობს და მათი გამოყენების სწავლას შეგვაძლებინებს. შედეგად ჩვენ შევძლებთ გადაწყვეტილების მიღებას მასწავლებლისეული ცოდნის ორი ძირითადი წყაროდან: (1) ინდივიდუალური და კოლეგების პრაქტიკული ცოდნა და (2) სფეროში დაგროვილი საჯარო პედაგოგიური ცოდნის ბაზა.

მეექვსე თავი: მასწავლებლის პორტფოლიო

რა არის მასწავლებლის პორტფოლიო?

პორტფოლიო არის მასწავლებლის საქმიანობის და პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაშასადამე, მასწავლებლის პორტფოლიო პედაგოგის მიღწევების კრებულია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პორტფოლიო არის იმ თვალსაჩინო მასალის კრებული, რომელიც პედაგოგის საქმიანობის მზარდ ხარისხს უჩვენებს; იგულისხმება პედაგოგიური ნიჭი, სწავლების სტილი და პროფესიული კომპეტენცია (ცოდნა და უნარები). პორტფოლიო ინდივიდუალური დოკუმენტია.

მიუხედავად იმისა, რომ პორტფოლიოს გამოყენება სწავლების პროცესში ახალი მიგნებაა, სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ მის მნიშვნელობას ამ სფეროში. ზოგადად, ნებისმიერ დისციპლინაში, პორტფოლიო წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინოს ამა თუ იმ ინდივიდის მიღწევები და საუკეთესო ნამუშევრები მოცემულ სფეროში. კენეტ ვულფი, რომელიც ერთერთი აღიარებული მკვლევარია პორტფოლიოების განათლებაში გამოყენების მიმართულებით, აღნიშნავს, რომ ეს მართლაც ჩინებული პრაქტიკაა, რამდენადაც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მასწავლებლის სწავლების მეთოდების ეფექტურობასა თუ მის მზარდ განვითარებას, მის ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებს, ქცევებს, რამდენად ადეკვატურია ის ჩვეულებრივ საკლასო გარემოში. ის შეუცვლელი იარაღია მასწავლებლის თვითშეფასების საქმეში და ეხმარება მას მოემზადოს სხვა ალტერნატიული შეფასების სტრატეგიებისთვის.

რისთვის გვჭირდება მასწავლებლის პორტფოლიო?

მასწავლებლის პორტფოლიო წარმოადგენს საკუთარი მიღწევების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებას, რომელიც არის

1. მასწავლებლის შეფასების და თვითშეფასების საშუალება და მისი პროფესიული განვითარების მაჩვენებელი – პორტფოლიო **პედაგოგიური რეფლექსიის** ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი აანალიზებს საკუთარ მიღწევებს პროფესიული ზრდის გზაზე.
2. მასწავლებლის ერთგვარი "სავიზიტო ბარათი" - პორტფოლიოს დახმარებით დაინტერესებული მკითხველი ნათელ წარმოდგენას იქმნის მასწავლებლის საქმიანობის ხარისხისა და პროფესიული განვითარების შესახებ. როგორც წესი, პორტფოლიოს მიმოიხილავენ მასწავლებლის დასაქმების, წახალისების ან კატეგორიის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ კუთხით, პორტფოლიო მასწავლებლის **საქმიანობის ადეკვატური შეფასების** ინსტრუმენტია. მონიტორინგის მობილური ჯგუფი და საიდენტიფიკაციო კომისია პორტფოლიოზე დაყრდნობით შაფასებს მასწავლებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხს და მის პროფესიული საქმიანობას.

რისგან შედგება მასწავლებლის პორტფოლიო?

უფრო ხშირად, პორტფოლიო შემდეგ დოკუმენტებს შეიცავს:

1. მასწავლებლის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (ე. წ. CV) რომელიც შემდეგი პუნქტებისაგან შედგება;
   - მასწავლებლის პირადი მონაცემები ;
   - განათლება და პროფესიული ტრეინინგები;
   - სამუშაო გამოცდილება;
   - კონფერენციები და სემინარები;
   - ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები;
   - პუბლიკაციები;
   - სხვა აქტივობები და სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობა;
   - საკუთარი საქმიანობის რეზიუმე - ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკუთარი საქმიანობის ანალიზი/თვითშეფასება.
2. ყველა კლასისთვის წლიური სასწავლო კურსის პროგრამა/სილაბუსი, თემატური ერთეულის, სამოდელო გაკვეთილის, საგანმანათლებლო პროექტის ან ღონისძიების, ჩატარებული კვლევების ამსახველი მასალა, კერძოდ:
   - თემატური ერთეულის, გაკვეთილის, საგანმანათლებლო პროექტის, აღმზრდელობითი/შემოქმედებითი ღონისძიების <u>გეგმა</u>
   - გაკვეთილის (თემატური ერთეულის, კვლევის, პროექტის, ღონისძიების) ჩატარების <u>ანგარიში</u>
   - გამოყენებული ან შექმნილი <u>სასწავლო რესურსი</u> (ტექსტი, პოსტერი, ფილმი და სხვ.); მისი მოკლე აღწერა და შერჩევის მოტივი
   - გამოყენებული <u>მეთოდის/სტრატეგიის</u> მოკლე აღწერა და შერჩევის მოტივი
   - მოსწავლეთა სწავლის <u>შეფასების</u> ამსახველი მასალა
   - გაკვეთილის (თემატური ერთეულის, პროექტის, ღონისძიების) მიმდინარეობის, კათედრის სხდომაზე, სემინარსა თუ კონფერენციაზეწარდგენილი პრეზენტაციიის ამსახველი <u>ფოტო-ვიდეო-აუდიომასალა.</u>
   - მასწავლებლის მიერ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიის ქსეროასლი.
3. მენტორის სამუშაო გეგმა, ანგარიში;
4. კოლეგის გაკვეთილზე დასწრების შედეგად მასწავლებლის მიერ შესრულებული ჩანაწერები და რეკომენდაციები
5. პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალა (სერტიფიკატი, სილაბუსი/გეგმა/პროგრამა, ღონისძიების თქვენეული მოკლე შეფასება)
6. თვით მასწავლებლის მიერ მომზადებული და ჩატარებული ტრეინინგის, სემინარის/მრგვალი მაგიდის ამსახველი მასალა;
7. ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებსა და პროექტებში გამარჯვებული და პრიზიორი მოსწავლეების სიგალების ასლები;
8. მოსწავლეების, მშობლების ან კოლეგების გამოხმაურება;
9. მოსწავლეთა ტესტირების ან შეფასების ამსახველი მასალა (გეგმა, ტესტირების/გამოცდის /კითხვარის ნიმუშები, შედეგების ანალიზი) და სხვა.

ცხადია, სავალდებულო არ არის, ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტის შეტანა პორტფოლიოში. თქვენ შეგიძლიათ, გაამდიდროთ პორტფოლიო მასალით, რომელიც ნათლად უჩვენებს მასწავლებლის პროფესიულ წარმატებას.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულმა მასწავლებელმა პორტფოლიოში უნდა შეიტანოს ყველა იმ აქტივობის ამსახველი მასალა, რომელსაც იგი აირჩევს.

რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია, როგორ აწარმოოს მასწავლებელმა პორტფოლიო?

პორტფოლიოს შედგენა შემოქმედებითი პროცესია. რაც უფრო ორიგინალურია პორტფოლიო, მით უკეთესი.

საფეხური 1. აიღეთ საქაღალდე, რომელიც ამიერიდან თქვენი პორტფოლიოს ფუნქციას შეასრულებს. წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ის შევსებულ მდგომარეობაში.

საფეხური 2. განსაზღვრეთ პორტფოლიოს თემა და მიზანი და დაიწყეთ რეფლექსია ოთხ შეკითხვაზე (სასურველია, პასუხები ჩამოწეროთ):

ა) ვინ გაეცნობა ჩემს პორტფოლიოს?
ბ) რა აინტერესებს ჩემი საქმიანობის შესახებ ჩემი პორტფოლიოს პოტენციურ მკითხველს?
გ) რის თქმა მსურს ჩემი საქმიანობის შესახებ მკითხველისათვის?
დ) რა ფორმით შეიძლება ჩემი საქმიანობის პოზიტიური მხარეების ჩვენება პორტფოლიოში?

საფეხური 3. გაიხსენეთ მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტი, ეთიკის კოდექსი და მათი დანიშნულება. ხელახლა გადახედეთ ამ დოკუმენტებს. დაფიქრდით და მონიშნეთ მუხლები, რომლებსაც ან განსაკუთრებული ხარისხით/წარმატებით ასრულებთ, ან იმაზე გაცილებით უკეთ, ვიდრე აქამდე ასრულებდით.

საფეხური 4. მოიფიქრეთ, რა თვალსაჩინო მასალითაა შესაძლებელი თქვენი საქმიანობის ეფექტურობის ან სრულყოფის ჩვენება. გადახედეთ პორტფოლიოში შესატანი დოკუმენტების/თვალსაჩინოებების ნუსხას. გადაწყვიტეთ, რა მასალას შეიტანთ პორტფოლიოში და რა თანმიმდევრობით.

საფეხური 5. დაიწყეთ მასალის მოგროვება. თითოეულ დოკუმენტს დაურთეთ მოკლე ფორმალური აღწერა. მაგალითად: "გაკვეთილის გეგმა", "მოსწავლის ნამუშევარი", "პედაგოგიური ესსე", პედაგოგიური კვლევის ანგარიში, განხორციელებულ ღონისძიებების, ჩატარებული პროექტების გეგმები და სხვ.

საფეხური 6. პორტფოლიოს შევსების შემდეგ გააკეთეთ სარჩევი, რომელიც მკითხველს გაუადვილებს მასალაში ნავიგაციას. ჩადეთ სარჩევი პორტფოლიოს დასაწყისში.

საფეხური 7. თუ პორტფოლიო კარგი გამოვიდა, გაუკეთეთ თქვენს თავს დამსახურებული საჩუქარი.

საფეხური 8. მოემზადეთ თქვენს პორტფოლიოზე საუბრისათვის. ხშირად მასწავლებლის საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით ინდივიდუალიზებული გასაუბრებები იმართება პორტფოლიოს მოშველიებით.

საფეხური 9.წარუდნინეთ დასრულებული პორტფოლიო სკოლის ხელმძღვანელობას, მონიტორინგის მობილურ ჯგუფს, საიდენტიფიკსციო კომისიას და ყველა დაინტერესებულ პირს.

ქვემოთ მოცემულია სქემებისა და ცხრილების ნიმუშები მასწავლებლის პორტფოლიოსთვის, რომელთაც მხოლოდ სარეკომენდაციო დანიშნულება აქვთ.

მასწავლებლის პორტფოლიოში შესატანი დოკუმენტაციების აღრიცხვის ფურცელი:

მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემები (CV)	
წლიური სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)	
სამოდელო გაკვეთილის (თემატური ერთეულის, ღონისძიების,) გეგმები	
მენტორის სამუშაო გეგმა	
განხორციელებული კვლევის, პროექტის ანგარიში	
მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მონაცემები	
კონფერენციაზე, სემინარსა და კათედრის სხდომაზე მასწავლებლის მიერ გაკეთებული პრეზენტაციის ამსხველი მასალა	
გამოქვეყნებული სტატიის ამონაბეჭდი	
გამოყენებული სასწავლო რესურსების ნიმუშები	
მასწავლებლის მიერ ჩატარებული სემინარის/ტრეინინგის ამსახველი მასალა	
სტაჟირების, ტრეინინგების, სემინარების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები	
მასწავლებლის რეფლექსიის დღიურის ჩანაწერები (ესსე, ჩანახატი და სხვ.)	
სხვა თვალსაჩინო მასალა	

ბიოგრაფია
CV

დაბადების თარიღი

საკონტაქტო ინფორმაცია

განათლება და პროფესიული ტრენინგი

- თარიღი
- ორგანიზაციის ტიპი და დასახელება
- ფაკულტეტი/ტრენინგი/კურსი
- კვალიფიკაცია

სამუშაო გამოცდილება

- თარიღი
- დამსაქმებელი
- თანამდებობა

სიმპოზიუმები და სემინარები

სხვა აქტივობები და წევრობა

პუბლიკაციები

გრანტები

გაითვალისწინეთ: ტაბელარული ბიოგრაფიის შევსებისას მონაცემები შეიტანეთ დაღმავალი თარიღების მიხედვით (უახლოესიდან უფრო შორეულისკენ).

საგნის გეგმის (სილაბუსის) სტრუქტურა

საგნის გეგმა (სილაბუსი *- ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს ჩამონათვალს, სიას, ნუსხას, შეჯამებას)* - ზოგადი ჩარჩო, თუ რა საკითხები იქნება განხილული წლის განმავლობაში და როგორ. იგი უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამდიდიდრებული უნდა იყოს მასწავლებლის გამოცდილებითა და შეხედულებით.

გთავაზობთ სულაბუსის სავარაუდო ფორმის ინსტრუქციას

	კომპონენტები	ინსტრუქცია
1.	**მასწავლებლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია**	
2.	**სასწავლო საგნის სახელწოდება**	
3.	**სწავლების კლასი**	
4.	**სასწავლო საგნის ხანგრძლივობა და საათების რაოდენობა**	
5.	**სასწავლო კურსის ზოგადი აღწერა**	მიუთითეთ სასწავლო კურსის სპეციფიკა, თავისებურებანი, ადგილი სკოლის სასწავლო გეგმაში.
6.	**სასწავლო საგნის სტატუსი მოცემულ კლასში**	მიუთითეთ სასწავლო კურსის სტატუსი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი საგნები
7.	**სასწავლო საგნის მიზანი**	აღწერეთ სასწავლო კურსის მიზნები
8.	**სასწავლო საგნის ამოცანები**	მიუთითეთ ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას მიზნის მისაღწევად
9.	**სასწავლო საგნის აუცილებელი საბაზისო კომპეტენციები**	მოსწავლეთა არსებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია ახალი ცოდნის დასაუფლებლად.
10.	**კურსის ორგანიზაცია** 10.1. საკლასო მენეჯმენტის ხერხები	ამ ნაწილში დეტალურად აღწერეთ სასწავლო კურსში გამოყენებული ორგანიზაციული ხერხები (მაგ. ჯგუფური, ინდივიდუალური...)

	10.2. მეცადინეობის ფორმები; 10.3. სწავლების მეთოდები	მეცადინეობის ფორმებში იგულისხმება (ლექციური, სემინარული, ლაბორატორიული და სხვ.) სწავლების მეთოდებში იგულისხმება - ევრისტიკული, ინტერაქრიური, პრობლემური და სხვ.
11.	**სასწავლო კურსის შეფასება**	მიუთითეთ შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე შეფასების თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი.
12.	**რესურსები** მოსწავლის და მასწავლებლის სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები, ინტერნეტსაიტები, ადამიანური რესურსები.	მიუთითეთ ნებისმიერი სახის რესურსი, რომლის საფუძნელზეც კურსი ისწავლება. სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატიურას მიუთითეთ ავტორი, გამომცემლობა, გამოცემის წელი.
13.	**მისაღწევი შედეგები**	შედეგები უნდა იყოს კონკრეტული და გაზომვადი. შედეგში უნდა აისახოს ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები.
14.	**სამუშაო დისცილინა** 14.1. გაცდენების დასაშვები რაოდენობა; 14.2. დავალიანებების დასაშვები რაოდენობა; 14.3. აღდგენები; 14.4. საჯარიმო ზომები; 14.5. წახალისების ფორმები.	 მიუთითეთ არასაპატიო გაცდენების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა, ასევე მათი აღდგენის ფორმები და ვადები.
15.	**თემატური გეგმა** 15.1. საკითხთა ჩამონათვალი; 15.2. საათების განაწილება საკითხებზე; 15.3. სარეზერვო საათების რაოდენობა.	საკითხთა შერჩევისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საგნობრივი პროგრამებითა და სტანდარტებით; მიუთითეთ სასწავლო კურსის შემადგენელი თემები, თითოეული თემის სწავლებისთვის საჭირო დრო და ლიტერატურა; სარეზერვო საათები გამოიყენეთ მასალის განმტკიცებისთვის და სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებებისათვის.

თემატური ერთეულის გეგმა - მოიცავს წლის განმავლობაში განსახილველ მსხვილ თემებს.

თემის გეგმის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

- თემის სათაური, რომელიც საგნის გეგმიდან და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამოდის;
- თითოეული თემის შესწავლის მიზანი, ამოცანები, მისაღწევი შედეგები;
- განსახილველი ინფორმაციის მოკლე შინაარსი;
- თითოეული განსახილველი თემისთვის გამოსაყენებელი აქტივობები და სასწავლო მეთოდები;
- ყოველი თემის შესწავლისთვის საჭირო სასწავლო მასალა;
- შეფასების სისტემის აღწერა - შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებული იქნება.
- თუ კლასში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვია, მისი ინდივიდუალური საჭიროებებისადმი გეგმის ადაპტირება;
- თვითშეფასება - რა პერიოდულობით და რა მეთოდებით მოახდენს მასწავლებელი თვითშეფასებას.

თემატური ერთეულის გეგმა შესაძლებელია შემდეგი ფორმით იყოს წარმოდგენილი.

თემატური ერთეულის გეგმა

თემატური ერთეულის ჩატარების პერიოდი (დაწყებისა და დასრულების თარიღები):

სკოლა: კლასი:

მასწავლებელი: საგანი/საგნები:

თემატური ერთეულის ძირითადი თემა/საკითხი და ქვესაკითხები:

მისაღწევი შედეგები (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები):

გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები/სტრატეგიები:

ძირითადი სასწავლო რესურსები:

მსვლელობა:

გაკვეთილი №	თარიღი	თემა	მისაღწევი შედეგები

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება:

ეროვნული სასწავლო გეგმის პუნქტები:

გაკვეთილის გეგმვა - აღწერს კონკრეტულ გაკვეთილს დაწყების წუთიდან დასასრულამდე.

გაკვეთილი უნდა შედგებოდეს სამი ეტაპისაგან:

გამოწვევა (შესავალი), რომელიც გულისხმობს მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც იციან შესასწავლი საკითხის ირგვლივ. იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს. ხდება მოსწავლეთა გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს.

სიღრმისეული წვდომა (მასალის მიწოდება). იგი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და აღქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას ტექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ჩატარების საშუალებით. Aამ ეტაპზე ხდება არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება. სიღრმისეული წვდომის უპირველესი ამოცანაა "გამოწვევის ფაზაზე" გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება.

გააზრების, რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა.

გაკვეთილის ეს სამივე ეტაპი გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს გაკვეთილის გეგმაში.

გაკვეთილის გეგმის შდგენისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებია:

- თემა;
- მიზანი;
- აქტივობები (შესაბამისი გაკვეთილის მიზათან);
- სასწავლო მეთოდები (შესაბამისი აქტივობასთან);
- სასწავლო რესურსები;
- თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო;
- კლასის ორგანიზების ფორმები;
- თითოეული აქტივობის ბოლოს მიღწეული სავარაუდო შედეგი;

- შეფასება - გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეფასების კონკრეტული მეთოდები;
- გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი;
- თვითშეფასება.

გთავაზობთ გაკვეთილის გეგმის სარეკომენდაციო ფორმას:

გაკვეთილის/ღონისძიების გეგმა

გაკვეთილის (ღონისძიების) ჩატარების დღე:

სკოლა: კლასი:

მასწავლებელი: საგანი:

გაკვეთილის ძირითადი თემა/საკითხი და ქვესაკითხები:

მისაღწევი შედეგები (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები)**:**

გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები/სტრატეგიები:

ძირითადი სასწავლო რესურსები:

გაკვეთილის მსვლელობა (აქტივობების აღწერა)**:**

. გამოწვევა/მოლოდინების განსაზღვრა	დრო
. ცოდნის კონსტრუირება	დრო
ჩ. გამთლიანება/რეფლექსია	დრო

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება/შემოწმება:

ეროვნული სასწავლო გეგმის პუნქტები:

ანგარიში გაკვეთილის (ღონისძიების) ჩატარების შესახებ

გაკვეთილის (ღონისძიების) ჩატარების დღე:

სკოლა: კლასი:

მასწავლებელი: საგანი:

ძირითადი თემა/საკითხი *(სასურველია ჩამოყალიბდეს შეკითხვის ფორმით)*:

მისაღწევი შედეგები თავდაპირველი გეგმის მიხედვით *(ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები)*:

საკვანძო მეთოდები/სტრატეგიები:

ძირითადი სასწავლო რესურსები:

გაკვეთილის შედეგები. *მოკლედ უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.*

რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა გეგმით განსაზღვრულ შედეგებს? უფრო მეტად რომელი შედეგ(ებ)ის მიღწევით ხართ კმაყოფილი?

რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა

- მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ სწავლაზე?
- მოსწავლეთა პროდუქტულ ინტერაქციაზე?

რაზე მეტყველებს მოსწავლეთა ნამუშევრები? რა აითვისეს მოსწავლეებმა? უფრო მეტად რომელი უნარების განვითარება ან გავარჯიშება იკვეთება?

თქვენ რა გამოგივიდათ ყველაზე უკეთ? რა სტრატეგიით გამოიწვიეთ და ჩართეთ მოსწავლეები? რა სტრატეგიები გამოიყენეთ ცოდნის კონსტრუირებისა და რეფლექსია-გამთლიანების ფაზებზე?

როგორ შეიცვალა გაკვეთილის სამოქმედო გეგმა მსვლელობის პროცესში? რატომ?

ამავე გაკვეთილის ხელახლა ჩატარების შემთხვევაში რას შეცვლიდით? როგორ გააუმჯობესებდით საკლასო გარემოს, სასწავლო აქტივობებს, სტრატეგიებს/მეთოდებს, ინსტრუქციებს, მოსწავლეთა დაჯგუფებას, სასწავლო რესურსებს, მოსწავლეთა შეფასებას და სხვ.?

ანგარიში კონკრეტული მეთოდის/სტრატეგიის გამოცდის შესახებ

სტრატეგიის სახელწოდება:

სტრატეგიის გამოყენებით გაკვეთილის ჩატარების თარიღი:

სკოლა: კლასი:

მასწავლებელი: საგანი:

სტრატეგიის მოკლე აღწერა: რისთვის? როგორ?

ძირითადი თემა/საკითხი *(სასურველია ჩამოყალიბდეს შეკითხვის ფორმით)*:

მისაღწევი შედეგები თავდაპირველი გეგმის მიხედვით *(ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები)*:

ძირითადი სასწავლო რესურსები:

გაკვეთილის შედეგები. *მოკლედ უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.*

რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა გეგმით განსაზღვრულ შედეგებს? უფრო მეტად რომელი შედეგ(ებ)ის მიღწევით ხართ კმაყოფილი?

რა გავლენა იქონია სტრატეგიის გამოყენებამ

- მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ სწავლაზე?
- მოსწავლეთა პროდუქტულ ინტერაქციაზე?

რაზე მეტყველებს მოსწავლეთა ნამუშევრები? რა აითვისეს მოსწავლეებმა? უფრო მეტად რომელი უნარების განვითარება ან გავარჯიშება იკვეთება?

თქვენ რა გამოგივიდათ ყველაზე უკეთ? რა სტრატეგიით გამოიწვიეთ და ჩართეთ მოსწავლეები? რა სტრატეგიები გამოიყენეთ ცოდნის კონსტრუირებისა და რეფლექსია-გამთლიანების ფაზებზე?

როგორ შეიცვალა სტრატეგიის გამოყენების სამოქმედო გეგმა მსვლელობის პროცესში? რატომ?

ამავე სტრატეგიის ხელახლა ჩატარების შემთხვევაში რას შეცვლიდით? როგორ გააუმჯობესებდით საკლასო გარემოს, სასწავლო აქტივობებს, ინსტრუქციას, სასწავლო რესურსებს, მოსწავლეთა შეფასებას და სხვ.?

გამოყენებული ლიტერატურა:

Altricher H., Posch P. (2007) Lehrerinen und Lehrer erforschen ihren Unterricht (Unterrichtsentwicklung und Unterrichtsevaluation durch Aktionsforschung). Bad Heilbrunn: Julius Klinkhardt

Besio Cristina (2009). Forschungsprojekte. Zum Organisationswandel in der Wissenschaft. Transcript, Bielefeld

Bogdan R.C., Biklen S.K. (2002) Qualitative Research for Education. An Introduction to Theories and Methods. Boston: Allwyn &Bacon

Giess, Wolfgang, Platzer, Willi (2004); Portfolio in der Lehrerausbildung im Studienseminar, in: http://www.tu-darmstadt.de/schulen/ssbs-da/seminarentwicklung/portfolio-bs-seminar-da.pdf

Croley A. J. (2005) Qualitative Forschungsmethoden, Eine praktische Einführung. Frankfurt am Main: Verlag Dietmar Klotz

Lusius Meyer Kurmann (Hrsg.) Portfolio in der Schule in Buender Schulblatt, April 2010/2: Schweiz

Papadopoulou E. (2008) How to Organize a Conference, Step by Step Guidelines, University of Essex, UK

Somekh, B., Lewin, C (Eds.) (2005) Research Methods in the Social Sciences, Sage: London

Tishman S., Perkins D.N., Jay E. (1995) The Thinking Classroom, Learning and Teaching in a Culture of Thinking, Boston: Allwyn &Bacon

გერსამია მ. (2011), ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბიშვილი თ. (2006) თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

კაჭარავა ლ., მარწყვიშვილი ხ., ხეჩუაშვილი ლ. (2007) აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

რატიანი მ., ახვლედიანი ლ. (2009) დიალოგი ალმანახი, თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

რატიანი მ., ლაბარტყავა ნ., ქიტიაშვილი ა. (2011) ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით, დამრიგებლის წიგნი, თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007) თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (2009). სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების სახელმძღვანელო ცნობარი, თბილისი

წულაძე ლ. (2006) აკადემიური წერა, ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

წულაძე ლ. (2008) რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

თ. პაჭკორია, თ. ჭინჭარაული, ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი (2011წ.), ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით; თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა ცენტრი

თ. პაჭკორია, (2011წ.), ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები; თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა ცენტრი

შესავალი თანამედროვე აზროვნებაში (2008 წ.) - ჯონ დიუი (1938წ.), გამოცდილება და განათლება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი უზნაძე (2005წ.), პედაგოგიური თხზულებები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, (1917წ);

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2008), ნაწ. 1 და 2: განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

პიტერ ბრეტი, (2009), რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ი. ფ. უაინერთი, (1999.), კომპეტენციის ცნებები, მაქს პლანკის სახელობის ფსიქოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, მიუნჰენი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2010), საქართველოს უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

ჯ. ჯავახიშვილი და ნ. სარჯველაძე (2007), ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, [მეთოდური სახელმზღვანელო]; თბილისი: ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2010), მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 81/ნ, 2010 წლის 31 აგვისტო

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი (2004)/ [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.] - თბილისი: ლოგოს პრესი.

ბესელია ნინო, მეიფარიანი თამარ, მიქიაშვილი ლელა, ჯალაღანია ირინე (2004), ინტერაქტიული სწავლება [რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისათვის], თბილისი: ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო.

კვიცარიძე მარინა (2004), დამხმარე სახელმძღვანელო დამწყები ტრენერებისათვის; თბილისი: გამომცემლობა,,სიესტა“.

ზურაბიშვილი თინათინ (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის; თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია (1974), საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი; მე-2 შევს. და გადამუშ. გამოც. - თბილისი: მეცნიერება,

ვახტანგ დოხნაძე (2006) საგამომცემლო ლექსიკონი [მე-2 შესწ. და შევს. გამოც.]. თბილისი: საგამომც. საქმის სასწ. ცენტრი.

ჯონ საფიერი, რობერტ გოუერი (2010), გამოცდილი მასწავლებელი [მე-5 შესწ. და შევს. გამოც.]. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

http://tpdc.ge/

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

http://www.macmillandictionary.com/dictionary/british/professional-development

http://lorien.ncl.ac.uk/ming/dept/tips/present/posters.htm

www.oecd.org/dataoecd/47/61/35070367.pdf.

მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი

ეს დებულება განსაზღვრავს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის (შემდგომში - სასერტიფიკაციო გამოცდა) ჩატარების, მასწავლებლობის უფლების მოპოვების, სერტიფიკატის გაცემის, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობებს.

მუხლი 2. სერტიფიცირების მიზანი

სერტიფიცირების მიზანია შესაბამისი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენა.

მუხლი 3. რეგულირების სფერო

1. ეს დებულება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებსაც სურთ სკოლაში მასწავლებლობის უფლების მოპოვება. აგრეთვე განსაზღვრავს სკოლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის (შემდგომში - რესურსცენტრი), საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) და საჯარო სამართლის იურიდიული პირის გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - გამოცდების ეროვნული ცენტრი) საქმიანობას მასწავლებლის სერტიფიცირების პროცესში.
2. ეს დებულება არ ვრცელდება იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე მასწავლებელზე, რომელსაც თავის ქვეყანაში მოპოვებული აქვს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება.
3. განსაკუთრებულ შემთხვევებში სამინისტროს გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის მოქალაქე უფლებამოსილია პედაგოგიური საქმიანობა განახორციელოს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს ამ დებულების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრატორი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო ცენტრში სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე.

ბ) ადმინისტრატორის თანაშემწე – პირი, რომელიც კურირებას უწევს და თვალყურს ადევნებს საგამოცდო სექტორებში სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესის მიმდინარეობას.

გ) გამსწორებელი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული სპეციალისტი, რომელმაც გაიარა შესაბამისი სწავლება - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები და უფლებამოსილია გაასწოროს ტესტის პასუხების ფურცელი;

დ) დამკვირვებელი – საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც ამ დებულების შესაბამისად გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი;

ე) დამხმარე პერსონალი - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირები;

ვ) დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემა - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი კოდირების სისტემა;
ზ) კოორდინატორი - პირი, რომელიც ასრულებს ადმინისტრატორის მოადგილის უფლება-მოვალეობას, კოორდინაციას უწევს მეთვალყურეთა მუშაობას და უზრუნველყოფს ტესტების კონფიდენციალურობას;
თ) კურატორი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე, საგამოცდო ცენტრის მდებარეობის მიხედვით, დაქირავებული პირი, რომელიც კურირებას უწევს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესს;
ი) მასწავლებლობის კანდიდატი - "ზ .გ .დ . გ .ნ .თ .ე .ი . შ .ს .ხ .ბ" საქართველოს კანონის 21_3 მუხლით დადგენილი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია რესურსცენტრისა და ცენტრის მიერ;
კ) მეთვალყურე – გამოცდების ეროვნული ცენტრის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც საგამოცდო სექტორის ფარგლებში მეთვალყურეობას უწევს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესს;
ლ) რეგისტრატორი – პირი, რომელიც საგამოცდო ცენტრში ახორციელებს მასწავლებლობის კანდიდატთა რეგისტრაციას და ეხმარება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესის ადმინისტრირებაში მონაწილე პირებს წამოჭრილი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში;
მ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი (შემდგომში - პირი) - პირი, რომელსაც სურვილი აქვს ჩააბაროს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა და რომელიც წარადგენს განაცხადს რესურსცენტრში;
ნ) საგამოცდო ბარათი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული მოწმობა, რომლის საფუძველზეც პირი დაიშვება სასერტიფიკაციო გამოცდაზე;
ო) საგამოცდო ცენტრი – სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი შენობა ან მისი ნაწილი;
პ) საგამოცდო სექტორი – საგამოცდო ცენტრის დანაყოფი, სადაც მასწავლებლობის კანდიდატები განთავსდებიან სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას;
ჟ) ტესტი - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი;
რ) ტექნიკური კონტროლი – სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცესზე დაკვირვების მეთოდი ვიდეო-აღჭურვილობის მეშვეობით.

თავი II. მასწავლებლის სერტიფიცირების პროცედურა

მუხლი 5. რეგისტრაცია რესურსცენტრში

1. სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით პირი სურვილის შესაბამისად მიმართავს ნებისმიერ რესურსცენტრს.
2. პირი უფლებამოსილია რესურსცენტრში რეგისტრაციაზე განაცხადი წარადგინოს იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21_3 მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გააჩნია მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 2 თვეზე მეტი, განისაზღვრება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 6. რესურსცენტრში წარსადგენი დოკუმენტები

1. პირი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით ავსებს და რესურსცენტრში წარადგენს ცენტრის მიერ დადგენილი ფორმის განაცხადს და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმის ანკეტას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის ფორმის რესურსცენტრისთვის მიწოდებას და ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებას უზრუნველყოფს ცენტრი, ხოლო ანკეტის ფორმის რესურსცენტრისთვის მიწოდებას გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებას - გამოცდების ეროვნული ცენტრი.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:
ა) პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და პირადი ნომერი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით);
ბ) ჩასაბარებელი საგნის/საგნების ჩამონათვალი;
გ) მითითებას საგამოცდო ცენტრზე, რომელშიც პირს სურს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
დ) თანდართული საბუთების ნუსხა;
4. პირი განაცხადთან ერთად რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის 2 ასლს;
ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს;
გ) დოკუმენტს მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ;
დ) მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, გარდა ამ დებულების 31-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა;
ე) ცნობას ფუნქციონალური დარღვევის შესახებ, თუ პირს აქვს ისეთი ფუნქციონალური დარღვევა, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს;
ვ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას;
ზ) ცნობას ნასამართლეობის შესახებ;
თ) ერთ ფოტოსურათს (ზომით 3X4).
5. რესურსცენტრი, ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დადგენილი რეგისტრაციის ვადის გასვლიდან 2 დღის ვადაში, ცენტრს უგზავნის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ფორმის განაცხადის ასლს და მე-4 პუნქტის "ა", "ბ", "გ", "ვ" და ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, ხოლო გამოცდების ეროვნულ ცენტრს - ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანკეტას და მე-4 პუნქტის ,,ა", ,,დ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

მუხლი 7. გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ

1. სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება ცენტრის მიერ რეგისტრირებული მასწავლებლობის კანდიდატი. ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21_3 მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. მასწავლებლობის კანდიდატად რეგისტრაცია მოიცავს პირველად რეგისტრაციას რესურსცენტრში და საბოლოო რეგისტრაციას ცენტრში.
3. რესურსცენტრი პირს ატარებს პირველად რეგისტრაციაში, თუ პირის მიერ დოკუმენტაცია წარდგენილია ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დადგენილ ვადაში და შეესაბამება ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. თუ პირის მიერ რესურსცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, რესურსცენტრი ვალდებულია განაცხადის შეტანიდან 5 დღის ვადაში დაადგინოს ხარვეზი და პირს ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებით განუსაზღვროს 10 დღის ვადა.

5. თუ პირი ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, რესურსცენტრის წარდგინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
6. რესურსცენტრს პირის მასწავლებლობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ მონაცემები განაცხადების მიღების პარალელურად შეჰყავს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში. რესურსცენტრი პასუხისმგებელია მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მის მიერ შეყვანილი მონაცემების სისწორეზე.
7. ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან 20 დღის ვადაში რესურსცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემების სრულად შეყვანას.
8. ცენტრი, რესურსცენტრის მიერ რეგისტრირებული მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემების გადამოწმებისა და მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, რეგისტრაციის ვადის გამოცხადებიდან ყოველ 15 დღეში უზრუნველყოფს რესურსცენტრიდან მასწავლებლობის კანდიდატების თაობაზე ინფორმაციისა და ამ დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებას.

მუხლი 8. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა და მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონული ბაზა

1. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას ქმნის ცენტრი, რომლის მონაცემები მტკიცდება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.
2. ცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მონაცემების პერიოდულ გადამოწმებას და განახლებას.
3. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის მონაცემები ხელმისაწვდომია ცენტრის და რესურსცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის.
4. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრი, რესურსცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ქმნის მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონულ ბაზას.

მუხლი 9. საგამოცდო ბარათის გაცემა

1. ცენტრი გამოცდების ეროვნულ ცენტრს არაუგვიანეს ყოველი წლის პირველი მაისისა წარუდგენს მასწავლებლობის კანდიდატების საბოლოო სიას.
2. გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდო ბარათის გაცემას ახორციელებს მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე.
3. გამოცდების ეროვნული ცენტრი, სასერტიფიკაციო გამოცდებამდე ორი კვირით ადრე, უზრუნველყოფს საგამოცდო ბარათების გადაცემას იმ რესურსცენტრისათვის, რომელმაც განახორციელა მასწავლებლობის კანდიდატის პირველადი რეგისტრაცია.
4. რესურსცენტრი საგამოცდო ბარათის გადაცემას მასწავლებლობის კანდიდატისათვის უზრუნველყოფს სასერტიფიკაციო გამოცდამდე გონივრულ ვადაში.
5. საგამოცდო ბარათი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:
ა) სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილების ჩამონათვალს;
ბ) საგამოცდო ცენტრის დასახელებას, სადაც უნდა გამოცხადდეს მასწავლებლობის კანდიდატი;
გ) სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილების ჩატარების თარიღს და რეგისტრაციის დაწყების დროს.

მუხლი 10. სასერტიფიკაციო გამოცდის დანიშვნა

1. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება წელიწადში ერთხელ, შესაბამისი წლის ივლისში. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი ცხადდება ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლობის კანდიდატების საბოლოო სიის გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენიდან არაუმეტეს ორი კვირის ვადაში.
2. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღს, გამოცდების ეროვნული ცენტრის წინადადების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით ადგენს მინისტრი, რომელიც ქვეყნდება სამინისტროსოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 11. სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსი

1. საგამოცდო პროგრამა ეფუძნება "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას და "მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.
2. სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამას გამოცდების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს.
3. სასერტიფიკაციო გამოცდა შედგება შინაარსობრივი და უნარების ნაწილისაგან. სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება შინაარსობრივი და უნარების ნაწილის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილის წარმატებით ჩაბარება გულისხმობს მინისტრის მიერ, გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით, დადგენილი მასწავლებლობის უფლების მოპოვებისთვის საჭირო ქულების დაგროვებას.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვისა.
6. სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში:
ა) ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული);
ბ) მათემატიკა;
გ) საზოგადოებრივი მეცნიერებები:
გ.ა) ისტორია;
გ.ბ) გეოგრაფია;
გ.გ) სამოქალაქო განათლება.
დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
დ.ა) ფიზიკა;
დ.ბ) ქიმია;
დ.გ) ბიოლოგია.
ე) უცხოური ენები:
ე.ა) ინგლისური;
ე.ბ) გერმანული;
ე.გ) ფრანგული;
ე.დ) რუსული.
ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის საგნები:
ვ.ა) ხელოვნება;
ვ.ბ) მუსიკა.;

ვ.გ) ფიზიკური აღზრდა.

მუხლი 12. სასერტიფიკაციო გამოცდის ენა

1. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

2. სასერტიფიკაციო გამოცდა ასევე ტარდება რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე მასწავლებლობის იმ კანდიდატებისათვის, რომელთაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლაში.

მუხლი 13. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, ტესტირების გზით.

მუხლი 14. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების დრო და ადგილი

1. სკოლა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის უზრუნველყოფს მის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობებიდან საჭირო ფართისა და ინვენტარის გამოყოფას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2. საგამოცდო ცენტრები განლაგებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შენობებში.

3. სასერტიფიკაციო გამოცდა შესაბამის ნაწილში ყველა საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობს ერთდროულად, გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი თარიღის შესაბამისად.

4. ფორს-მაჟორის არსებობის შემთხვევაში, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კონკრეტულ საგამოცდო ცენტრში სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი.

მუხლი 15. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის პროცესზე დასწრება

1. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო ცენტრში დაშვებულია მხოლოდ შემდეგი პირების ყოფნა:

ა) პირი, რომელსაც აქვს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი;

ბ) ადმინისტრატორი;

გ) ადმინისტრატორის თანაშემწე;

დ) კოორდინატორი;

ე) კურატორი;

ვ) მეთვალყურე;

ზ) დამკვირვებელი;

თ) რეგისტრატორი;

ი) დამხმარე პერსონალი.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში ყოფნის უფლება აქვს:

ა) კურატორს;

ბ) მეთვალყურეს.

3. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში, საჭიროების შემთხვევაში, კურატორის ან მეთვალყურის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იმყოფებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობას. მას ეკრძალება ტესტის შინაარსთან დაკავშირებით მასწავლებლობის კანდიდატის დახმარება ან მისი მუშაობისათვის ხელის შეშლა.

5. პირი არ შეიძლება დანიშნულ იქნას ადმინისტრატორად, კოორდინატორად, ადმინისტრატორის თანაშემწედ, კურატორად, მეთვალყურედ, დამკვირვებლად და რეგისტრატორად იმ საგამოცდო ცენტრში, სადაც სასერტიფიკაციო გამოცდას აბარებს მისი ნათესავი.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:
ა) პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავი;
ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავი;
გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები;
დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
7. სასერტიფიკაციო გამოცდის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრებში ტესტირების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ დამკვირვებლები. დამკვირვებელთა რაოდენობის განსაზღვრა, მათი დანიშვნა და საგამოცდო ცენტრებში განაწილება ხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. დამკვირვებელი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელმაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში გააკეთა განაცხადი დამკვირვებლად რეგისტრაციის მოთხოვნით და რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მიენიჭა ან წილისყრით განესაზღვრა დამკვირვებლის სტატუსი. დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წილისყრა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ იმ პირთა რიცხვი, რომელთაც გააკეთეს განაცხადი დამკვირვებლად რეგისტრაციაზე, აჭარბებს საგამოცდო ცენტრში გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ დამკვირვებელთა ზღვრულ ოდენობას. წილისყრის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით.

მუხლი 16. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია

1. სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილის ჩაბარების მიზნით, მასწავლებლობის კანდიდატი ვალდებულია:
ა) დროულად გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციაზე;
ბ) თან იქონიოს:
ბ.ა) საგამოცდო ბარათი;
ბ.ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ.გ) თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
2. სასერტიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მასწავლებლობის კანდიდატი არ დაიშვება სასერტიფიკაციო გამოცდაზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოცხადებული მასწავლებლობის კანდიდატი სასერტიფიკაციო გამოცდაზე არ დაიშვება.
4. სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა მასწავლებლობის კანდიდატს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით.
5. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია მიმდინარეობს სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში.
6. გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში მასწავლებლობის იმ კანდიდატების განთავსებას, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს (ფუნქციონალური დარღვევების მქონე პირები, გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირები და სხვა პირები).

7. მასწავლებლობის კანდიდატმა ცნობა რაიმე სახის ინფექციური დაავადების შესახებ გამოცდების ეროვნულ ცენტრში ან საგამოცდო ცენტრში უნდა წარადგინოს სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე.
8. რეგისტრაციის შემდეგ მასწავლებლობის კანდიდატი იკავებს ადგილს საგამოცდო სექტორში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან.

მუხლი 17. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყება

1. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე, მასწავლებლობის კანდიდატის თვალწინ იხსნება ტესტების დალუქული შეკვრა.
2. ტესტზე მუშაობის დაწყებამდე, მასწავლებლობის კანდიდატი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული ტესტი არ არის დაზიანებული, რასაც იგი ადასტურებს საგამოცდო სექტორის უწყისში ხელმოწერით.
3. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე ხდება პასუხების ფურცლის დაშიფვრა ინდივიდუალური სისტემით.
4. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო სექტორში განთავსებულ მასწავლებლობის კანდიდატებს კურატორი/მეთვალყურე განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისა და ტესტის შევსების წესებს, რის შემდეგაც იწყება საგამოცდო დროის ათვლა, რომელიც განისაზღვრება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მითითებულია ტესტურ დავალებათა რვეულში. კურატორი/მეთვალყურე უზრუნველყოფენ, რომ დროის ათვლის დაწყებამდე მასწავლებლობის კანდიდატს არ ჰქონდეს ტესტზე მუშაობის დაწყების საშუალება.

მუხლი 18. მუშაობა ტესტზე

1. ტესტზე მუშაობის პროცესში მასწავლებლობის კანდიდატს შეუძლია გამოიყენოს ტესტურ დავალებათა რვეული, რომელიც რჩება საგამოცდო ცენტრში.
ტესტურ დავალებათა რვეული ტესტის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.
2. ტესტზე მუშაობის პროცესში მასწავლებლობის კანდიდატს გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს გელიანი კალმით.
3. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლობის კანდიდატს უფლება აქვს თან იქონიოს:
ა) წყალი;
ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
გ) ამ დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.
4. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლობის კანდიდატს ეკრძალება:
ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება;
გ) პასუხების ფურცლის შესავსებად ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გელიანი კალმის გარდა სხვა კალამის გამოყენება, აგრეთვე, პასუხების ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;
დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;
ვ) მერხზე ტესტის რვეულის, პასუხების ფურცლის, საწერი კალამის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა სხვა ნივთების მოთავსება;

ზ) ტესტზე მუშაობის დაწყება მეთვალყურის/კურატორის მითითების გარეშე;
თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება.
5. გამოცდების ეროვნული ცენტრი სასერტიფიკაციო გამოცდების მიმდინარეობაზე დაკვირვებას უზრუნველყოფს ვიდეო-აღჭურვილობის მეშვეობით.
6. საგამოცდო დროის ამოწურვამდე სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში მასწავლებლობის კანდიდატს უფლება აქვს, ტესტურ დავალებათა რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების შემდეგ დატოვოს საგამოცდო სექტორი კურატორის ან მეთვალყურის თანხლებით.
7. საგამოცდო დროის ამოწურვის ან მასწავლებლობის კანდიდატის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ კურატორი ამოწმებს თითოეული მასწავლებლობის კანდიდატის ტესტურ დავალებათა რვეულის გვერდების რაოდენობას, პასუხების ფურცელზე შტრიხკოდის მთლიანობას და მასწავლებლობის კანდიდატის მიერ უწყისში ხელმოწერის შემდეგ იბარებს მათ.
8. ჩაბარებული ტესტურ დავალებათა რვეულები და პასუხების ფურცლები იკვრება საგამოცდო სექტორში საგამოცდო დროის ამოწურვის დროს მყოფი ბოლო მასწავლებლობის კანდიდატის თანდასწრებით, საგამოცდო სექტორების მიხედვით, ილუქება და იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 19. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის წესის დარღვევა

1. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლობის კანდიდატი მიიღებს გაფრთხილებას:
ა) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების გარდა სხვა ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში;
ბ) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ“-,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილება ფორმდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
3. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენის შემთხვევაში, გაფრთხილების მიცემასთან ერთად მასწავლებლობის კანდიდატს ჩამოერთმევა პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადაეცემა სარეზერვო პასუხების ფურცელი.
4. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 პუნქტის ,,ბ“-,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში, მასწავლებლობის კანდიდატი იხსნება სასერტიფიკაციო გამოცდიდან, რაც ფორმდება ოქმით გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
5. გაფრთხილების გარეშე მასწავლებლობის კანდიდატის სასერტიფიკაციო გამოცდიდან მოხსნა შესაძლებელია:
ა) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში;
ბ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში.
6. გაფრთხილების გარეშე მასწავლებლობის კანდიდატის სასერტიფიკაციო გამოცდიდან მოხსნა ფორმდება ოქმით გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
7. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის პროცესში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დამკვირვებელი უფლებამოსილია, პროცესში ჩარევის გარეშე, შეადგინოს ოქმი და გადასცეს ადმინისტრატორს.

მუხლი 20. ნაშრომების გასწორება

1. გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგამოცდო ცენტრიდან გაგზავნილი დალუქული პასუხების ფურცლები იხსნება, რეგისტრირდება, ხდება მათი სკანირება და განაწილება გამსწორებლებს შორის.
2. მასწავლებლობის კანდიდატის პასუხების ფურცელი სწორდება გამოცდების ეროვნული ცენტრის გამსწორებლის მიერ სასერტიფიკაციო გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.
3. გამსწორებელთა ანონიმურობა დაცულია დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემის მეშვეობით.
4. ტესტის შინაარსის გათვალისწინებით პასუხების ფურცლები სწორდება:
ა) კომპიუტერის და საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, ან
ბ) დამოუკიდებლად მინიმუმ ორჯერ. შეფასებაში სხვაობის შემთხვევაში
პასუხების ფურცელი გადაეცემა მესამე გამსწორებელს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.
5. პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან, არ გასწორდება.
6. ამ დებულების მე–18 მუხლის მე–4 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხების ფურცელი არ გასწორდება.
7. სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულები ქვეყნდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულები ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 21. ტესტების და ტესტის პასუხების გამოქვეყნება

გამოცდების ეროვნული ცენტრი, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფს ტესტებისა და ტესტის პასუხების განთავსებას საკუთარ ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

მუხლი 22. მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასური

1. მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასური სასერტიფიკაციო გამოცდის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე მოიცავს 25 ლარს.
2. მასწავლებლობის კანდიდატის მიერ ზედმეტად ან შეცდომით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შემთხვევაში, გადახდილი თანხების დაბრუნების შესახებ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება სასერტიფიკაციო გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. განცხადებაში უნდა მიეთითოს დასაბრუნებელი თანხა და თანხის მიღების ადგილი. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ თანხები გაიცემა განცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

თავი III. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება

მუხლი 23. სასერტიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგები

1. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ერთიანი სია სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების შესახებ და იმ მასწავლებელთა სია, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს სასერტიფიკაციო გამოცდა.
2. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მიწოდებულ მასწავლებელთა შესაბამისი სიის საფუძველზე, ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მასწავლებელთა შესაბამისი სიის მიღებიდან 10 დღის ვადაში მტკიცდება და მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეიყვანება იმ პირთა მონაცემები, რომლებმაც მოიპოვეს მასწავლებლობის უფლება.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

4. ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსებული სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგები სპეციალური კოდის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისი დაინტერესებული პირებისათვის სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ცენტრი.
5. სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლეული ნაწილის ქულა პირს უნარჩუნდება 4 წლის განმავლობაში.

მუხლი 24. მასწავლებლის სერტიფიკატის გაცემა და მისი მოქმედების ვადა

1. პირის მასწავლებლობის უფლება დასტურდება შესაბამისი მასწავლებლის სერტიფიკატით.
2. ცენტრი, ამ დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 2 თვის ვადაში, უზრუნველყოფს მასწავლებლის სერტიფიკატების იმ რესურსცენტრისთვის გადაცემას, რომელმაც განახორციელა მასწავლებლობის კანდიდატის პირველადი რეგისტრაცია.
3. რესურსცენტრი მასწავლებლის სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამის პირებზე მასწავლებლის სერტიფიკატების გადაცემას.
4. მასწავლებლის სერტიფიკატი მოქმედებს მისი გაცემიდან 8 წლის განმავლობაში.

თავი IV. მასწავლებლობის უფლების განახლება

მუხლი 25. მასწავლებლობის უფლების განახლების ვადა

1. ამ დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, მასწავლებელი, რომელსაც სურს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება, ვალდებულია განაახლოს მასწავლებლობის უფლება.
2. მასწავლებლობის უფლება უქმდება, თუ მასწავლებელი მისი მოპოვებიდან 8 წლის შემდეგ არ განაახლებს ამ უფლებას. მასწავლებლობის უფლება განახლდება 8 წლის ვადით.

მუხლი 26. მასწავლებლობის უფლების განახლების ფორმები

1. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის მასწავლებელი ვალდებულია დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტები.
2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვება შესაძლებელია შემდეგი ალტერნატიული ფორმების გამოყენებით:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;
ბ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
გ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა).

მუხლი 27. სკოლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლობის უფლების განახლების პროცესში

1. მასწავლებლობის უფლების განახლების მიზნით სკოლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით იქმნება სასერტიფიკაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო), რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21_2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა სახის არანაკლებ ერთი მასწავლებელი (სკოლაში ასეთი სახის მასწავლებლის არსებობის შემთხვევაში).
2. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საბჭოს მდივანს.

3. საბჭოს სხდომებს უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, რომლის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
4. საბჭო იკრიბება წელიწადში არანაკლებ ორჯერ. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, სკოლის მასწავლებლის ან/და საბჭოს წევრის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.
5. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ საბჭოს სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
6. საბჭოს სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელიც ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით.
7. საბჭო, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიოს მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში განიხილავს და ამტკიცებს მასწავლებლის მიერ მომზადებულ წლიურ სამოქმედო გეგმას, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს - მასწავლებლის წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშს.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საბჭო აჯამებს მასწავლებლის მიერ მოპოვებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების რაოდენობას და ასახავს საბჭოს სხდომის ოქმში.
9. საბჭო ვალდებულია სასწავლო წლის ბოლოს შესაბამის რესურსცენტრს გადაუგზავნოს მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) იმ მასწავლებლის შესახებ, რომელმაც დააგროვა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესაბამისი კრედიტები.
10. სკოლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს საბჭოს გამართული ფუნქციონირება და საბჭოს მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
11. რესურსცენტრი ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მიღებიდან არა უგვიანეს 20 დღისა უზრუნველყოფს მათ ასახვას მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში.
12. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საბჭოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ცენტრში.

მუხლი 28. ცენტრის უფლება-მოვალეობები მასწავლებლობის უფლების განახლების პროცესში

1. ცენტრი, მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში რესურსცენტრის მიერ შესაბამისი მონაცემების ასახვიდან 1 თვის ვადაში, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის მასწავლებლობის უფლების განახლების შესახებ.
2. ცენტრი ვალდებულია შერჩევითი პრინციპის გამოყენებით რეგულარულად შეამოწმოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
3. ცენტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს მასწავლებლის სერტიფიკატების გადაცემას შესაბამისი რესურსცენტრისათვის, ხოლო რესურსცენტრი - სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში მათ გადაცემას შესაბამისი პირებისათვის.

თავი V. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის

პირობები

მუხლი 29. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობები

1. მასწავლებელს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი ვადამდე ჩამოერთმევა, თუ:
ა) მასწავლებელი არღვევს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ ვალდებულებებს და მისი ქმედება ეწინააღმდეგება ამავე სტანდარტით დადგენილ ღირებულებებს;
ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
გ) ადგილი აქვს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევებს;
დ) მასწავლებლის მიერ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით ან მასწავლებლობის უფლების განახლების პროცესში არასწორი მონაცემები იქნა წარდგენილი, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პროცედურა და წესი განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსით.

თავი VI. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 30. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლებამოსილების მქონე პირები

1. 2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს. ამ დრომდე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ამ პუნქტით განსაზღვრულ პირებს ”ზ .გ .დ . გ .ნ .თ .ე .ი . შ .ს .ხ .ბ” საქართველოს კანონის 21_3 მუხლით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჩაეთვლებათ დაკმაყოფილებულად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით, ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი დოკუმენტების გარდა, ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე წარადგენენ პედაგოგიური მუშაობის სტაჟის ან მოქმედი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 31. პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის საფასური

მასწავლებლისთვის პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების საფასურს ანაზღაურებს სახელმწიფო.

მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუში

მუხლი 1. მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის აღწერილობა

მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის რეკვიზიტებია:

ა) წარწერა "საქართველო", რომელიც უნდა განთავსდეს მასწავლებლის სერტიფიკატის სახიან მხარეს ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) მითითება ”მასწავლებლის სერტიფიკატი”;

გ) მასწავლებლის სერტიფიკატის ნომერი, მასწავლებლის სერტიფიკატების რეგისტრაციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ წარმოებული რეესტრის მონაცემების მიხედვით;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ლოგოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) პირის სახელი, გვარი, რომელზეც გაიცა მასწავლებლის სერტიფიკატი, აღნიშნული პირის დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ვ) ინფორმაცია მასწავლებლობის უფლების მოპოვების/განახლების შესახებ;

ზ) მასწავლებლობის უფლების მოპოვების/განახლების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სახელწოდება, გადაწყვეტილების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) და ნომერი;

თ) მითითება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მასწავლებლის სახეზე;

ი) მასწავლებლის სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის სახელი და გვარი (გარკვევით), ხელმოწერა;

ლ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ბეჭედი.__

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი და რეგულირების სფერო

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა (შემდგომში – სქემა) აერთიანებს მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის აუცილებელ გზებსა და საშუალებებს, რაც განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21[7] მუხლის მიხედვით (მასწავლებლის პროფესიული განვითარება).
2. სქემა განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) მასწავლებლის სქემაში ჩართვას, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და მასწავლებლის კატეგორიის მინიჭების სავალდებულო კრედიტების ოდენობასა და მათი დაგროვების შესაძლებლობებს.
3. სქემის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე, რომელიც სერტიფიცირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. სქემის მიზანი

სქემის მიზანია ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ ზრდას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

სქემაში გამოყენებულ ტერმინებს ამ სქემის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
1. სქემაში ჩართული მასწავლებლის გეგმა – მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად შექმნილი და წერილობითი ფორმით შემუშავებული აქტივობების გეგმა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს სკოლის დირექტორი.
2. სქემაში ჩართული მასწავლებლის პორტფოლიო – სქემაში ჩართული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობების ამსახველი დოკუმენტაციის კრებული.
3. კრედიტი – აკადემიური და პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული.

4. მონიტორინგის მობილური ჯგუფი – ცენტრის მონიტორინგის მობილური ჯგუფი ახორციელებს სქემაში ჩართულობის პროცესის მონიტორინგს. ჯგუფის წევრები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
5. საიდენტიფიკაციო კომისია – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან არსებული კომისია, რომლის შემადგენლობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ადგენს და თავმჯდომარეობს ცენტრის დირექტორი.
6. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი – რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი რომლის კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

თავი II

სქემაში ჩართვის რეგისტრაცია

მუხლი 4. მასწავლებლის სქემაში ჩართვის რეგისტრაცია

1. მასწავლებლის სქემაში რეგისტრაცია მოიცავს მასწავლებელთა რეგისტრაციას სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში (შემდგომში – რესურსცენტრი).
2. სქემაში ჩართვის მიზნით მასწავლებელი რესურსცენტრში სქემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენს ცენტრის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმას.
3. სქემაში ჩართვის რეგისტრაცია განხორციელდება ერთი თვის განმავლობაში წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის ოქტომბერსა და აპრილში. რეგისტრაციის თარიღი და პირობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. სქემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის ფორმაში მითითებული მონაცემები შეჰყავს მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემაში.
5. სქემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულია ცენტრის წინაშე და საჭიროების შემთხვევაში აწვდის მას წერილობით ინფორმაციას სქემაში ჩართული მასწავლებლის შესახებ.

თავი III

მასწავლებლის პროფესიული განვითარების კატეგორიები და კრედიტები

მუხლი 5. მასწავლებლობის უფლების განახლება

მასწავლებლობის უფლების განახლებისა და კრედიტების დაგროვების გზებია:
ა) სასერტიფიკაციო გამოცდა;
ბ) კრედიტების დაგროვება.
გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვებუნქტების კომპონენტების კომბინაცია.

მუხლი 6. სერტიფიცირებული მასწავლებლის კატეგორიები

1. სქემის მიხედვით განსაზღვრულია მასწავლებლის სამი კატეგორია:
ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი,
ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი,
გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა კატეგორიის მასწავლებელი შესაძლებელია იყოს მენტორი.

3. 8 წლის მანძილზე მასწავლებელს შეუძლია სქემაში ჩართულობის შედეგად მხოლოდ ერთი კატეგორიით დაწინაურება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია სერტიფიცირებულ, ღვაწმოსილ და დამსახურებულ პედაგოგს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ვადაზე ადრე მიანიჭოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორია.
4. კატეგორიის მინიჭება განისაზღვრება სქემით დადგენილი წესის შესაბამისად.
5. სქემის მიხედვით მასწავლებლის თითოეული კატეგორიის მოსაპოვებლად საჭიროა შემდეგი რაოდენობის კრედიტების მოპოვება:
ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი – 21 კრედიტი,
ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი – 32 კრედიტი,
გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი – 42 კრედიტი,
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული კატეგორია მიანიჭოს ვადაზე ადრე ღვაწმოსილ მასწავლებელს.

მუხლი 7. კრედიტების დაგროვების პროცედურა სქემაში მოცემული აქტივობების მიხედვით

1. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევისა და მასწავლებლობის უფლების მოპოვებისას მასწავლებელი იღებს 21 კრედიტს და მას ენიჭება სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი.
2. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თითოეული ნაწილი ფასდება 10,5 – 10,5 კრედიტით.
3. სერტიფიცირებული მასწავლებელი 32 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში იღებს პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსს.
4. პირველი კატეგორიის მასწავლებელი 42 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში იღებს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსს.
5. მოპოვებული კატეგორიის შესანარჩუნებლად მასწავლებელმა უნდა დააგროვოს კატეგორიის შესაბამისი რაოდენობის კრედიტები.
6. მასწავლებლის თითოეული კატეგორიის კრედიტების მიღწევის შემდეგ კრედიტების ათვლა იწყება თავიდან.
7. კატეგორიისათვის საჭიროზე ნაკლები რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემთხვევაში მასწავლებელი კარგავს კატეგორიას და ჩამოქვეითდება ერთი კატეგორიით.
8. 21-ზე ნაკლები კრედიტების დაგროვების შემთხვევაში მასწავლებელი კარგავს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს ან ჩააბარებს გამოცდის მხოლოდ ერთ ნაწილს - საგნობრივ გამოცდას.

თავი IV

მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების პროცედურა, კატეგორიის მინიჭებისა და ჩამორთმევის წესი, ვადები

მუხლი 8. პროცესის მონიტორინგი

1. ცენტრის მონიტორინგის მობილური ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულობის პროცესის მონიტორინგს;
2. მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით;
3. მონიტორინგის მობილური ჯგუფი სქემაში ჩართული მასწავლებლების მონიტორინგს აწარმოებს შერჩევითობის პრინციპით.
4. მონიტორინგის მობილური ჯგუფი მოქმედებს ცენტრის დირექტორის დავალებით და მასწავლებელზე შემოსული ინფორმაციის საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფის გეგმაში შეაქვს ცვლილებები;
5. მონიტორინგის მობილური ჯგუფის ხელმძღვანელი, სამ თვეში ერთხელ, ცენტრს წარუდგენს გეგმის შესრულების ანგარიშსა და სქემაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესის ანალიზს.
6. მონიტორინგის შედეგებზე მზადდება დასკვნა, რომელიც შეიცავს სქემაში ჩართული თითოეული მასწავლებლის საქმიანობის აღწერილობას, პროცესის ზოგად მიმოხილვასა და რეკომენდაციულ ნაწილს, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს საინფორმაციო ბაზაში.
7. დასკვნის წარმოდგენის შემდეგ ცენტრის დირექტორი პროცესის გაუმჯობესების მიზნით იძლევა რეკომენდაციებს სქემაში ჩართული მასწავლებლებისთვის.

მუხლი 9. საიდენტიფიკაციო კომისია

1. საიდენტიფიკაციო კომისია მონიტორინგის ანგარიშის და პორტფოლიოს საფუძველზე აღიარებს და ანიჭებს კრედიტებს და განსაზღვრავს მასწავლებლის კატეგორიას.
2. საიდენტიფიკაციო კომისია იკრიბება საჭიროების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, მასწავლებლის პორტფოლიოს შუალედური და საბოლოო განხილვის მიზნით.

მუხლი 10. სქემაში ჩართული მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების, კატეგორიის მინიჭების და ჩამორთმევის ვადები

1. საინდენტიფიკაციო კომისიის მიერ მასწავლებლის პორტფოლიოს საბოლოო განხილვის შედეგად, მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე სულ მცირე შვიდი თვით ადრე ცენტრი აცნობებს სქემაში ჩართულ მასწავლებელს მის მიერ მასწავლებლის სერტიფიკატის მიღებიდან შვიდი წლის განმავლობაში დაგროვილი კრედიტების რაოდენობის შესახებ.
2. სქემაში ჩართული მასწავლებლისთვის მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების, კატეგორიის მინიჭების და კატეგორიის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ყოველი წლის სექტემბერში.

თავი V

აქტივობები და მათი შესაბამისი კრედიტები

მუხლი 11. აქტივობები და მათი შესაბამისი კრედიტები

პროფესიული და კარიერული ზრდის საფეხურების გავლისათვის მასწავლებელმა 7 წლის განმავლობაში უნდა გაიაროს შემდეგი აქტივობებიდან მინიმუმ 7 სხვადასხვა აქტივობა:

ა) სამინისტროსა და ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ტრენინგი – 25 საათი/1 კრედიტი;

ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამები – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითად და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;
გ) ტრენინგ-პროგრამები აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების ან აკრედიტებული სხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება – 25 საათი/0,5 კრედიტი;
დ) სასკოლო ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობა/თანაავტორობა – სახელმწიფოს მიერ გრიფირებული ან აკადემიური გამომცემლობის მიერ გამოცემული. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორობა – 7 კრედიტი, სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 3 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ავტორობა – 4 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თანაავტორობა – 2 კრედიტი;

ე) საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა – სწავლა-სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე (7 წლის მანძილზე სულ მცირე 1 პროექტი) – 1 კრედიტი;

ვ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მომხსენებლად მონაწილეობის მიღება – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

ზ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები – მონაწილეობის მიღება – 0,5 კრედიტი (უნდა წარმოადგენოს დამადასტურებელი საბუთი);

თ) პროფესიული სტაჟირების გავლა – საგნობრივი კომპეტენციის, გამოცდილების შეძენა/გაზიარების მიზნით (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ) – სულ მცირე 25 საათი – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);
ი) საგანმანათლებლო, პროფესიული, პედაგოგიური თემატიკის მქონე საგანმანათლებლო-პედაგოგიურ ჟურნალ – გაზეთში გამოქვეყნებული აკადემიური სახის სტატია – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 სტატია) – 2 კრედიტი;
კ) საგანმანათლებლო თემატიკასთან დაკავშირებული კვლევის ავტორობა – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 კვლევა) – 3 კრედიტი;
ლ) მენტორ-მასწავლებლად მუშაობა – 1 კრედიტი წელიწადში;

მ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში - (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური) – 2 კრედიტი;

ნ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადებში – (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური,) – 1 კრედიტი;

ო) საგნობრივ კათედრაზე აქტივობები – სხვა საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება (სულ მცირე 3 გაკვეთილი) – 1 კრედიტი, დამუშავებული თემის წარდგენა კათედრაზე, სემინარი/კონფერენცია – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეოჩანაწერი);

პ) პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით პრეზენტაციის მოწყობა (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 პრეზენტაცია) – 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინონ ვიდეოჩანაწერი);

ჟ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში –სასწავლო ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება:
ჟ.ა) მასწავლებელი ქმნის სასწავლო ციფრულ ობიექტებს (პრეზენტაცია, ცხრილი/შეფასების რუბრიკა, ბლოგი, მარტივი კონსტრუქტორით აწყობილი ობიექტები...) და იყენებს სასწავლო პროცესში.
ჟ.ბ) მასწავლებელი ქმნის ელექტრონულ-პორტფოლიოს და ათავსებს ინტერნეტში.
ჟ.გ) მასწავლებელი იყენებს ისტ-ს მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციისათვის – 2 კრედიტი;

რ) სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადეკვატური სასწავლო გეგმის, ჯგუფური და ინდივიდუალური საკლასო/სასკოლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება – 2 კრედიტი;

ს) სამინისტროსა და ცენტრის ეგიდით განხორციელებულ ტრენინგებში ტრენერად მუშაობა – 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) -2 კრედიტი;
ტ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამებში ტრენერად მუშაობა - 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი სულ მცირე 25 საათი) – 1 კრედიტი.

თავი VI

გარდამავალი დებულება

მუხლი 12. 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებულ მასწავლებელთა სქემაში ჩართვა და კატეგორიები კრედიტები.

1. 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებული მასწავლებლების სქემაში ჩართვა მოხდება სქემის ამოქმედებიდან ცენტრის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში.

2. 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებული მასწავლებლებისათვის თითოეული კატეგორიის მოსაპოვებლად საჭიროა შემდეგი რაოდენობის კრედიტების მოპოვება:
ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი – 21 კრედიტი,
ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი – 28 კრედიტი,
გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი – 42 კრედიტი.